USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

The USAID Agriculture Program
USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამა

ქართული სანელებლების ბაზრის მიმოხილვა

2019

წინამდებარე სახელმძღვანელო მომზადებულია USAID სოფლის მეურნეობის პროგრამის დაკვეთით, TBSC კონსალტინგის მიერ. სახელმძღვანელოში მოყვანილ ყველა მოსაზრებაზე პასუხს აგებს მისი ავტორი.

სახელმძღვანელოს მიზანია, ხელი შეუწყოს სუნელების წარმოების სფეროში სურსათის უვნებლობის გაუმჯობესებას, რათა შესაძლებელი იყოს მომხმარებლისთვის ხარისხიანი და უვნებელი პროდუქციის მიწოდება.

სარჩევი

4 ტერმინების სია

5 ზოგადი მიმოხილვა

8 კაბინეტური კვლევა

9 ძირითადი სანელებლების მიმოხილვა

16 ქართული სანელებლების სამრეწველო წარმოების ზომა და სტრუქტურა

34 სურსათის უვნებლობის მოთხოვნები

40 საქართველოსთვის პერსპექტიული ბაზრები

46 დასკვნები და რეკომენდაციები

48 რეკომენდაციები

51 დანართები

52 დანართი 1– სანელებლების დასახელების ჯვარედინი დამოწმება

55 დანართი 2 – ექსპორტისა და იმპორტის სტატისტიკა

ტერმინების სია

AA	ასოცირების ხელშეკრულება
BRC	ბრიტანეთის საცალო ვაჭრობის კონსორციუმი
CBI	განვითარებადი ქვეყნებიდან ევროპაში იმპორტის ხელშეწყობის ცენტრი
CEE	ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა
CAGR	კუმულაციური წლიური ზრდის ტემპი
CSR	კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა
CSRDG	საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
DCFTA	ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება
EU	ევროკავშირი
EC	ევროკომისია
ESA	ევროპის სანელებლების ასოციაცია
EU RASFF	ევროკავშირის სურსათისა და ცხოველთა საკვების სწრაფი განგაშის სისტემა
FBO	სურსათის ბიზნესოპერატორი
FDA	აშშ-ს სურსათისა და მედიკამენტების ადმინისტრაცია
U.S.	ამერიკის შეერთებული შტატები
FAO	გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
FSSC 22000	სურსათის უვნებლობის სისტემის სერტიფიცირება
GHP	კარგი ჰიგიენის პრაქტიკა
GMP	კარგი წარმოების პრაქტიკა
GAP	კარგი სოფლის მეურნეობის პრაქტიკა
GEL	ქართული ლარი
Geostat	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
GFSI	სურსათის უვნებლობის გლობალური ინიციატივა
HoReCa	სასტუმროების, რესტორნების, კაფეების ბიზნესის სექტორი
HACCP	საფრთხის ანალიზის კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა
HS Code	კოდირების ჰარმონიზებული სისტემა
IPM	მავნებლების ინტეგრირებული მართვის სისტემა
IFS	საერთაშორისო კვების სტანდარტი
ISO	სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
LLC	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
LMA	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია
MT	მეტრული ტონა; 1 000 კგ
MRLs	ნარჩენების მაქსიმალური დონეები
NFA	სურსათის ეროვნული სააგენტო
RASFF	ევროკავშირის სურსათისა და ცხოველთა საკვების სწრაფი განგაშის სისტემა
SQF	უსაფრთხო ხარისხის კვების სტანდარტი
SP	ინდივიდუალური მეწარმე
TBSC Consulting	შპს. თბილისის ბიზნეს მომსახურების ცენტრი; წარმოდგენილი ანგარიშის ავტორი
USD	აშშ დოლარი
USAID	შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო
WTO	მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია

ზოგადი მიმოხილვა

წინამდებარე ანგარიშში აღწერილია საქართველოს სანელებლების ბაზარი. საქართველოში USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამისთვის სამუშაოები შეასრულა კომპანია TBSC-კონსალტინგმა. კვლევა განხორციელდა 2019 წლის სექტემბერ- ოქტომბერში.

ეს ზოგადი მიმოხილვა შედგება ოთხი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში აღწერილია გამოყენებული მეთოდოლოგია, მეორე და მესამე ნაწილებში ჩამოთვლილია ის ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე გაკეთდა, ხოლო დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია ამ ანგარიშის სტრუქტურა.

მეთოდოლოგია

მეთოდოლოგია მოიცავდა: საცალო ქსელში ხელმისაწვდომი სანელებლების ბრენდებისა და მათ მწარმოებელთა მაღაზიების შემოწმებას, ხელთ არსებული მასალებისა თუ ყოვლისმომცველ ანალიტიკურ მიმოხილვას, ინტერვიუებს ინფორმაციის ძირითად მომწოდებლებთან, ასევე ობიექტების მონახულებასა და ინტერვიუების აღებას ბაზრის მთავარ მოთამაშეებთან. მართალია, განვითარებულ სამყაროში სანელებლების სექტორი კარგად არის შესწავლილი, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოში ეს სფერო საერთოდ არ არის გამოკვლეული. გამოყენებულმა მეთოდოლოგიამ და მიდგომამ მრეწველობის ამ დარგის შესახებ ქვემოთ წარმოდგენილი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობა მოგვცა.

ძირითადი დასკვნები

საქართველოს სანელებლების ბაზარი იმპორტზეა დამოკიდებული და დიდწილად მიეკუთვნება არაფორმალურ სექტორს.

სხვადასხვა ექსპერტის შეფასებით, საქართველოში სანელებლების უმეტესობა (50 პროცენტზე მეტი) არაფორმალურ სექტორში იწარმოება და იყიდება, ფორმალური სექტორი კი ჯერაც არ არის ჩამოყალიბებული. საქართველოს ეკონომიკა დიდწილად არის იმპორტზე დამოკიდებული, დაფნას თუ არ ჩავთვლით, საქართველო არის სანელებლების წმინდა იმპორტიორი ქვეყანა.

საქართველოში სანელებლების მოთხოვნის ზრდა ძირითადად განპირობებულია მოსახლეობის მზარდი შემოსავლებით, ტურიზმითა და, გარკვეულწილად, ექსპორტით.

2009 წლიდან 2018 წლის ჩათვლით, სანელებლების იმპორტის მოცულობის კუმულაციური წლიური ზრდის ტემპი (CAGR) წელიწადში 9,2 პროცენტს შეადგენდა, რამაც გააორმაგა ბოლო ათწლეულში (2009-დან 2018 წლამდე) იმპორტირებული პროდუქტის რაოდენობა, დაახლოებით 900ტ-დან 1 900ტ-მდე. ღირებულების თვალსაზრისით, ეს არის 2,8 მილიონამდე აშშ დოლარის იმპორტის ბაზარი. იმპორტის ყველაზე მოთხოვნადი კატეგორიებია: ქინძი (31 პროცენტი), წიწაკა (21 პროცენტი) და პილპილი (13,8 პროცენტი). იმპორტის ყველაზე დიდი ბაზრებია ინდოეთი (20 პროცენტი), უკრაინა (14 პროცენტი), ვიეტნამი (12 პროცენტი).

ექსპორტის მოთხოვნა იზრდება, მაგრამ, ძირითადად, მსოფლიოში დაფნაზე გაზრდილი მოთხოვნის გამო.

ქართული სანელებლების ექსპორტი საშუალოდ კუმულაციური წლიური ზრდის ტემპის 7,2 პროცენტით გაიზარდა, ბოლო ათწლეულში -ორჯერ მეტადაც კი, დაახლოებით 2500 ტ-დან 4 680 ტ-მდე. ღირებულების თვალსაზრისით, ეს შეადგენს 8,6 მილიონამდე აშშ დოლარის ოდენობით საექსპორტო შემოსავალს. მართალია, დეტალიზებული მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის, მაგრამ ამ მოცულობის უდიდესი წილი (99 პროცენტამდე), სავარაუდოდ, დაფნის ფოთოლზე მოდის, ხოლო დანარჩენი კატეგორიები ექსპორტის მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენს. ნაწილობრივი შედეგები აჩვენებს, რომ წელს იმპორტის მოცულობა შემცირდება, ექსპორტისა კი გაიზრდება, რაც ძალზე დადებითი ტენდენციაა სავაჭრო ბალანსის თვალსაზრისით.

ექსპორტის ბაზრები ფასების პოზიტიურ ტენდენციას ასახავს. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ექსპორტის ფასები გაიზარდა. საქართველოს ექსპორტის გაანგარიშებულმა ფასმა 2009 წლის დაახლოებით 1 აშშ დოლარიდან 2018 წელს 1კგ — 1,80 აშშ დოლარამდე მიაღწია. მაღალი ღირებულების პერსპექტიული საექსპორტო ბაზრები, როგორიცაა ჩეხეთი, გერმანია და შეერთებული შტატები საქართველოდან სულ რამდენიმე ტონის იმპორტს ახორციელებენ (1კგ — 6-დან 9 აშშ დოლარამდე), მაშინ, როდესაც მაღალი მოცულობის, მაგრამ დაბალი ფასის გადამხდელი ბაზრები, როგორიცაა რუსეთის ფედერაცია, თურქეთი, ჩინეთი და უკრაინა, 4600 ტ-ზე მეტს ყიდულობენ, 1კგ—1-დან 2 აშშ დოლარამდე. მაღალი ფასის მქონე ბაზრებზე ექსპორტის მოცულობაში ყველაზე დიდი წილი სანელებლებზე მოდის: 091099 - სხვა სანელებლები (სავაჭრო სტრუქტურაში 65-დან 94 პროცენტამდე), რომელსაც მოჰყვება სანელებლების ნარევები, ზაფრანა და წიწაკა (დაქუცმაცებული).

საქართველოს შიდა ბაზარი თავისთავად პერსპექტიულია.

საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე სანელებლების საშუალო წლიური მოხმარებაა 500 გრ/წ. მთლიანობაში, რაც წელიწადში დაახლოებით 2000 ტ-ს შეადგენს. სხვა ქვეყნებიდან მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ თუ საქართველოში შემოსავლები მნიშვნელოვნად გაიზრდება, მაშინ ერთ სულ მოსახლეზე სანელებლების მოხმარება 4-5-ჯერ გაიზრდება, დღეის მდგომარეობით წელიწადში 0,5 კგ-დან 2,5 კგ-მდე. ამგვარად, საქართველო მიუახლოვდება იმ დონეებს, რომლებიც ფიქსირდება აღმოსავლეთ ევროპის შესადარებელ ქვეყნებში, როგორიცაა ბულგარეთი, რუმინეთი და უნგრეთი. ქართველების მიერ წელიწადში მოხმარებული სანელებლების საერთო რაოდენობა 1 400 ტ-დან 7 000 ტ-ზე მეტად გაიზარდა.

პირველადი წარმოება თითქმის არ არსებობს.

საქართველოში არ არსებობს სანელებლების წარმოების ინდუსტრიული მასშტაბის არც ერთი მეურნეობა და ჭარბობს არარეგულარული და მცირე ზომის საოჯახო მეურნეობები. გრძელვადიანი დაგეგმვის არარსებობა, ასევე პირველადი წარმოების მექანიზაციისა და ტექნოლოგიების დაბალი დონე იწვევს ფასებისა და პროდუქციის მოცუ-

ლობისა და ხარისხის მნიშვნელოვან რყევას ყოველწლიურად. საბოლოო მომხმარებლისთვის უწყვეტი მიწოდების შენარჩუნების საჭიროებისა და საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტული ფასის მქონე სანელებლების ხელმისაწვდომობის აუცილებლობა გადამამუშავებელ საწარმოებს უბიძგებს პროდუქტის იმპორტირებისკენ და უარს ათქმევინებს ადგილობრივ მომწოდებლებზე. თუ სასოფლო-სამეურნეო და წარმოების მეთოდები არ გაუმჯობესდება და მასშტაბური არ გახდება (გარკვეული გამონაკლისებით), ადგილობრივი წარმოება ნაკლებად მიმზიდველი იქნება.

ამ სექტორის ძირითადი გამოწვევებია:

- მცირე მასშტაბი, თანამშრომლობის ნაკლებობა, თანამედროვე მასშტაბური მეურნეობების არარსებობა;
- აგრონომიული პრაქტიკისა და მცენარეთა დაცვის შესახებ ინფორმირებულობის დაბალი დონე;
- სასაქონლო ფასების ცვალებადობა და საკონტრაქტო წარმოების არარსებობა.

გადამამუშავებელ მრეწველობაში კვლავაც დომინირებს მცირე გადამამუშავებელი საწარმოები და არაფორმალური სექტორი, მაგრამ ჩნდება უფრო მსხვილი, თანამედროვე საწარმოებიც.

ბაზარზე სამი-ოთხი მსხვილი მოთამაშეა და ასამდე შედარებით მცირე ზომის საწარმო (ძირითადად, ინდივიდუალური მეწარმეები) და დაუდგენელი რაოდენობის პირები (არარეგისტრირებული), რომლებიც დღემდე მუშაობენ ბაზარზე და ძირითადად ამარაგებენ ღია ბაზრებს, და ასევე ზოგიერთი HoReCa-ს ოპერატორი. სექტორში თაღლითობის ბოლოდროინდელი შემთხვევების გამო ეს პირები თავს არიდებენ ღია კონტაქტს გარე მხარეებთან. უფრო დიდი ობიექტებიდან მხოლოდ ორია სერტიფიცირებული სურსათის უვნებლობის მართვის სისტემის სტანდარტების შესაბამისად.

წარმოდგენილი სეგმენტის ძირითადი გამოწვევებია:

- მაღალი ხარისხის ადგილობრივი ქართული ნედლეულის არარსებობა;
- შესაფუთი მასალების მაღალი ღირებულება, ეს მასალები ძირითადად იმპორტირებულია;
- საცალო მოვაჭრეების მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება, კონკურენცია უფრო მსხვილი სადისტრიბუციო კომპანიების მხრიდან;
- არაფორმალურ სექტორში გავრცელებული გაყალბების პრაქტიკა, რამაც შეიძლება რისკის წინაშე დააყენოს გადამამუშავებელ საწარმოთა რეპუტაცია;
- ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის არარსებობა, სადაც რეგულარულად შემოწმდებოდა ნედლეული მგრძნობიარე ნივთიერებებზე.

მაღალი დამატებული ღირებულების მქონე შეფუთვა ინტერესს იწვევს, თუმცა იძლევა მცირე შესაძლებლობას.

არსებობს რამდენიმე ინოვაციური მწარმოებელი, რომელთაც შეიმუშავეს საინტერესო კონცეფციები ქართული სანელებლების შეფუთვისა და მარკეტინგისთვის. მათი შეფუთვის დამატებული ღირებულება საშუალოზე მაღალია და მიუხედავად იმისა, რომ მიმზიდველად გამოიყურება, ძვირია და ნაკლებად მისაღები მასობრივი სამომხმარებლო ბაზრისთვის. ამ სეგმენტისთვის კიდევ უფრო დიდ პრობლემას წარმოადგენს ჭეშმარიტად ადგილობრივი რესურსის არარსებობა და მსხვილი საცალო მოვაჭრეების მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება.

სურსათის უვნებლობის სუსტი საბაზრო კონტროლი ბაზრის მთავარი ჩავარდნაა.

მრეწველობის ამ დარგში გავრცელებულია ფალსიფიკაცია და გაყალბება, რაც შეიძლება იყოს როგორც სხვა მცენარეების (მაგალითად, თივის), ისე არასაკვები დანამატების გამოყენება, როგორიცაა, მაგალითად, საღებავი „სუდანი“, რომელიც ჭარბად შეიცავს ტყვიას და იწვევს კვების პროდუქტის სამომხმარებლო ხარისხის მკვეთრ გაუარესებას სახიფათო დონემდე. ამ მხრივ ბაზრის წარუმატებლობის ძირითადი მიზეზებია:

- სანელებლების სექტორში სასურსათო ბიზნესოპერატორების ზუსტი და განახლებული რეესტრის არარსებობა;
- ევროკავშირის მოთხოვნათა შესაბამისად კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის შეფერხება;
- ევროკავშირისგან განსხვავებული „მესამე ქვეყნების“ განმარტება (ჩამონათვალი შესამოწმებელია);
- სუსტი შესრულება, კონტროლის მექანიზმების დაბალი დაფინანსება;
- ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის არარსებობა (რომელსაც მგრძნობიარე ნივთიერებების გაზომვის შესაძლებლობა ექნება).

რეკომენდაციები

რეკომენდაციები გამომდინარეობს ჩვენი შეხედულებიდან, თუ როგორი იქნება ქართული სანელებლების ინდუსტრია 10-15 წელიწადში. ამ ხედვით, საქართველო უნდა გახდეს წმინდა ექსპორტიორი ქვეყანა და უნდა იყოს სპეციალიზებული შეზღუდული რაოდენობის სანელებელზე, რომლებიც მხოლოდ საქართველოსთვისაა დამახასიათებელი და რომლებიც ძირითადად ორი-სამი მსხვილი კომპანიის მიერ იქნება წარმოებული და ექსპორტირებული. ქართველი მწარმოებლები მოამარაგებენ ევროკავშირის მსხვილ სავაჭრო კომპანიებს, რომლებიც ქართულ სანელებლებს ეროვნული სანელებლების პორტფელის ფარგლებში წარადგენენ და გაიტანენ ბაზარზე. მცირე ბრენდირებული მომწოდებლები ასევე იმუშავებენ სანელებლების სპეციალიზებულ მაღაზიებთან და რესტორნებთან.

წარმოდგენილი ხედვის განსახორციელებლად რეკომენდებულია შემდეგი აუცილებელი ქმედებები:

- მოახდინეთ ქართული სანელებლების კომერციალიზაცია.
- იმუშავეთ „საქპატენტთან“ სანელებლების ძირითადი ნარევებისთვის გეოგრაფიული აღნიშვნების (და

ადგილწარმოშობის დასახელებების) საკითხის გადასაწყვეტად.

- დაიწყეთ სამეცნიერო პროექტის განხორციელება უნიკალური ქართული სანელებლების აღმოჩენის, ათვისებისა და ინდუსტრიალიზაციისთვის.
    - გამოიკვლიეთ მიზანშეწონილობა სხვადასხვა სანელებლის სამრეწველო მასშტაბით წარმოების ეკონომიკის გასააზრებლად.
- გაუმჯობესეთ ძირითადი სექტორის საინფორმაციო ინფრასტრუქტურა.
    - შემოიღეთ ღონისძიებები სახელმწიფო ბიზნეს-რეესტრში ჩანაწერების ხარისხის გაუმჯობესებისთვის.
    - შეიმუშავეთ პროგრამა იმისათვის, რომ ჩატარდეს აღწერა და დარეგისტრირდეს სანელებლების პირველადი წარმოება/მოშენება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.
- დახვეწეთ სურსათის უვნებლობის პრინციპები.
    - უზრუნველყავით ტექნიკური და ფინანსური დახმარება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიისთვის.
    - გაამკაცრეთ სასაზღვრო კონტროლი.
    - მოამზადეთ კრიზისული რეაგირების სამოქმედო გეგმა სურსათის ეროვნულ სააგენტოში.
    - დაამყარეთ კოორდინაცია სურსათის ეროვნულ სააგენტოს, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს, შემოსავლების სამსახურსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის, კანონმდებლობის აღსრულებისთვის და გაყალბების მოკვლევადობის უზრუნველსაყოფად.
- შემოიღეთ კერძო სექტორის დახმარების პრაქტიკა.
    - შეიმუშავეთ ინტეგრირებული დახმარების (როგორც ტექნიკური, ისე ფინანსური) პროგრამა, რომელიც მიმართული იქნება სექტორში თანამშრომლობის დონის ამაღლებასა და მისი მასშტაბის გაფართოებაზე.
    - დაეხმარეთ ასოციაციის (ან კლასტერული ორგანიზაციის) შექმნას, რომ გახდეს წამყვანი პარტნიორი ამ პროცესში.
    - შეიმუშავეთ ცოდნისა და ცნობიერების ამაღლების ყოვლისმომცველი პროგრამა ქართველი სანელებლების მწარმოებლებისათვის.

ანგარიშის სტრუქტურა

წინამდებარე ანგარიში შედგება შვიდი თავისგან. პირველი თავი წარმოადგენს ზოგად მიმოხილვას. მეორე თავში განხილულია მეთოდოლოგია, რომელიც ჩვენ გამოვიყენეთ ამ ანგარიშის მომზადებისას, ხოლო მესამე თავში მოცემულია ადგილობრივი და უცხოური სანელებლების მოკლე მიმოხილვა, რომლებიც გამოიყენება ქართულ სამზარეულოში, ასევე სანელებლების ნარევები.

მეოთხე თავი წარმოადგენს ანგარიშის ძირითად ნაწილს, სადაც აღწერილია ქართული სანელებლების მრეწველობის ზომა და სტრუქტურა, მათ შორის, იმპორტი, ექსპორტი, შიდა წარმოება, დარგის სტრუქტურა და სექტორში მოქ-მედი ბიზნესოპერატორები.

მეხუთე თავში მოკლედ არის მიმოხილული სურსათის უვნებლობის მოთხოვნები ამ სექტორში, საქართველოში, ევროკავშირსა და აშშ-ში, ხოლო მეექვსე თავში განხილულია ქართული სანელებლებისთვის პერსპექტიული ბაზრები. დასკვნით თავში კი წარმოდგენილია ჩვენი სამუშაოს საფუძველზე გაკეთებულ დასკვნები და რეკომენდაციები.მეთოდოლოგიური შენიშვნები

წინამდებარე თავში მოკლედ არის აღწერილი ის მეთოდები, რომლებიც ჩვენ გამოვიყენეთ სანელებლების სამრეწველო დარგის შესასწავლად.

ჩვენ გამოვიყენეთ ფაქტების მოძიების ოთხი მეთოდი; გავაანალიზეთ თითოეული მეთოდიდან მიღებული შედეგები და გამოვიტანეთ დასკვნები. ეს ოთხი მეთოდია:

- მაღაზიის შემოწმება
- არსებული მასალების ყოვლისმომცველი მიმოხილვა
- გასაუბრება ინფორმაციის მთავარ მომწოდებლებთან
- ობიექტების მონახულება და ინტერვიუები ბაზრის ძირითად მოთამაშეებთან (მაგ., როგორიცაა იმპორტიორები, გადამამუშავებელი საწარმოები, გამყიდველები, საბოლოო მომხმარებლები)

მაღაზიის შემოწმება

მაღაზიის ყოველმხრივი შემოწმება ჩატარდა იმის გასარკვევად, თუ რა მდგომარეობაა თანამედროვე საცალო და ორგანიზებულ ბაზრებზე სხვადასხვა მწარმოებლებსა და გაყიდულ ბრენდებთან დაკავშირებით და რა არის ხელმისაწვდომი ღია აგრარულ ბაზრებზე. შედეგები დაგვეხმარა გვეპოვა როგორც ძირითადი მწარმოებლები, ისე იმპორტიორები და შეგვქმნოდა წარმოდგენა შედარებითი ფასების შესახებ.

კაბინეტური კვლევა

განვითარებულ სამყაროში სანელებლების სექტორი კარგად არის გამოკვლეული, საქართველოში კი ეს სფერო საერთოდ შეუსწავლელია. ამ დარგის მდგომარეობის შესახებ თითქმის არც ერთი ანგარიში არ არის ხელმისაწვდომი და სწორედ ამან განაპირობა წინამდებარე ანგარიშის მომზადება. სამწუხაროდ, ვერ მივაკვლიეთ ვერანაირ საბუთს იმის შესახებ, რომ რომელიმე დონორ ორგანიზაციას განხილული ჰქონოდეს ამ სექტორის საჭიროებები.

არსებული მასალების კაბინეტური კვლევა მოიცავდა ხელმისაწვდომი სტატისტიკური მონაცემების ანალიზს; არსებული ინფორმაცია იყო მწირი, არ იძლეოდა სხვადასხვა ტიპის სანელებლებს შორის სათანადო დიფერენციაციის საშუალებას და, შესაბამისად, ანალიზის შესაძლებლობაც შეზღუდული იყო. ინფორმაციის შემცველი ამ ძირითადი წყაროების ნაკლოვანებებია:

- მოძველებული ბიზნესრეესტრი, რომელიც არ იძლევა იმის გარკვევის შესაძლებლობას, მუშაობს თუ არა კომპანია;
- მწირი მონაცემები იმპორტ-ექსპორტის შესახებ, რომლებიც არ იძლევა ცალკეულ სანელებლებს შორის დიფერენცირების შესაძლებლობას (მაგ., დაფნა და უცხო სუნელი ერთი HS კოდის ქვეშ არის მოცემული);
- ცალკეული სანელებლების ქვეშ ნათესი მიწის ფართობების შესახებ სტატისტიკური მონაცემებისა და აგრონომიული მაჩვენებლების (მაგ., მოსავლიანობა) ან ფრანკო-ფერმის ფასების შესახებ ინფორმაციის არარსებობა.

აღნიშნული სირთულეების მიუხედავად, ჩვენ მაინც მოვიპოვეთ ყველა არსებული მონაცემი; წინამდებარე ანგარიშში ასახულია ამ მონაცემთა ანალიზი.

ჩვენ ასევე მიმოვიხილეთ საერთაშორისო ბაზრის ანგარიშებიც.

გასაუბრება ინფორმაციის მთავარ მომწოდებლებთან

გამოკითხულთა შორის იყვნენ ადამიანები, რომლებიც იცნობენ სანელებლებსა და სანელებლების ბაზარს. მათ შორის იყვნენ რესტორნების შეფ-მზარეულები, სასურსათო მრეწველობისა და გადამამუშავებელი დარგის ტექნოლოგები; კულინარიისა და საკვები მცენარეების სფეროს მეცნიერები; სურსათის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტისა და ეროვნული საპატენტო ბიუროს წარმომადგენლები. გამოიკითხა ინფორმაციის ათი ძირითადი მომწოდებელი.

ობიექტების მონახულება და ინტერვიუები

დავუკავშირდით (ან, ყოველ შემთხვევაში, ვცადეთ დაკავშირება) და გავესაუბრეთ სასურსათო მრეწველობის სანელებლების სექტორში რეგისტრირებულ ყველა იურიდიულ პირს. ამ პირთა უმრავლესობა ჩვენ მიზანს არ პასუხობდა, რადგან ისინი 1) სანელებლების დარგში საერთოდ არ მუშაობენ, 2) აღარ მუშაობენ ან 3) მათთან დაკავშირება შეუძლებელი იყო, რის გამოც დავასკვენით, რომ ეს კომპანიები დაიხურა.

ვეწვიეთ ყველა მნიშვნელოვან გადამამუშავებელ საწარმოს და ყველა მათგანი განხილულია წარმოდგენილ ანგარიშში. გადავამოწმეთ, რომ მაღაზიის შემოწმებისას გამოვლენილი ყველა ბრენდი ჩართული ყოფილიყო მნიშვნელოვან გადამამუშავებელ საწარმოთა ჩამონათვალში.

ძირითადი სანელებლების მიმოხილვა

წინამდებარე თავში მიმოხილულია სანელებლები, რომელთაც იყენებენ ქართულ სამზარეულოში. ზოგიერთი სანელებელი საქართველოში მოდის და ზოგი - არა. შესაბამისად, არსებობს სამი სეგმენტი:

- ადგილობრივი ქართული სანელებლები - ქართული სამზარეულოს ნაწილს წარმოადგენს და ტრადიციულად საქართველოში იზრდება;
- არაადგილობრივი წარმოშობის ქართული სანელებლები - ქართული სამზარეულოს ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ ტრადიციულად საქართველოში არ იზრდება;[5]
- ქართული სანელებლების ნარევები.

თითოეული სანელებლის შესახებ ძირითადი ინფორმაცია მოკლედ არის მიმოხილული.

ადგილობრივი ქართული სანელებლები

ქართულ სამზარეულოში შვიდი ძირითადი სანელებელია, რომლებიც ტრადიციულად საქართველოში იზრდება.

ქვემოთ გთავაზობთ მათ აღწერას.

ქინძი

ქინძი ფართოდ გამოიყენება ქართულ სამზარეულოში. ამ მცენარის ყველა ნაწილი საკვებია, მაგრამ ტრადიციულად ქარ-თულ კერძებში ძირითადად გამოიყენება ნედლი ფოთლები და ხმელი თესლი. ქინძი ერთწლიანი მცენარეა. მისი სიმაღლე 10-დან 50 სმ-მდეა. აქვს თეთრი ან ყვითელი ყვავილები და მრგვალი ნაყოფი. არის ძალზე ყინვაგამძლე. თესლს ძირითა-დად სანელებლად იყენებენ.

ქართული რეცეპტები, რომლებშიც ქინძის დაფქული თესლი გამოიყენება, არის ტოლმა, ქათმის ღვიძლის ჩაშუშული და სხვ.

ქინძის მახასიათებლები

მახასიათებელი	აღწერილობა
საქართველოს რეგიონები, სადაც იზრდება	აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დაბლობებში, აგრეთვე სამხრეთ საქართველოს ზოგიერთ თემში
მიწის ფართობის ტიპიური ზომა	დაახლოებით 3 000 $მ^2$
წარმოების ღირებულება	12 000 - 13 000 ლარი/ჰა
ფრანკო-ფერმის ფასი	2 - 10 ლარი/კგ
მოსავალი	18 - 25 ტ/ჰა
Hs კოდი	**090921 – ქინძის თესლი**
იმპორტი 2018 წ. (ღირებულება – მოცულობა)	228 954 აშშ დოლარი – 584,5 ტ
ექსპორტი 2018 წ. (ღირებულება – მოცულობა)	50 აშშ დოლარი – 0,04 ტ
იმპორტ-ექსპორტის გაანგარიშებული ფასები	0,40 – 1,43 აშშ დოლარი/კგ
Hs კოდი	**090922 – ქინძის თესლი (დაქუცმაცებული/დაფქული)**
იმპორტი 2018 წ. (ღირებულება – მოცულობა)	7 500 აშშ დოლარი – 34,1 ტ
ექსპორტი 2018 წ. (ღირებულება – მოცულობა)	646 აშშ დოლარი – 0,14 ტ
იმპორტ-ექსპორტის გაანგარიშებული ფასები	0,22 – 4,32 აშშ დოლარი/ტ

წყარო: TBSC -ის ანალიზი.

ულუმბო

ულუმბო ფართოდ გამოიყენება ქართულ გასტრონომიაში კვების პროდუქტების არომატიზაციისთვის. ტურისტებში ის არის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ქართული სუნელი. იგივეა, რაც უცხო სუნელი (Blue Fenugreek). ულუმბო ერთწლიანი მწვანილია, რომელიც ველურად იზრდება საქართველოს ჩრდილოეთით, მთიან რაიონებში. მცენარე ულუმბო 50-დან 70 სმ სიმაღლისაა და ცისფერი ყვავილი აქვს. იგი შეიცავს C და B ვიტა-მინებს, კალიუმს, ტყვიასა და სხვა მინერალებს, ნახშირწყლებს, ცხიმებსა და პროტეინს. ულუმბოს მცენარის მარცვლები შეიძლება ინახებოდეს ორი წლის განმავლობაში, ხოლო ფოთლები – ერთი წელი. ულუმბოს მოსამზადებლად თესლი და ღეროები ერთად იფქვება მოყვითალო-მოყავისფრო ფერის ფხვნილის მიღებამდე, რომელიც არის არომატული და ოდნავ ცხარე. ულუმბოს სამშობლოდ მიჩნეულია დასავლეთი აზია და ხმელთაშუა ზღვის სანაპირო.

ულუმბო ხმელი სუნელის ნარევის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესო ქართულ ტრადიციულ ნაზავს წარმოადგენს. ულუმბო ასევე გამოიყენება აჯიკაში. ქართულ კულინარიაში ულუმბო ტრადიციულად გამოიყენება მშრალი ფორმით.

---

[1] შესაძლოა, არაადგილობრივი ქართული სანელებლები ერთ დროს იზრდებოდა საქართველოში, თუმცა დღეს ისინი ძირითადად იმპორტირებულია.

ულუმბოს მახასიათებლები

მახასიათებელი	აღწერილობა
საქართველოს რეგიონები, სადაც იზრდება	აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო. აღმოჩნდა, რომ ულუმბო იწარმოება ახალქალაქის ორ თემში (განხილულია ქვემოთ)
მიწის ფართობის ტიპიური ზომა	კომერციული ფერმები 2 ჰექტრამდე, მაქს. ზომა 40-50 ჰა
წარმოების ღირებულება	5 000 - 7 000 ლარი/ჰა
ფრანკო-ფერმის ფასი	13 - 15 ლარი/კგ
მოსავალი	1,5 - 2 ტ/ჰა
Hs კოდი	**091099 კოდის ქვეშ სხვა სანელებლებია**

წყარო: TBSC -ის ანალიზი.

ძირა

ძირა ასევე ძალიან დამახასიათებელი სანელებელია, რომელიც მოდის საქართველოში. ძირას დაფქული თესლი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ინგრედიენტია კერძებში, რომლებსაც საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ამზადებენ. ძირა გვალვაგამძლე, ტროპიკული ან სუბტროპიკული კულტურაა. მისი ზრდის სეზონი 100-დან 120 დღემდე გრძელდება. ოპტიმალური ზრდის ტემპერატურა 25-30°C ფარგლებში მერყეობს. ძირას სამშობლოდ ითვლება აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი.

დაფქული ძირა მნიშვნელოვანი ინგრედიენტია ხინკალში, რომელიც ქართული სამზარეულოს ყველაზე ცნობილი კერძია. ქართულ კულინარიაში ძირა ტრადიციულად მშრალი ფორმით გამოიყენება.

ძირას მახასიათებლები

მახასიათებელი	აღწერილობა
საქართველოს რეგიონები, სადაც იზრდება	მთელ საქართველოში, სახლების ეზოებში. ველური ძირა მოიპოვება მთიან სვანეთში
მიწის ფართობის ტიპიური ზომა	-
წარმოების ღირებულება	7 000 - 9 000 ლარი/ჰა
ფრანკო-ფერმის ფასი	-
მოსავალი	18 - 15 ტ/ჰა
Hs კოდი	**090931 – ძირას თესლი**
იმპორტი 2018 წ. (ღირებულება – მოცულობა)	40 300 აშშ დოლარი – 25,4 ტ
ექსპორტი 2018 წ. (ღირებულება – მოცულობა)	ნმ
იმპორტ-ექსპორტის გაანგარიშებული ფასები	1,60 – ნმ აშშ დოლარი/კგ
Hs კოდი	**090932 – ძირას თესლი (დაქუცმაცებული)**
იმპორტი 2018 წ. (ღირებულება – მოცულობა)	7 800 აშშ დოლარი – 1,5 ტ
ექსპორტი 2018 წ. (ღირებულება – მოცულობა)	201 აშშ დოლარი – 0,06 ტ
იმპორტ-ექსპორტის გაანგარიშებული ფასები	1,98 – 3,35 აშშ დოლარი/ტ

წყარო: TBSC -ის ანალიზი.

ქონდარი

ქონდარი კიდევ ერთი პოპულარული სანელებელია, რომელსაც დიდი რაოდენობით მოიხმარენ საქართველოში. ქონდრის სამშობლოდ სამხრეთ ევროპა მიიჩნევა. მცენარეს უყვარს თბილი ამინდი. საუკეთესოდ ვითარდება 18-დან 25°C-მდე ტემპერატურის პირობებში. ქონდრისთვის სინათლე მნიშვნელოვანი ფაქტორია. ქონდრის მოკრეფილი მცენარე უნდა გაშრეს და შემდეგ ინახება მინის ქილებში ან ქაღალდის შეფუთვაში. მისი გაშრობის საუკეთესო პირობებია 30°-დან 35°C-მდე ტემპერატურა. ქონდარი მდიდარია C, B1, B2 და PP ვიტამინებით. ბეგქონდარა ქონდრის ცნობილი სახეობაა. ეს არის 15-დან 50 სმ-მდე ბუჩქოვანი მცენარე, რომელიც ძირითადად გვხვდება მაღალმთიან ალპურ ზონებში, იზრდება ხეობებში, მშრალ ადგილებში და განსაკუთრებულ ტემპერატურულ პირობებს არ მოითხოვს, რადგან ნებისმიერ ტემპერატურაზე ხარობს.

საქართველოში ქონდარი გამოიყენება მწნილებისა და სხვა კერძების მომზადებისას. ტრადიციულად, ქართულ სამზარეულოში ქონდარი გამოიყენება როგორც მშრალი, ისე ნედლი სახით. ბეგქონდარას ქართულ კულინარიაში ტრადიციულად მშრალი ფორმით იყენებენ.

ქონდრის მახასიათებლები

მახასიათებელი	აღწერილობა
საქართველოს რეგიონები, სადაც იზრდება	ქვემო ქართლი
მიწის ფართობის ტიპიური ზომა	300 $მ^2$-მდე
წარმოების ღირებულება	11 000 - 13 000 ლარი/ჰა
ფრანკო-ფერმის ფასი	10 ლარი/კგ
მოსავალი	15 - 20 ტ/ჰა
Hs კოდი	**ნარევები სხვა სუნელებთან 091099**
იმპორტი 2018 წ. (ღირებულება – მოცულობა)	352 200 აშშ დოლარი – 274,5 ტ
ექსპორტი 2018 წ. (ღირებულება – მოცულობა)	8 465 000 აშშ დოლარი – 4 608 ტ
იმპორტ-ექსპორტის გაანგარიშებული ფასები	1,28 – 1,84 აშშ დოლარი/ტ

წყარო: TBSC -ის ანალიზი.

ხავერდა

ხავერდა საქართველოში ასევე ცნობილია „ყვითელი ყვავილის“ ან „იმერული შაფრანი/ზაფრანას“ სახელით. შესაძლოა მიეკუთვნებოდეს იმ მცირერიცხოვან სუნელებს, რომლებშიც საქართველოს შეიძლება ჰქონდეს კონკურენტული უპირატესობა. ეს არის ყვავილოვანი მცენარე რთულყვავილოვანთა ოჯახიდან. მისი სამშობლოა სამხრეთი და ცენტრალური ამერიკა. ყვავილი ერთწლიანია, ბუჩქოვანი ფორმის და მძაფრი სუნი აქვს. მისი სიმაღლე 20-დან 120სმ-მდე აღწევს. ხავერდას უყვარს სინათლე და სითბო, ვერ იტანს სიცივეს და კარგად ვითარდება 18-დან 20°C ტემპერატურამდე. 10°C-ზე დაბალი ტემპერატურის პირობებში მცენარე წყვეტს განვითარებას.

ქართულ სამზარეულოში „იმერული ზაფრანა“ ბევრ ტრადიციულ კერძში გამოიყენება, მათ შორის, ხარჩოში. ქართულ კულინარიაში ამ სუნელს ტრადიციულად მოიხმარენ მშრალი ფორმით.

ხავერდას მახასიათებლები

მახასიათებელი	აღწერილობა
საქართველოს რეგიონები, სადაც იზრდება	შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, იმერეთი
მიწის ფართობის ტიპიური ზომა	1 ჰა-ზე ნაკლები
წარმოების ღირებულება	7 000 - 9 000 ლარი/ჰა
ფრანკო-ფერმის ფასი	8 - 12 ლარი/კგ
მოსავალი	5 - 7 ტ/ჰა
Hs კოდი	**091020 – ზაფრანა**
იმპორტი 2018 წ. (ღირებულება – მოცულობა)	8 100 აშშ დოლარი – 3,8 ტ
ექსპორტი 2018 წ. (ღირებულება – მოცულობა)	7 000 აშშ დოლარი – 1 ტ
იმპორტ-ექსპორტის გაანგარიშებული ფასები	2,13 – 8,08 აშშ დოლარი/ტ

წყარო: TBSC -ის ანალიზი.

წიწაკა

წიწაკა ან ე.წ. ჩილი ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გამოყენებული სანელებელია და ბევრი ქართული ნარევის ნაწილია. ეს არის ერთწლიანი, ნახევრად ბუჩქოვანი მცენარე, აქვს 20-27 სახეობა, რომელთაც ზრდის განსხვავებული პირობები აქვთ. ქართულ სამზარეულოში წიწაკას იყენებენ ყველა სახის ხორცის, თევზისა და ბოსტნეულის კერძებში და ასევე ზოგიერთ სოუსსა და საკვებ დანამატებში. ქართულ კულინარიაში წიწაკა ტრადიციულად გამოიყენება როგორც მშრალი, ისე ნედლი ფორმით.

წიწაკის მახასიათებლები

მახასიათებელი	აღწერილობა
საქართველოს რეგიონები, სადაც იზრდება	ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, კახეთი
მიწის ფართობის ტიპიური ზომა	0,5 - 10 ჰა
წარმოების ღირებულება	13 000 - 17 000 ლარი/ჰა
ფრანკო-ფერმის ფასი	1 - 3 ლარი/კგ
მოსავალი	15 - 25 ტ/ჰა
Hs კოდი	**090421 – წიწაკა (მთელი)**
იმპორტი 2018 წ. (ღირებულება – მოცულობა)	52 000 აშშ დოლარი – 19,4 ტ
ექსპორტი 2018 წ. (ღირებულება – მოცულობა)	ნმ
იმპორტ-ექსპორტის გაანგარიშებული ფასები	2,68 – ნმ აშშ დოლარი/ტ
Hs კოდი	**090422 – წიწაკა (დაქუცმაცებული)**
იმპორტი 2018 წ. (ღირებულება – მოცულობა)	498 000 აშშ დოლარი – 396,5 ტ
ექსპორტი 2018 წ. (ღირებულება – მოცულობა)	4 000 აშშ დოლარი – 1 ტ
იმპორტ-ექსპორტის გაანგარიშებული ფასები	1,25 – 6,81 აშშ დოლარი/ტ

წყარო: TBSC -ის ანალიზი.

დაფნა

დაფნა მთავარი ქართული საექსპორტო სანელებელია, რომლის ექსპორტზეც სტაბილური მოთხოვნაა. მცენარე დაფნისებრთა ოჯახის წევრია, რომელიც 45-მდე ძირითად ჯიშსა და ათასზე მეტ სახეობას ითვლის იმერეთში. დაფნა წარმოადგენს მარადმწვანე ხეს ან ბუჩქს, რომელსაც მაგარი ფოთლები აქვს. იდეალურ პირობებში მისი სიმაღლეა 2-დან 5 მეტრამდე – ბუჩქის შემთხვევაში ან 6-დან 10 მეტრამდე – ხის შემთხვევაში. საქართველოს დასავლეთ მხარეში მცენარეს შეუძლია -13°C-დან 0°C-მდე ტემპერატურა აიტანოს, მაგრამ მხოლოდ ხანმოკლე პერიოდის მანძილზე. ყინვა ზიანს აყენებს მცენარეს და -16°C-დან 0°C-მდე ტემპერატურაზე ზიანდება ფოთლები და ერთ და ორწლიანი ყლორტები. დაფნა გვალვაგამძლეა და სხვადასხვა სახის ნიადაგში იზრდება. თუმცა სასურველია, ნიადაგი შეიცავდეს ჰუმუს-კარბონატს, ფხვიერი და წყალგამტარი იყოს. დაფნა ვერ იტანს ჭარბტენიან ნიადაგებს და ნიადაგქვეშა წყლების სიახლოვეს. დაფნის ხის სამშობლოა მცირე აზია, საიდანაც გავრცელდა ხმელთაშუა და შემდგომ – სხვა, მსგავსი კლიმატის მქონე ქვეყნებში.

ტრადიციულ ქართულ სამზარეულოში დაფნის ფოთოლი მშრალი ფორმით გამოიყენება. დაფნა მრავალი ხორციანი კერძის აუცილებელი ინგრედიენტია.

დაფნის მახასიათებლები

მახასიათებელი	აღწერილობა
საქართველოს რეგიონები, სადაც იზრდება	იმერეთი, სამეგრელო
მიწის ფართობის ტიპიური ზომა	0,5-1,5 ჰა
წარმოების ღირებულება	38 000 - 45 000 ლარი/ჰა
ფრანკო-ფერმის ფასი	2,5 - 5 ლარი/კგ
მოსავალი	3 - 5 ტ/ჰა
Hs კოდი	დაფნას ცალკე კოდი არ აქვს და იგი მოყვანილია 091099 კოდის ქვეშ – სხვა სანელებლები, სადაც მას ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს.
იმპორტი 2018 წ. (ღირებულება – მოცულობა)	352 200 აშშ დოლარი – 274,5 ტ
ექსპორტი 2018 წ. (ღირებულება – მოცულობა)	8 465 000 აშშ დოლარი – 4 608 ტ
იმპორტ-ექსპორტის გაანგარიშებული ფასები	1,28 – 1,84 აშშ დოლარი/ტ

წყარო: TBSC -ის ანალიზი.

არაადგილობრივი ქართული სანელებლები

არსებობს სანელებლების ხუთი სახეობა, რომლებიც ქართული სამზარეულოს ნაწილს შეადგენს, მაგრამ, ჩვეულებრივ, საქართველოში არ იზრდება (ანუ არც ისე დიდი ხნის წინ შემოიტანეს). საქართველოში ამ მცენარეების მოყვანის ეკონომიკური მიზანშეწონილობის არანაირი კვლევა არ ჩატარებულა, თუმცა პილპილსა (ზოგ საგანგებოდ გაშენებულ ბაღში გვხვდება ცალკეული ხეები) და კოჭას გარკვეული პოტენციალი შეიძლება ჰქონდეს.



პილპილი

პილპილი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი და ყველაზე დიდი ოდენობით იმპორტირებული სანელებელია.[2] იგი წარმოადგენს ნახევრად ბუჩქ-ოვანი მცენარის თესლს. პილპილი წარმოშობით ინდოეთის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილიდან არის. მცენარის სიმაღლე 4-5 მეტრს აღწევს. შავი პილპილის ხეები მთელ საქართველოში გვხვდება, საცხოვრებელი სახლების ეზოებში.

შავი პილპილი აქტიურად გამოიყენება ყოველდღიურ საკვებსა და საკონსერვო მრეწველობაში. ტრადიციულად, ქართულ სამზარეულოში შავი პილპილი მშრალი ფორმით გამოიყენება. შავი პილპილი არის ცნობილი ქართული კერძების მნიშვნე-ლოვანი ინგრედიენტი, როგორიცაა, მაგალითად, ხინკალი და შილა-ფლავი.

შავი პილპილის მახასიათებლები

მახასიათებელი	აღწერილობა
Hs კოდი	090411 – პილპილი (მთელი)
იმპორტი 2018 წ. (ღირებულება – მოცულობა)	582 200 აშშ დოლარი – 195,3 ტ
ექსპორტი 2018 წ. (ღირებულება – მოცულობა)	1 300 აშშ დოლარი – 0,08 ტ
იმპორტ-ექსპორტის გაანგარიშებული ფასები	2,98 – 14 აშშ დოლარი/ტ
Hs კოდი	090412 – პილპილი (დაქუცმაცებული)
იმპორტი 2018 წ. (ღირებულება – მოცულობა)	330 400 აშშ დოლარი – 137,1 ტ
ექსპორტი 2018 წ. (ღირებულება – მოცულობა)	13 000 აშშ დოლარი – 1 ტ
იმპორტ-ექსპორტის გაანგარიშებული ფასები	2,41 – 9,25 აშშ დოლარი/ტ

წყარო: TBSC -ის ანალიზი.

კოჭა

კოჭა მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა და ფართოდ გამოიყენება, როგორც სანელებელი და ხალხური სამკურნალო საშუალება. სუპერმარ-კეტებში წარმოდგენილია კოჭას სხვადასხვა სახეობა, მაგალითად: თეთრი კოჭა, ჩინური კოჭა და ბანგალორის კოჭა. კოჭას სამშობლოა სამხრეთ აზია.

ტრადიციულ ქართულ სამზარეულოში კოჭა მშრალი ფორმით გამოიყენე-ბა. საქართველოში კოჭას ძირითადად საკონდიტრო ნაწარმში და ლიმო-ნათების მოსამზადებლად იყენებენ.

კოჭას მახასიათებლები

მახასიათებელი	აღწერილობა
Hs კოდი	091011 – კოჭა
იმპორტი 2018 წ. (ღირებულება – მოცულობა)	282 900 აშშ დოლარი – 162,8 ტ
ექსპორტი 2018 წ. (ღირებულება – მოცულობა)	111 000 აშშ დოლარი – 62 ტ
იმპორტ-ექსპორტის გაანგარიშებული ფასები	1,74 – 1,80 აშშ დოლარი/ტ
Hs კოდი	091012 – კოჭა (დაქუცმაცებული)
იმპორტი 2018 წ. (ღირებულება – მოცულობა)	4 500 აშშ დოლარი – 1 ტ
ექსპორტი 2018 წ. (ღირებულება – მოცულობა)	494,4 აშშ დოლარი – 0,05 ტ
იმპორტ-ექსპორტის გაანგარიშებული ფასები	4,65 – 9,18 აშშ დოლარი/ტ

წყარო: TBSC -ის ანალიზი.

კარდამონი

კარდამონი ტრადიციული და საყვარელი სანელებელია ყველა ევროპული სამზარეულოსთვის. სანელებლად გამოიყენება მრავალწლოვანი, ბუჩქ-ვანი მცენარის თესლი, რომელიც ძალიან ნელა მწიფდება, 7-8 თვის გან-მავლობაში. სუპერმარკეტებში კარდამონი მთლიანი თესლის ან დაფქული სახით იყიდება. დაფქული კარდამონი უფრო ნაკლები ღირს, რადგან ხა-რისხს კარგავს და ვარგისიანობის მოკლე ვადა აქვს. კარდამონის სამშობ-ლოა შრი-ლანკა და ინდოეთი. ტრადიციულ ქართულ სამზარეულოში კარ-დამონი მშრალი ფორმით გამოიყენება. კარდამონს ძირითადად საკონ-დიტრო ნაწარმში იყენებენ.

[2] პილპილი ჩვეულებრივ შავი ფერისაა და ამიტომ ხშირად შავ პილპილს უწოდებენ. თუმცა პილპილი მრავალი ფერისაა, მათ შორის, წითელი და ყვითელი.

კარდამონის მახასიათებლები

მახასიათებელი	აღწერილობა
Hs კოდი	090831 – კარდამონი (მთელი)
იმპორტი 2018 წ. (ღირებულება – მოცულობა)	53 000 აშშ დოლარი – 3,5 ტ
ექსპორტი 2018 წ. (ღირებულება – მოცულობა)	430,1 აშშ დოლარი – 0,02 ტ
იმპორტ-ექსპორტის გაანგარიშებული ფასები	14,9 – 15 აშშ დოლარი/ტ
Hs კოდი	090832 – კარდამონი (დაქუცმაცებული)
იმპორტი 2018 წ. (ღირებულება – მოცულობა)	3 000 აშშ დოლარი – 0,1 ტ
ექსპორტი 2018 წ. (ღირებულება – მოცულობა)	6მ
იმპორტ-ექსპორტის გაანგარიშებული ფასები	22,51 – 6მ აშშ დოლარი/ტ

წყარო: TBSC -ის ანალიზი.

კურკუმა

კურკუმა, რომელიც ასევე ცნობილია, როგორც ტურმერიკი, დაახლოებით ერთი მეტრი სიმაღლის, მრავალწლოვანი მცენარეა და ბალახოვანი მცენარის ფესვი აქვს. მის სამშობლოდ მიჩნეულია ინდოეთი. კურკუმის დაახლოებით 40 სახეობაა და კვების მრეწველობაში შემდეგი ოთხია გამოყენებული: ჩვეულებრივი კურკუმა, არომატული კურკუმა, კურკუმა ზედოარია და მრგვალი კურკუმა. ნარინჯისფერი კურკუმა უკეთესია, რადგან უკეთესად ინარჩუნებს კარგ თვისებებს, ვიდრე უფრო ღია ფერების კურკუმა.

ტრადიციულ ქართულ სამზარეულოში კურკუმა ხმელი ფორმით გამოიყენება. საქართველოში კურკუმას ძირითადად ფლავში იყენებენ. სხვა ქართულ კერძებში ეს სანელებელი ფართოდ არ მოიხმარება.

კურკუმას მახასიათებლები

მახასიათებელი	აღწერილობა
Hs კოდი	091030 – კურკუმა
იმპორტი 2018 წ. (ღირებულება – მოცულობა)	53 500 აშშ დოლარი – 32,5 ტ
ექსპორტი 2018 წ. (ღირებულება – მოცულობა)	1 400 აშშ დოლარი – 0,2 ტ
იმპორტ-ექსპორტის გაანგარიშებული ფასები	1,64 – 5,79 აშშ დოლარი/ტ

წყარო: TBSC -ის ანალიზი.

დარიჩინი

დარიჩინი ძალიან პოპულარული სანელებელია, რომელიც წარმოშობით ტროპიკული ქვეყნებიდანაა. დარიჩინი არის სანელებელი, რომელსაც რამდენიმენაირი დარიჩინის ხის ქერქის დამუშავებით ამზადებენ. გამოიყენება ცეილონის, ჩინური, მალაბურისა და არომატული დარიჩინის სახეობები, მათ შორის საუკეთესოა ცეილონის. მსოფლიოს ტროპიკულ ტყეებში დარიჩინის ხეები სიმაღლეში 10-დან 12 მეტრამდე იზრდება, მაგრამ კომერციულ ბაღებში, პერიოდული შეკრეჭის გამო, იგი ბუჩქოვანი მცენარეა. საუკეთესო დარიჩინი მაქსიმალურად თხელი ქერქისგან მიიღება.

ტრადიციულ ქართულ სამზარეულოში დარიჩინი მშრალი ფორმით გამოიყენება. საქართველოში დარიჩინს ძირითადად საკონდიტრო ნაწარმში იყენებენ. იგი ასევე ცნობილი ქართული კერძის, ჩაქაფულის, მოსამზადებლად გამოიყენება.

დარიჩინის მახასიათებლები

მახასიათებელი	აღწერილობა
Hs კოდი	090611 – დარიჩინი
იმპორტი 2018 წ. (ღირებულება – მოცულობა)	5 200 აშშ დოლარი – 3,7 ტ
ექსპორტი 2018 წ. (ღირებულება – მოცულობა)	58 აშშ დოლარი – 0,02 ტ
იმპორტ-ექსპორტის გაანგარიშებული ფასები	1,40 – 2,90 აშშ დოლარი/მტ

წყარო: TBSC -ის ანალიზი.

ქართული სანელებლების ნარევები

ქართულ სამზარეულოში სამი სახის ტრადიციული სანელებლების ნარევი გამოიყენება. ქვემოთ წარმოვადგენთ მათ აღწერილობას.

აჯიკა

აჯიკა არის ცხარე, სურნელოვანი პასტა, რომელსაც ხორცისა და თევზის კერძების საკმაზად იყენებენ, ძირითადად, სამეგრელოსა და აფხაზეთში. აჯიკის დასამზადებლად იყენებენ ცხარე წითელ წიწაკას (Capsicum), ნიორს, მწვანილსა და სუნელებს. გარეგნულად და კონსისტენციით აჯიკა იტალიურ წითელ პესტოს ჰგავს. მშრალი ფორმით იგი შესაზავებლად გამოიყენება ხორცისა და ბოსტნეულის კერძებში. აჯიკის ორი ძირითადი სახეობაა – მშრალი და სველი.

სვანური მარილი

სვანურ მარილს, რომელსაც საქართველოს მთიან ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე სვანეთის რეგიონში ამზადებენ, უნიკალური სურნელი და გემო აქვს და ტრადიციულად გამოიყენება როგორც საკმაზი სხვადასხვა ხორცის, თევზის, კარტოფილისა და წვნიანი კერძებისთვის, ასევე სუფრის მარილის ნაცვლად. სვანური მარილის ნარევი ხელით მზადდება სპეციალურ ხის როდინში, მინიმუმ რვა ინგრედიენტისგან, მათ შორისაა, ჩვეულებრივი მარილი, ნიორი, ხავერდა, ქინძი და უცხო სუნელი. 1 კგ სვანური მარილის მომზადებას რამდენიმე საათი სჭირდება.

ხმელი სუნელი

ხმელი სუნელი სხვადასხვა სანელებლების ნარევია და ტრადიციულად მთელ საქართველოში გამოიყენება. ხმელი სუნელი წარმოადგენს ისეთი ბალახოვანი სუნელების კომბინაციას, როგორიცაა ულუმბო, წითელი პილპილი, ოხრახუში, ნიახური, ქინძი, კამა, დაფნის ფოთოლი, პიტნა, ზაფრანა და სხვა ინგრედიენტები (თითოეული მზარეულის საიდუმლოება). ტრადიციულად, ხმელი სუნელი ხარჩოს და საცივის მოსამზადებლად გამოიყენება.

საერთაშორისო ვაჭრობაში მშრალი აჯიკა, სვანური მარილი, ხმელი სუნელი და მსგავსი ქართული ნარევები მითითებულია HS 091091 კოდის ქვეშ - ნარევები

ქართული შერეული სანელებლების ძირითადი მახასიათებლები

მახასიათებელი	აღწერილობა
Hs კოდი	091091 – ნარევები
იმპორტი 2018 წ. (ღირებულება – მოცულობა)	96 900 აშშ დოლარი – 16,3 ტ
ექსპორტი 2018 წ. (ღირებულება – მოცულობა)	23 000 აშშ დოლარი – 3 ტ
იმპორტ-ექსპორტის გაანგარიშებული ფასები	5,95 – 7,55 აშშ დოლარი/მტ

წყარო: TBSC -ის ანალიზი.

სველი აჯიკა ქართული სანელებლების ბაზრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნარევია. სველი აჯიკისთვის HS კოდი სხვა ჯგუფის აღმნიშვნელია. HS კოდით (210390), რომლითაც მოცემულია სველი აჯიკა, ასევე სხვა საწებლებიც არის მითითებული (მაგ., ტყემალი), მზა სოუსები, სხვადასხვა საკვები დანამატები და შერეული სანელებლები. როგორც ზემოთ აღწერილი სხვა სანელებლების შემთხვევაში, ჯგუფის დაყოფა ცალკეულ სანელებლებად, როგორიცაა სველი აჯიკა, შეუძლებელია.

მწვანილი, რომელიც გამოიყენება სანელებლებად (რაოდენობა შეზღუდულია)

არსებობს სხვა სახის მშრალი მწვანილი და კულინარიული ბალახოვანი მცენარეები, რომლებიც ასევე გამოიყენება სანელებლებად. ზოგიერთი მათგანი გამოიყენება ქართულ სანელებელთა ნარევების დასამზადებლად (მაგალითად, აჯიკის). თუმცა, კულინარიაში მატ უმთავრესად ნედლი სახით მოიხმარენ. ძირითადად ესენია: ნიორი, კამა, ნიახური, ტარხუნა, პიტნა, ომბალო და რეჰანი.

ქართული სანელებლების სამრეწველო წარმოების ზომა და სტრუქტურა

წინამდებარე თავში აღწერილია ქართული სანელებლების სამრეწველო წარმოების ზომა და სტრუქტურა. თავი შედგება ხუთი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში მოკლედ არის მიმოხილული სანელებლების იმპორტი საქართველოში, მეორეში ნაჩვენებია სანელებლების ექსპორტი საქართველოდან, მესამეში აღწერილია ადგილობრივი სანელებლების ბაზარი, მეოთხეში განხილულია ქართული სანელებლების სექტორის სტრუქტურა, ხოლო მეხუთე და დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია სანელებლების 14 ყველაზე ცნობილი მწარმოებელი.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართული სანელებლების ბაზრის გაანალიზება ძნელია. მოსავლის შესახებ მონაცემთა არარსებობა ართულებს პირველადი წარმოების მთლიანი მოცულობისა და ასევე სექტორის მუშაობის შეფასებას. ვაჭრობაში არაფორმალური სექტორის წილი თითქმის შეუძლებელს ხდის ზუსტად განისაზღვროს სექტორის ზომა. სხვადასხვა ექსპერტის შეფასებით, საქართველოში წარმოებული და მოხმარებული სანელებლების უდიდესი ნაწილი (50-დან 90%-მდე) არაფორმალურ სექტორზე მოდის. ფორმალური სექტორი მხოლოდ ახლა იწყებს ჩამოყალიბებას. რეგულაციებში ბოლო დროს შეტანილი ცვლილებები, მათი ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ხელს შეუწყობს ამ მიმართულებით წინსვლას.

სანელებლების იმპორტი

წინამდებარე პარაგრაფში განხილულია სანელებლების იმპორტი საქართველოში. იგი ხუთ ქვეპარაგრაფს შეიცავს. პირველ ქვეპარაგრაფში აღწერილია სანელებლების იმპორტის რაოდენობა, წონა და ღირებულება. მეორე ქვეპარაგრაფში ნაჩვენებია შერეული სანელებლების იმპორტი, სანელებლების ტიპის მიხედვით. მესამე ქვეპარაგრაფში ასახულია იმპორტის ტენდენციები ცალკეული სახის სანელებლებისთვის, ხოლო ბოლო ორ ქვეპარაგრაფში წარმოდგენილია იმპორტირებული სანელებლების ფასები და ის ქვეყნები, რომლებიც არიან სანელებლების მომწოდებლები საქართველოში.

სანელებლების იმპორტის რაოდენობა

ვაჭრობა საქართველოს სანელებლების ბაზრის დიდ ნაწილს შეადგენს. საქართველო, დაფნისა და, შესაძლოა, რამდენიმე სხვა სანელებლის გამოკლებით, თითქმის ყველა სანელებლის იმპორტირებას ახდენს. ქვემოთ განხილულია სანელებლების იმპორტის მოცულობები.

საქართველოს სანელებლებით ვაჭრობის ანალიზი მოიცავს ექვსნიშნა HS კოდების 26 ჯგუფს, რომელიც განეკუთვნება 09 სექციას.[3] სანელებლების იმპორტი ბოლო ათწლეულის განმავლობაში ზრდის ტენდენციის ამსახველია. ამის გამომწვევი ფაქტორებია მოსახლეობის შემოსავლების ზრდა, მზარდი სასურსათო სექტორი, ქვეყანაში ტურისტული ნაკადის მატება და ტრადიციული ქართული სანელებლების ნარევებში იმპორტირებული ნედლეულის გაზრდილი მოხმარება, რომლის ნაწილი შემდგომ (ხელახლა) ექსპორტირებას ექვემდებარება.

რაოდენობა წონის მიხედვით. გასული ათწლეულის განმავლობაში სანელებლების იმპორტის რაოდენობა გაორმაგდა და 2009 წელს დაახლოებით 900 ტ-დან 2018 წელს დაახლოებით 1 900 ტ-მდე შეადგინა.[4] 2009 წლიდან 2018 წლის ჩათვლით სანელებლების იმპორტის რაოდენობის კუმულაციური წლიური ზრდის ტემპი (CAGR) 9,2 % იყო და წლიდან წლამდე განუხრელად მატულობდა, როგორც ეს ქვემოთ, გრაფიკზეა ნაჩვენები.

იმპორტირებული სანელებლების რაოდენობა, წლების მიხედვით (2009-2018 წლის ჩათვლით) (ტ)



წყარო: საქსტატი.

[3] HS კოდების ჩამონათვალი მოცემულია დანართში.

[4] უნდა აღინიშნოს, რომ მდოგვი და მდოგვის ფხვნილი ამ ციფრებში არ შედის; მდოგვი მიეკუთვნება HS კოდების განსხვავებულ ჯგუფს (210330 - მზა მდოგვი და მდოგვის ფხვნილი). 2018 წელს მდოგვის იმპორტის ღირებულება 231 000 აშშ დოლარი იყო.

2019 წლის რვა თვის მონაცემები აჩვენებს, რომ იმპორტის მთლიანმა მოცულობამ 2018 წლის წლიური ციფრის დაახლოებით ნახევარი (877 ტ) შეადგინა, დაახლოებით 17 %-ით ნაკლები, ვიდრე 2018 წელს, შესაბამისი რვა თვის განმავლობაში (გაანგარიშდება მხოლოდ ღირებულების გამოსახულებაში). არსებობს დიდი ალბათობა, რომ 2019 წელს იმპორტის რაოდენობა ნაკლები იქნება, ვიდრე 2018 წელს.

რაოდენობა ღირებულების მიხედვით. 2018 წელს საქართველოში სანელებლების იმპორტის ღირებულებამ, სულ მცირე, 2 8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.[5] სანელებლების იმპორტის ღირებულების კუმულაციური წლიური ზრდის ტემპი 2009 წლიდან 2018 წლამდე პერიოდში, წელიწადში 6 5% იყო.[6] როგორც ქვემოთ, გრაფიკიდან ჩანს, წლიდან წლამდე გარკვეული ცდომილება ფიქსირდება, რაც მსოფლიო ბაზარზე ცალკეული სანელებლების ფასის მერყეობის ამსახველია.[7]

იმპორტირებული სანელებლების ღირებულება, წლების მიხედვით (2009-2018 წლის ჩათვლით) (000 აშშ დოლარი)



წყარო: საქსტატი.

იმპორტირებული სანელებლების ნარევი

საქართველოში სანელებლების მრავალი სახეობაა იმპორტირებული.

ნარევი წონის მიხედვით. როგორც შემდეგი გრაფიკიდან ჩანს, წონის მიხედვით ყველაზე დიდი წილი უჭირავს ქინძს (619 ტ-მდე ან 31,1%), შემდეგ – წიწაკას (416 ტ ან 20,9%-მდე) და პილპილს (332 ტ ან 16,7 %-მდე).

ნარევი იმპორტირებული სანელებლები წონის მიხედვით (2018) (ტონა და პროცენტი)



წყარო: საქსტატი.

ნარევი ღირებულების მიხედვით.

როგორც შემდეგი გრაფიკიდან ჩანს, ღირებულების მიხედვით, ყველაზე დიდი წილი უჭირავს პილპილს (913 000 აშშ დოლარი – ბაზრის 32%), შემდეგ მოდის წიწაკა (550 000 აშშ დოლარი – 19,,4%) და არაკლასიფიცირებული სანელებლების ჯგუფი (სხვა სანელებლები) (352 000 აშშ დოლარი – 12,4%).

ნარევი იმპორტირებული სანელებლები ღირებულების მიხედვით (2018 წ.)



წყარო: საქსტატი.

ტენდენციები ცალკეული სანელებლების მიხედვით

საქართველოში იმპორტირებული სანელებლებისა და მათი ნარევების რაოდენობა გასული ათწლეულის განმავლობაში შეიცვალა, რაც აღწერილია ქვემოთ.

წონაში ასახული ტენდენციები. მოცულობის თვალსაზრისით, ქინძის იმპორტი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გაიზარდა და თითქმის გაორმაგდა 2009 წლის შემდეგ, როგორც ეს გრაფიკიდანაც ჩანს. სხვა სანელებლების იმპორტი ასევე სტაბილური ზრდის ამსახველია.

---

[5] ეს იმპორტის დეკლარირებული ღირებულებაა. არაოფიციალური იმპორტის არსებობა (მაგ., სანელებლების უფრო დაბალი ღირებულების დეკლარირება და გადასახადების საერთო ღირებულებითი მოცულობის დაკლება) ნიშნავს, რომ სანელებლების იმპორტის რეალური ღირებულება 2,8 მლნ აშშ დოლარზე მეტია.

[6] არსებობს ორი მიზეზი, რის გამოც რაოდენობა (ტ) უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ღირებულება (აშშ დოლარში). იმპორტის ნარევი შეიძლება შეიცვალოს ნაკლები ფასის სანელებლების გამოყენების ხარჯზე ან ნაკლებად ძვირიანი მომწოდებელი ქვეყნებიდან სანელებლების იმპორტირებაზე გადასვლის შედეგად. მეორე მიზეზი შეიძლება იყოს სანელებლების მსოფლიო ბაზარზე სასაქონლო ერთეულის ღირებულების ზოგადი ვარდნა.

[7] მსოფლიო ბაზრებზე ცალკეული სანელებლების ფასი შეიძლება ძალზე არასტაბილური იყოს და ±30 პროცენტით წლიური ცვლილება იშვიათი მოვლენა არ არის.

პირველი ექვსი იმპორტირებული სანელებლის რაოდენობა, წლების მიხედვით (2009-2018 წწ.)(ტ)



წყარო: საქსტატი.

ღირებულებაში ასახული ტენდენციები.

როგორც ქვემოთ მოყვანილ გრაფიკზეა ნაჩვენები, იმპორტირებული პილპილის ღირებულება განსაკუთრებით მაღალი იყო 2012 წელს და 1 5 მლნ აშშ დოლარამდე შეადგინა. ეს ძირითადად გამოწვეული იყო მსოფლიოში პილპილზე გაზრდილი ფასით და არა – საქართველოში გაზრდილი მოთხოვნითა და იმპორტის მოცულობით.

პირველი 6 იმპორტირებული სანელებლის ღირებულება, წლების მიხედვით (2009-2018 წწ.) (000 აშშ დოლარი)



წყარო: საქსტატი.

იმპორტის ფასები

მოცემულ ქვეპარაგრაფში მოყვანილია იმპორტის ფასები, წინა ორ ქვეპარაგრაფში წარმოდგენილი ღირებულებისა და წონის მაჩვენებლების საფუძველზე.

იმპორტის ფასები გაანგარიშებულია იმპორტის ღირებულებისა და იმპორტის წონის საფუძველზე (= ღირებულება ÷ წონა). როგორც ქვემოთ მოყვანილი გრაფიკიდან ჩანს, ყველაზე იაფი იმპორტირებული სანელებელია ქინძი (დაქუცმაცებული) – 0 22 აშშ დოლარი/კგ და ქინძი (მთელი) – 0 39 აშშ დოლარი/კგ. ყველაზე ძვირადღირებული იმპორტირებული სანელებლებია: კარდამონი (დაქუცმაცებული) – 23 აშშ დოლარი/კგ, შემდეგ კი მიხაკი (დაქუცმაცებული) – 21 აშშ დოლარი/კგ, ჯავზი (დაქუცმაცებული) - 15 აშშ დოლარი/კგ, მიხაკი (მთელი) - 10 აშშ დოლარი/კგ და კოჭა (დაქუცმაცებული) - 5 აშშ დოლარი/კგ.

იმპორტირებული სანელებლებისთვის გაანგარიშებული ფასები (აშშ დოლარი/კგ)



შენიშვნა: ვანილი გრაფიკზე ნაჩვენები არ არის, მისი ძალიან მაღალი ღირებულების გამო: 122 აშშ დოლარი/კგ-დან (დაქუცმაცებული)186 აშშ დოლარი/კგ-მდე (მთელი).

წყარო: საქსტატი.

მომწოდებელი ქვეყნები

ქვემოთ წარმოდგენილია ქვეყნები, რომლებიც ახორციელებენ სანელებლების ექსპორტს საქართველოში. როგორც გრაფიკზეა ნაჩვენები, იმპორტირებული სანელებლების ღირებულების მიხედვით ყველაზე მსხვილი მომწოდებელი ქვეყანაა ინდოეთი, რომლის წილი შეადგენს 20%, შემდეგ – უკრაინა და ვიეტნამი, მათი წილი, შესაბამისად, 14 და 12 %-ია.

სანელებლების იმპორტის წილი, წარმოშობის ქვეყნების მიხედვით (2018 წ.)



წყარო: საქსტატი.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია წამყვანი მომწოდებელი ქვეყნები, სანელებლების ტიპის მიხედვით. მაგალითად, პილპილის მთავარი მომწოდებელი ქვეყნებია ვიეტნამი, ბრაზილია და ბულგარეთი. დაქუცმაცებული სახით პილპილი ძირითადად შემოდის უკრაინიდან, უზბეკეთიდან და თურქეთიდან. წიწაკის მთავარი მომწოდებელი ქვეყნებია ინდოეთი, უზბეკეთი და თურქეთი.

წარმოშობის ქვეყნები, მათი წილის მიხედვით, ათი ყველაზე მოთხოვნადი სანელებლისთვის[8]

090411			090412		
პილპილი (მთელი)			პილპილი (დაქუცმაცებული)		
ქვეყანა	Mts	%	ქვეყანა	Mts	%
ვიეტნამი	244	44%	უკრაინა	183	56%
ბრაზილია	223	40%	უზბეკეთი	45	14%
ბულგარეთი	38	7%	თურქეთი	37	11%
უკრაინა	23	4%	ავსტრია	16	5%
არაბეთის გაერთ. საემირო	12	2%	საბერძნეთი	14	4%
თურქეთი	5	1%	რუსეთის ფედერაცია	11	3%
რუსეთის ფედერაცია	4	1%	რუსეთის ფედერაცია	5	2%
ესპანეთი	2	0%	არაბეთის გაერთ. საემირო	5	2%
საბერძნეთი	2	0%	გერმანია	4	1%
ავსტრია	1	0%	საფრანგეთი	3	1%
სხვა	2	0%	სხვა	5	2%
სულ	556	100%	სულ	328	100%

090421			090422		
წიწაკა (მთელი)			წიწაკა (დაქუცმაცებული)		
ქვეყანა	Mts	%	ქვეყანა	Mts	%
ინდოეთი	14	27%	ინდოეთი	250	50%
თურქეთი	13	25%	უზბეკეთი	120	24%
ჩინეთი	9	17%	ჩინეთი	43	9%
უკრაინა	7	13%	თურქეთი	24	5%
უზბეკეთი	4	8%	საბერძნეთი	20	4%
საბერძნეთი	2	4%	უკრაინა	8	2%
არაბეთის გაერთ. საემირო	2	4%	არაბეთის გაერთ. საემირო	7	2%
რუსეთის ფედერაცია	1	2%	ბულგარეთი	4	1%
-	-	-	ავსტრია	4	1%
-	-	-	გერმანია	4	1%
სხვა	-	-	სხვა	4	1%
სულ	52	100%	სულ	496	100%

090431			090831		
ძირა (მთელი)			ილი (Whole)		
ქვეყანა	Mts	%	ქვეყანა	Mts	%
ეგვიპტე	23	58%	ბულგარეთი	26	49%
ინდოეთი	11	28%	ინდოეთი	18	34%
თურქეთი	3	8%	არაბეთის გაერთ. საემირო	9	17%
არაბეთის გაერთ. საემირო	3	8%	-	-	-
-	-	-	-	-	-
-	-	-	-	-	-
-	-	-	-	-	-
-	-	-	-	-	-
	-	-		-	-
	-	-		-	-
Other	0	-	Other	0	-
TOTAL	556	100%	TOTAL	53	100%

[8] HS კოდების ჩამონათვალი მოცემულია დანართში.

90961			901030		
ანისი (მთელი) და სხვ.			კურკუმა		
ქვეყანა	Mts	%	ქვეყანა	Mts	%
ეგვიპტე	54	64%	ინდოეთი	41	79%
ინდოეთი	11	13%	ბულგარეთი	4	8%
რუსეთის ფედერაცია	9	11%	საბერძნეთი	2	4%
ლიტვა	6	7%	უკრაინა	2	4%
უკრაინა	2	2%	არაბთა გაერთ. ემირატები	2	4%
ნიდერლანდები	1	1%	თურქეთი	1	2%
უზბეკეთი	1	1%	-	-	-
არაბთა გაერთ. ემირატები	1	1%	-	-	-
		0%	-	-	-
		0%	-	-	-
სხვა	0	0%	სხვა	0	-
სულ	85	100%	სულ	52	100%

090921			091099		
Coriander ქინძი (მთელი)			სხვა სუნელები		
ქვეყანა	Mts	%	ქვეყანა	Mts	%
რუსეთის ფედერაცია	194	85%	თურქეთი	161	48%
უკრაინა	19	8%	ინდოეთი	41	12%
ბულგარეთი	10	4%	ყაზახეთი	27	8%
ნიდერლანდები	3	1%	უკრაინა	24	7%
ჩეხეთის რესპ.	1	0%	რუსეთის ფედერაცია	17	5%
ლიტვა	1	0%	ეგვიპტე	16	5%
-	-	-	ბულგარეთი	14	4%
-	-	-	არაბთა გაერთ. ემირატები	11	3%
-	-	-	საბერძნეთი	9	3%
-	-	-	საფრანგეთი	8	2%
სხვა	0	-	სხვა	7	2%
სულ	52	100%	სულ	335	100%

წყარო: სავაჭრო რუკა.

სანელებლების ექსპორტი

წინამდებარე პარაგრაფში განხილულია საქართველოდან სანელებლების ექსპორტი. იგი შედგება ოთხი ქვეპარაგრაფისგან. პირველ პარაგრაფში აღწერილია სანელებლების ექსპორტის რაოდენობა, მისი ღირებულება და წონა. მეორე ქვეპარაგრაფში წარმოდგენილია სანელებლების ექსპორტის ნაზავი, სანელებლების ტიპის მიხედვით. მესამე ქვეპარაგრაფში ნაჩვენებია ექსპორტის ტენდენციები ცალკეული სანელებლებისთვის, ხოლო დასკვნით ქვეპარაგრაფში განხილულია ქართული სანელებლების ექსპორტის კონკურენტუნარიანობა.

სანელებლების ექსპორტის რაოდენობა

საქართველო, გარდა დაფნისა, არ აწარმოებს სანელებლებს დიდი რაოდენობით. ქვემოთ განხილულია სანელებლები, რომლებიც ექსპორტზე გადის.

დაფნის ექსპორტის გამოკლებით, საქართველო სანელებლების წმინდა იმპორტიორია. დაფნის ექსპორტის ჩათვლით, საქართველოს ექსპორტი ჭარბობს იმპორტს და სანელებლებში საქართველოს დადებითი სავაჭრო ბალანსი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ეს პოზიტიური ვითარებაა (სანელებლებისთვის), სანელებლების ექსპორტის ღირებულება, მთლიანი ექსპორტის წილის სახით, მცირეა და ერთ პროცენტზე ნაკლებს შეადგენს.

ქვემოთ, განხილვებისა და გრაფიკების ნაწილში, ასევე წარმოდგენილია დაფნის წილი ექსპორტის სტატისტიკა.

რაოდენობა წონის მიხედვით. 2009 და 2018 წლებს შორის პერიოდში ექსპორტის რაოდენობა თითქმის 90 %-ით გაიზარდა, დაახლოებით 2 500 ტ-დან დაახლოებით 4 680 ტ-მდე; ეს 7,2-%იანი კუმულაციური წლიური ზრდის ტემპია. როგორც ქვემოთ წარმოდგენილი გრაფიკიდან ჩანს, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ექსპორტირებული სანელებლების რაოდენობა დასტაბილურდა 4 200-4 700 ტ ფარგლებში.

2019 წლის პირველ რვა თვეში ექსპორტირებული სანელებლების მთლიანმა მოცულობამ 3700 ტ-მდე მიაღწია. დაფნის მიმდინარე სეზონის გათვალისწინებით, მოსალოდნელია, რომ 2009 წლის ექსპორტის რაოდენობა 2018 წელს 4 700 ტ-ს მიაღწევს.

სანელებლების ექსპორტის რაოდენობა, წლების მიხედვით (2009 წლიდან 2019 წლის ჩათვლით) (ტონა)



წყარო: საქსტატი.

რაოდენობა ღირებულების მიხედვით. როგორც შემდეგი გრაფიკიდან ჩანს, სანელებლების ექსპორტი ბოლო ათწლეულში მზარდი ტენდენციის ამსახველია. 2009-დან 2018 წლამდე ექსპორტი სამჯერ მეტად გაიზარდა, დაახლოებით 2,7 მლნ აშშ დოლარიდან 8,6 მლნ აშშ დოლარამდე. ამ 9 წლის განმავლობაში სანელებლების ექსპორტის ღირებულების კუმულაციური წლიური ზრდის ტემპი 14% იყო.

სანელებლების ექსპორტის ღირებულება, წლების მიხედვით (2009 წლიდან 2018 წლის ჩათვლით) (000 აშშ დოლარი)



წყარო: საქსტატი.

„საქსტატის“ მონაცემებით, 2019 წლის პირველი 8 თვის განმავლობაში ქართული სანელებლების ექსპორტის ღირებულების ზრდამ (აშშ დოლარის გამოსახულებაში) დაახ-ლოებით 6,9 პროცენტი შეადგინა, 2018 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რაც ამყარებს დასკვნას, რომ მიმდინარე წელს ექსპორტის მთლიანი მოცულობა უფრო მაღალი იქნება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ექსპორტის უდიდეს ნაწილს, 99%-ზე მეტს, ერთი სასაქონლო კოდი (091099 – სხვა სანელებლები) შეადგენს, რომლის დიდი ნაწილი დაფნაზე მოდის.

სანელებლების ექსპორტის ნარევი

საქართველოდან ხორციელდება სხვადასხვა სახის სანელებლების ექსპორტი, რაც ქვემოთ, ქვეპარაგრაფშია, განხილული.

ნარევი ღირებულების მიხედვით

ყველაზე დიდი ოდენობით ექსპორტირებული ქართული სანელებლები მოცემულია HS 091099 კოდის ქვეშ „სხვა სანელებლების“ კატეგორიაში. როგორც ქვემოთ წარმოდგენილი გრაფიკიდან ჩანს, საქართველო სანელებლების ექსპორტს 34 სხვადასხვა ქვეყანაში ახორციელებს. ყველაზე დიდი საექსპორტო დანიშნულების ბაზარია რუსეთი, რომელზეც ექსპორტის ღირებულების თითქმის 40 პროცენტი მოდის.

ნარევი, არაშერეული სანელებლების საექსპორტო დანიშნულების ბაზრების ღირებულების მიხედვით (2018 წ.) (000 აშშ დოლარი და %)



შენიშვნა: HS 091099 კოდისთვის „სხვა სანელებლები“, რომელშიც ექსპორტირებული სანელებლების ყველაზე დიდი ნაწილი შედის (ექსპორტის 99 პროცენტი).

წყარო: სავაჭრო რუკის მონაცემები; TBSC-კონსალტინგის ანალიზი.

სხვა ექსპორტირებული ქართული სანელებლები მოცემულია „სხვა ნარევების“ კატეგორიაში, HS 091091 კოდის ქვეშ. აღნიშნულ ჯგუფში შედის ხმელი სუნელი და სვანური მარილი. ამ ჯგუფის მიხედვით, ექსპორტის მოცულობა მცირეა, 23 000 აშშ დოლარამდე. როგორც შემდეგი გრაფიკიდან ჩანს, საექსპორტო ბაზრებია რუსეთი (44 %-მდე) და შეერთებულ შტატები (40 %-მდე).

ნარევი, არაშერეული სანელებლების საექსპორტო დანიშნულების ბაზრების ღირებულების მიხედვით (2018 წ.) (ტონა და %)



შენიშვნა: HS 091091 კოდისთვის „სხვა მიქსები“, რომელშიც ექსპორტირებული სანელებლების მცირე ნაწილი შედის (ექსპორტის 1%).

წყარო: TBSC-კონსალტინგის ანალიზი სავაჭრო რუკის მონაცემებზე დაყრდნობით.

ტენდენციები ცალკეული სანელებლების ღირებულების მიხედვით

ქვემოთ მოყვანილია ექსპორტის ფასის ტენდენციები ცალკეული სანელებლებისთვის.

როგორც ქვემოთ მოყვანილი გრაფიკიდან ჩანს, რომ საქართველოდან ექსპორტირებული ყველაზე ძვირადღირებული სანელებელია კარდამონი (მთელი) (ექსპორტის ფასი 15 აშშ დოლარი/კგ). უნდა აღინიშნოს, რომ კარდამონის დიდი ნაწილი რეექსპორტირებულია (ანუ იმპორტირებული და შემდეგ ექსპორტირებული), ასე რომ, იგი საქართველოში არ იწარმოება.

საქართველოდან შემდეგ ყველაზე ძვირადღირებული სანელებლების ჯგუფში შედის: პილპილი (მთელი) – 14 აშშ დოლარი/კგ, მიხაკი (მთელი) – 10 აშშ დოლარი/კგ, პილპილი (დაქუცმაცებული) – 9 აშშ დოლარი/კგ და კოჯა – 9 აშშ დოლარი/კგ. საქართველოდან ექსპორტირებული ყველაზე იაფი სანელებელია ქინძი (მთელი) – 1,40 აშშ დოლარი/კგ.

ყველაზე ძვირადღირებული სანელებლების ექსპორტის ფასი, წლების მიხედვით (2009-2018 წ.წ.) (აშშ დოლარი/კგ)


80
70
60
50
40
30
20
10
0
2009
2010
2011
2012
2013
2014
2015
2016
2017
2018
24
8
19
24
19
9
30
54
17
15
72
23
15
11
8
0
0
0

ყნებში „ქართული“ სანელებლების (ნაზავების) წარმოება ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა სანელებლების ბაზარზე, განსაკუთრებით კი, ქართული სანელებლების მთავარ ბაზარზე – რუსეთის ფედერაციაში. თუ ქართული სუნელების ნაზავები და საწებლები გეოგრაფიული ნიშნით არ იქნება დაცული, ქართული სანელებლების ყველა ნაზავის დამზადება და, შესაბამისად, ღირებულების დამატება შეიძლება რეალურად საქართველოს ფარგლებს გარეთ მოხდეს.

ფასი და მოცულობა შერჩეული ქვეყნებისთვის

საქართველო ექსპორტს ახორციელებს რიგ ქვეყნებში. ქვემოთ განხილულია მიღებული ფასის ცვლილება დანიშნულების ქვეყნების მიხედვით.

ქართული სანელებლების შეწონილი საშუალო ფასი 1 80 აშშ დოლარი/კგ-მდეა. არსებობს დაბალი მოცულობის, მაგრამ მაღალი ფასის ბაზრები, მაგალითად, ჩეხეთის რესპუბლიკა, გერმანია და შეერთებული შტატები (სულ, რამდენიმე ტონა, 6-დან 9-მდე აშშ დოლარი/კგ). ასევე არსებობს მაღალი მოცულობის, მაგრამ დაბალი ფასის ბაზრები, როგორიცაა რუსეთი, თურქეთი, ჩინეთი და უკრაინა (4 600 ტ-ზე მეტი, 1-დან 2-მდე აშშ დოლარი/კგ). ორივე მათგანი ნაჩვენებია ცალ-ცალკე ქვემოთ მოყვანილ გრაფიკში.

ექსპორტის ფასი ექსპორტის მოცულობასთან მიმართებით, დანიშნულების ბაზრების მიხედვით (2018 წ.) (აშშ დოლარი/კგ vs ტ)



წყარო: TBSC-კონსალტინგის ანალიზი, სავაჭრო რუკის მონაცემებზე დაყრდნობით.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ სტატისტიკურ სურათში ძირითადად აღწერილია ჯგუფი 091099 (სხვა სანელებლები). ეს ჯგუფი წარმოადგენს საექსპორტო ჯგუფების 99 პროცენტს. ამ ჯგუფის უდიდესი ნაწილი დაფნის წილად მოდის. აღნიშნული ჯგუფის გარდა, სხვა ცალკეული სანელებლების ექსპორტი ძალიან მცირეა.[9]

2018 წელს საქართველოს სანელებლების ექსპორტი შეერთებულ შტატებში მოიცავდა ოთხ ჯგუფს (პილპილი, ზაფრანა, სანელებლების ნარევები და სხვა სანელებლები), გერმანიასა და ჩეხეთის რესპუბლიკაში – ორ ჯგუფს (ზაფრანა და სხვა სანელებლები). ამ ბაზრებზე ექსპორტის ყველაზე დიდ წილის სანელებლებია: 091099 – სხვა სანელებლები (76 პროცენტი მთლიან სავაჭრო სტრუქტურაში), შემდეგ – სანელებლების ნარევები, ზაფრანა და პილპილი (დაქუცმაცებული). ამ ბაზრებზე ყველაზე დიდი ჯგუფის გაანგარიშებული ფასი შეადგენს 9 აშშ დოლარს/-კგ. ამგვარად, მაღალი ღირებულება ძირითადად „სხვა სანელებლების“ ჯგუფის წილად მოდის (რომელშიც უდიდეს ნაწილს დაფნა შეადგენს).

მაღალი ღირებულების ბაზრებზე ექსპორტის სტრუქტურა ნაჩვენებია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

[9] ზოგიერთი საექსპორტო საქონლის წილი იმდენად მცირეა, რომ სავაჭრო რუკაზე წარმოდგენილი არ არის.

ექსპორტის მოცულობა აშშ-ში, გერმანიასა და ჩეხეთში (2018 წ.)

HS კოდი	ერთეული	090412 პილპილი (დაქუცმაცებული)	091020 ზაფრანა	091091 - სანელებლების ნარევები	091099 - სხვა სანელებლები	სულ
ექსპორტი აშშ-ში	000 USD	1	4	9	26	40
აშშ-ში სანელებლების ექსპორტის წილი მთლიან მოცულობაში	%	3%	10%	23%	65%	100%
ექსპორტი გერმანიაში	000 USD	0	1	1	17	18
გერმანიაში სანელებლების ექსპორტის წილი მთლიან მოცულობაში	%	0%	6%	0%	94%	100%
ექსპორტი ჩეხეთში	000 USD	0	1	0	9	10
ჩეხეთში სანელებლების ექსპორტის წილი მთლიან მოცულობაში	%	0%	10%	0%	90%	100%
სამივე ბაზარზე ექსპორტის მთლიანი მოცულობა	000 USD	1	6	9	52	68
სამივე ბაზარზე სანელებლების ექსპორტის წილი მთლიან მოცულობაში	%	1%	9%	13%	76%	100%

წყარო: TBSC-კონსალტინგის ანალიზი, სავაჭრო რუკის მონაცემებზე დაყრდნობით.

ადგილობრივი სანელებლების ბაზარი

წინამდებარე პარაგრაფში აღწერილია საქართველოს ადგილობრივი სანელებლების ბაზარი. იგი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში განხილულია ერთ სულ მოსახლეზე სანელებლების მოხმარება (გამოყენება) საქართველოში და სხვა ქვეყნებში. მეორეში კი საკითხი უფრო ვრცლად არის წარმოდგენილი და მოიცავს ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების ეფექტს სანელებლების მოხმარებაზე; საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების ზრდასთან ერთად მოსალოდნელია, რომ ასევე გაიზრდება ერთ სულ მოსახლეზე სანელებლების მოხმარება.

სანელებლების მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე

მოცემულ ქვეპარაგრაფში ნაჩვენებია ერთ სულ მოსახლეზე სანელებლების მოხმარება საქართველოში და სხვა ქვეყნებში.

ადგილობრივი სანელებლების ბაზრის ზომა განისაზღვრა სტატისტიკური და ექსპერტული შეფასებების ერთობლივ მონაცემთა საფუძველზე. სანელებლების სამი სეგმენტი არსებობს: სამრეწველო (მაგალითად, შეფუთული კვების პროდუქტების მწარმოებლები, რომლებიც თავიანთ პროდუქტში სანელებლებს იყენებენ), საცალო ვაჭრობის (მაგ., პირდაპირ ამარაგებენ მომხმარებელს მაღაზიების, სასურსათო ჯაჭვების, არაორგანიზებული ბაზრების მეშვეობით) და საზოგადოებრივი კვების (მაგ. „HoReCa“ – რესტორნები, სასტუმროები, კაფეები).

ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობაში სამრეწველო სეგმენტი სანელებლების ყველაზე დიდი წილის მომხმარებელია და მთლიანი მოხმარების 55%-დან 60%-მდე შეადგენს. საცალო ვაჭრობის სეგმენტი - 35%-დან 40%-მდე, საზოგადოებრივი კვების სეგმენტი კი –10%-დან 15 %-მდე მოიხმარს.[10]

სამრეწველო სეგმენტი საქართველოში ძირითადად მოიცავს ხორცის გადამამუშავებელ დიდ კომპანიებს; უმეტესობა მსხვილი იმპორტიორებისაგან ყიდულობს ან თავად შემოაქვს სანელებლები. საზ.კვების სექტორის (HoReCa) ოპერატორებს ჩვეულებრივ ან თავად შემოაქვთ, ან ყიდულობენ სანელებლებს მსხვილი ადგილობრივი იმპორტიორებისგან. ჩვენი ინფორმაციით, როგორც წესი, შესყიდვების უმეტესობა არაფორმალურ ბაზარზე ხორციელდება და მხოლოდ რამდენიმე – ოფიციალური გზით; ეს ჩვეულებრივ გამყიდველის მოთხოვნით ხდება, საგადასახადო მიზნებიდან გამომდინარე.

ევროკავშირში ერთ სულ მოსახლეზე საკმაზ-სანელებლებისა და სამზარეულოს ბალახოვანი მცენარეების მოხმარება დაახლოებით 900 გრ/წ[11] შეადგენს. ევროპული ბაზრებისთვის ეს სტომაქის წილის 1 პროცენტზე ნაკლებია. საქართველოში ტიპიურ დამუშავებულ ხორცპროდუქტებში გამოყენებული სანელებლების მოცულობა (კვების ტექნოლოგების მიერ მოწოდებული ინფორმაციით), სავარაუდოდ, 0,5%-მდეა.

FAO-ს მიერ (2011 წ.) ერთ სულ მოსახლეზე სანელებლების საშუალო წლიური მოხმარება საქართველოში 500 გრ/წ ოდენობით არის შეფასებული, რაც, ერთი მხრივ, შეესაბამება პოსტსაბჭოთა ეკონომიკების უმეტესობას, მაგრამ მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, როგორიცაა უნგრეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, მაკედონია და სლოვენია.

FAO-ს შეფასება (500 გრ/წ) შეესაბამება იმპორტ-ექსპორტის სტატისტიკასა და ადგილობრივი წარმოების ანალიზის მონაცემებს. 2018 წელს იმპორტირებულია სანელებლების 2 000 ტ-მდე (ყველა ტიპის სანელებლები, მდოგვის გამოკლებით). როგორც ადგილობრივი წარმოების, ასევე ექსპორტის მოცულობები, დაფნას თუ გამოვრიცხავთ, მინიმალურია და შეიძლება ერთმანეთს აკომპენსირებდეს. ამგვარად, შიდა ბაზრის ზომა თითქმის უტოლდება იმპორტისას, რომელიც 2000 ტონას შეადგენს, რაც წლიურ გამოსახულებაში ერთ სულ მოსახლეზე 650 გრ/წ-მდეა. ამ თვალსაზრისით, საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე სანელებლების მოხმარების ორი სავარაუდო მაჩვენებელი (500 და 650 გრ/წ) ერთმანეთთან ახლოსაა.

[10] CBI ცენტრი – სანელებლებისა და სამზარეულოს ბალახოვანი მცენარეების ბაზარი ევროკავშირში, 2009 წლის მარტი.
[11] ევროპის სანელებლების ასოციაცია (ESA), რომელიც წარმოადგენს ევროპის საკმაზ-სანელებლების ინდუსტრიას, 2015 წ.

ერთ სულ მოსახლეზე სანელებლების მოხმარებაზე შემოსავლების გავლენა

ჩვეულებრივ, პროდუქციის მოხმარება იზრდება ხელმისაწვდომ შემოსავლებთან ერთად. სანელებლების მოხმარებაზე ეს გავლენა განხილულია ქვემოთ.

ისტორიულად, შეძენილი სანელებლები ყოველთვის იყო კერძების ძვირადღირებული დანამატები; მიუხედავად იმისა, რომ კერძში არცთუ ისე დიდი რაოდენობით გამოიყენებოდა, თვით სანელებლის ფასი მაღალი იყო. დღეს, როგორც წესი, სანელებლების მოხმარება მატულობს შემოსავლის ზრდასთან ერთად. შემდეგ გრაფიკში ერთ სულ მოსახლეზე სანელებლების მოხმარება შედარებულია ერთ სულ მოსახლეზე მშპ-სთან მიმართებით საქართველოში და, ასევე, ევროკავშირის შერჩეულ ქვეყნებში (ძირითადად, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ეკონომიკები), ბალტიისპირეთის, ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ჩვენს მეზობელ ქვეყნებში.[12]

შერჩეული ქვეყნებში სანელებლების მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე მშპ-სთან მიმართებით



წყარო: FAO-ს, მსოფლიო ბანკის, TBSC-კონსალტინგის ანალიზი.

სხვა ქვეყნების შედეგები საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ თუ საქართველოში შემოსავლები მნიშვნელოვნად გაიზრდება, მაშინ ერთ სულ მოსახლეზე სანელებლების მოხმარება ოთხჯერ ან ხუთჯერ გაიზრდება, ანუ დღეისათვის დაფიქსირებული 0 5 კგ/წ-დან 2 5 კგ/წ-მდე. ამგვარად საქართველო მიუახლოვდება იმ დონეებს, რომლებიც დაფიქსირებულია აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორ ქვეყნებში, როგორიცაა ბულგარეთი, რუმინეთი და უნგრეთი. საქართველოს მოსახლეობის მიერ მოხმარებული სანელებლების საერთო მოცულობა დაახლოებით 1 400 ტ/წ-დან 7 000 ტ/წ-ზე მეტად გაიზრდება.

„საქსტატის“ შეფასებით, სანელებლებსა და მარილზე ხარჯები ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში 3,30 ლარია.[13] ეს ნიშნავს, რომ მთლიანობაში ქართული ბაზარი წელიწადში 10 მლნ ლარს შეადგენს. ამგვარად, ადგილობრივ ბაზარზე 1 კგ-ის ფასი 7 ლარამდე გამოდის.

სავარაუდოდ, დასავლეთის ეკონომიკებთან საქართველოს მიახლოებასთან ერთად, მსგავსი გახდება როგორც ჩვენი მოხმარების მოდელები, ისე სანელებლების გამოყენება.

ქართული სანელებლების სექტორის სტრუქტურა

წინამდებარე პარაგრაფში აღწერილია ქართული სანელებლების სექტორის სტრუქტურა. იგი ხუთ პარაგრაფს შეიცავს. პირველ პარაგრაფში წარმოდგენილია საქართველოში სანელებლების პირველადი წარმოების ზოგადი პრაქტიკა. მეორე და მესამე პარაგრაფებში მოკლედ არის მიმოხილული წარმოების პრაქტიკა საქართველოში ცალკეული ადგილობრივი სანელებლებისა და სანელებლების ნარევების მიხედვით. კონსოლიდაციისა და დამუშავების პრაქტიკა აღწერილია მეოთხე პარაგრაფში. ბოლოს კი წარმოდგენილია საქართველოში სანელებლების დისტრიბუციისა და საცალო ვაჭრობის პრაქტიკა.

უმეტესი ქვეყნების მსგავსად, ქართული სანელებლების ბაზარიც რთულია და მრავალფეროვანი მოთამაშეები ჰყავს, რაც ნაჩვენებია ქვემოთ წარმოდგენილ გრაფიკში. აქ აღწერილია ამ სექტორის სამი ძირითადი ნაწილი: წარმოება, კონსოლიდაცია და დამუშავება-დისტრიბუცია.

---

[12] მოხმარების თვალსაზრისით, ბოსნია და ჰერცეგოვინა მსოფლიო ლიდერია, მათთან ერთ სულ მოსახლეზე სანელებლის მოხმარება დაახლოებით 7 2 კგ-ია, რაც აშკარად არატიპიური მაჩვენებელია. ამიტომ იგი არ არის გათვალისწინებული მოცემულ გრაფიკში, ევროკავშირის სხვა ქვეყნებთან ერთად.

[13] „საქსტატის“ შინამეურნეობათა წლიური გამოკვლევა.

ქართული სანელებლების სექტორის სქემატური სტრუქტურა



წყარო: TBSC-კონსალტინგი.

პირველადი წარმოების ზოგადი პრაქტიკა

არსებობს რამდენიმე პირველადი წარმოების ზოგადი მეთოდი, რომელიც გამოიყენება საქართველოში მოყვანილი სანელებლების უმეტესობისთვის. ეს ზოგადი მეთოდები განხილულია ქვემოთ.

საქართველო სანელებლების წმინდა იმპორტიორია და მისი მოხმარების დიდი წილი იმპორტირებულ პროდუქტებზე მოდის. საქართველოში სანელებლების პირველადი წარმოება შეზღუდულია, დაფნას თუ არ ჩავთვლით, რომელიც დიდი რაოდენობით იწარმოება. ამასთანავე, არსებობს ზოგიერთი ადგილობრივად წარმოებული სანელებლები (ულუმბო, ხავერდა, ქინძი და რამდენიმე სხვა); ზოგიერთი მათგანი მხოლოდ და მხოლოდ საქართველოში იზრდება და შესაძლოა ბაზრის გაფართოების (ექსპორტის) კარგი პოტენციალი ჰქონდეს.

ადგილობრივად წარმოებული სანელებლების უმეტესობას მცირე ზომის ფერმებში (რამდენიმე ჰექტარი ან ნაკვლები) ზრდიან და წარმოების მოცულობა რეგიონების მიხედვით განსხვავდება. მცირე ფერმებს ძირითადად საკუთარი მოხმარებისთვის აქვთ მოშენებული სანელებლები, მიწის მცირე ნაკვეთებზე ან საკარმიდამო ეზოებში. გადამამუშავებელი საწარმოებისთვის საჭირო რაოდენობით ნედლეულის მიწოდებისთვის აუცილებელია მნიშვნელოვანი კონსოლიდაცია.

ფერმერების უმეტესობას წლიდან წლამდე ერთი და იგივე სანელებლები არ მოჰყავთ. ფასებისა და მოსავლის ყოველწლიური ცვალებადობის გამო ფერმერებს სანელებლების დათესვასთან დაკავშირებით კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღება უწევთ. ფერმერები არჩევენ ისეთი კულტურების წარმოებას, რომლებზეც წინა სეზონში მაღალი საერთაშორისო და ადგილობრივი ფასები იყო და მათი პარტნიორები წარმატებით ყიდდნენ. ეს გარემოება იწვევს ადგილობრივი მიწოდების მკვეთრ ცვალებადობას, რაც, თავის მხრივ, აისახება ფასების მერყეობაზე და კიდევ უფრო ართულებს მომდევნო სეზონის დაგეგმვას.

რამდენიმე უფრო მსხვილი მწარმოებელი უფრო დიდი რაოდენობით აწარმოებს სანელებლებს. თუმცა, ასეთ შემთხვევებშიც კი, დამუშავებული მიწების ზომა უმეტესად არ აღემატება რამდენიმე ჰექტარს. ამ თვალსაზრისით, სანელებლების პირველადი წარმოება შორს არის თანამედროვე დონის სამრეწველო მასშტაბის მეურნეობისგან.

გავრცელებული ინფორმაციით, სხვადასხვა დაავადებისგან მოსავლის დასაცავად სულ უფრო მეტი კომერციული მეურნეობა იყენებს ქიმიკატებს და სხვა საშუალებებს. ამგვარი პრაქტიკა უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს მცენარეთა დამცავი ქიმიკატების გამოყენების და მათი გამოყენების უსაფრთხოების მიმართ. ქიმიკატების არასათანადოდ გამოყენება განსაკუთრებული პრობლემაა ევროკავშირში ექსპორტისთვის, სადაც განსაკუთრებით მომთხოვნი სტანდარტებია.

გვითხრეს, რომ ძირითადი ტიპის თითოეული სანელებლის წარმოებისათვის სოფლის მეურნეობის თანამედროვე მეთოდების არცოდნა ხელს უშლის ადგილობრივი წარმოების პოტენციალის განვითარებას.

სანელებლების გადამამუშავებელმა საწარმოებმა დაადასტურეს, რომ წლიდან წლამდე საიმედო ადგილობრივი მიწოდების არარსებობა სერიოზული პრობლემაა. გადამამუშავებელ საწარმოები ხშირად იძულებული არიან ჩაანაცვლონ ადგილობრივი მიწოდება უფრო იაფი, მაგრამ ფიზიკურად ხელმისაწვდომი იმპორტით, რაც ფასებში შეიძლება იძლეოდეს ხუთმაგ სხვაობას.

წარმოების მეთოდები ცალკეული ქართული ადგილობრივი სანელებლებისთვის

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართულ სამზარეულოში შვიდი ძირითადი ტიპის სანელებლებია, რომლებიც საქართველოში ტრადიციულად იზრდება. ქვემოთ მოგვყავს მოკლე ინფორმაცია ოთხ მათგანზე – ქინძზე, ულუმბოზე, წიწაკასა და ხავერდაზე. ჩვენს ანგარიშში დაფნა არ არის წარმოდგენილი. დანარჩენი ორი სანელებლის – ძირას და ქონდრის წარმოების მეთოდის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის.

ქინძი. ქინძი ერთ-ერთი ყველაზე ფართო მოხმარების ქართული ტრადიციული სანელებელია; გამოიყენება ბევრ ტრადიციულ კერძში. თბილისში თითქმის შეუძლებელია ადგილობრივი ქინძის შეძენა; ქინძი უმეტესად რუსეთიდან და უკრაინიდან შემოაქვთ. ქართული ქინძი უფრო მძიმეა და უფრო ინტენსიური გემო აქვს, ვიდრე რუსულ ქინძს.

საქართველოში მოყვანილი ქინძი, ფასის მიხედვით, სავარაუდოდ, კონკურენციას ვერ გაუწევდა იმპორტირებულ ქინძს. უკრაინასა და რუსეთში ქინძი გაშენებული აქვთ დიდ სამრეწველო ფართობებზე, რომლებიც ძირითადად სხვა მიზნებისთვის გამოიყენება, როგორიცაა მეფუტკრეობა და ეთერზეთების წარმოება. გავრცელებული ინფორმაციით, გადამუშავებული ქინძი (ზეთის მოპოვების შემდეგ) საქართველოში შემოაქვთ, რაც უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ადგილობრივი მცირემასშტაბიანი წარმოება.

ულუმბო. ულუმბო, ანუ უცხო სუნელი, ტრადიციული ქართული სანელებელია, რომელიც ძალიან პოპულარულია როგორც ადგილობრივ, ისე საექსპორტო ბაზარზე. ზოგიერთ კომპანიას დიდი რაოდენობით (7 ან 8 ტ), ბითუმად გააქვს ულუმბო რუსეთში.

ულუმბოს ძირითადი მწარმოებლები არიან ახალქალაქის რეგიონში, სადაც მცირე ფერმერთა ჯგუფი ფერმებს კომერციული მიზნით ამუშავებს. საქართველოში ულუმბოს წარმოებაზე განსაკუთრებით სპეციალიზებულია ახალქალაქის ორი მცირერიცხოვანი თემი – აგანა და არაგვი.

აგანის თემში დაახლოებით 120 ოჯახი ცხოვრობს. ყველა მათგანს სანელებლები მოჰყავს, ძირითადად, ულუმბო. ადგილობრივი საჯარო მოხელეების თანახმად, 2017 წელს ულუმბო 45 ჰა-ზე და 2018 წელს 102 ჰა-მდე მიწის ფართობზე იყო გაშენებული. დაახლოებით 20 ფერმერია, რომლებსაც სანელებლები 1 ჰა-ზე მეტ ფართობზე აქვთ გაშენებული (მეურნეობის საშუალო ზომა 4 ჰა-დან 5 ჰა-მდეა). მოსავლიანობა საშუალოდ 2-3 ტ/ჰა-მდე ფარგლებში მერყეობს. თუმცა, დაავადებებითა და ხოჭოებით მიყენებული სერიოზული ზიანის გამო, რომელმაც მოსავლის 60 პროცენტამდე გაანადგურა, წელს ფერმერები ცუდ მოსავალს ელიან (დაახლოებით 1 ტ/ჰა). საქართველოში 1 კგ ულუმბოს ფრანკო-ფერმის ფასი დაახლოებით 3 აშშ დოლარია. კარგ პერიოდებში, როდესაც ექსპორტზე მაღალი მოთხოვნაა, ფასი შეიძლება 12 აშშ დოლარამდე გაიზარდოს.

არაგვის თემში დაახლოებით 30 ფერმერია, რომლებიც სანელებლებს 10 ჰა-ზე აწარმოებენ (2018 წ.), ძირითადად, ულუმბოს. წელს, დაბალი საბაზრო ფასის გამო (8 ლარი/კგ, წინა წლის 13-18 ლარი/კგ-თან შედარებით), სანელებლები 1 ჰა-ზე მოაშენეს. ასეთ დროს არაგვის ფერმერები ძირითადად სანელებლებს ნივრით ან მანდარინით ანაცვლებენ.[14]

დამატებული ღირებულების მქონე გადამამუშავებელი საწარმოები არ არსებობს, რადგან ექსპორტირება ძირითადად დაუფასოებელი სახით ხდება.

ულუმბოს გარდა, ამ რეგიონში ფერმერები აწარმოებენ ბეგქონდარას, პიტნასა და ხავერდას. ამ თემებისთვის მთავარ საქმიანობად კვლავაც კარტოფილის მოყვანა რჩება. ადგილობრივი ფერმერებისთვის სანელებლები შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ და ძირითად საქმიანობად ჯერ არ გადაქცეულა. გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ აგრონომიისა და მცენარეთა დაცვის ცოდნა რეალურ პრობლემას წარმოადგენს, რომ არაფერი ვთქვათ, წლიდან წლამდე ფასების მაღალ ცვალებადობაზე.

წიწაკა. წიწაკა, ანუ წითელი პილპილი, ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი სანელებელია საქართველოში. იგი ასევე ყველაზე უფრო იმპორტირებული სანელებელია საქართველოში. სახარბიელო ნიადაგისა და კლიმატის პირობების მიუხედავად, საქართველოში სამრეწველო დონეზე წიწაკის ადგილობრივი წარმოება არ არსებობს. წიწაკის მცირე ფართობებია ქართლში (ძირითადად, ქარელში). ამასთან, ადგილობრივი წიწაკის ფასი და მიწოდება ყოველწლიურად მერყეობს, რის გამოც გადამამუშავებელ საწარმოთა უმეტესობისთვის ეს არასაიმედო მიწოდების წყაროა.

ხავერდა. ხავერდა ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ქართული სანელებლებია. ქართული კლიმატი და ნიადაგი საუკეთესოდ უხდება და პროდუქტი ორგანოლეპტიკური ხარისხით გამოირჩევა; ადგილობრივად გაზრდილი ხავერდა ძალიან განსხვავდება გემოთი და ინტენსივობით იმპორტირებული ტიპებისაგან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხავერდა მიეკუთვნება სანელებლების რიცხვს, რომლებიც ყველაზე მეტად არის ფალსიფიცირებული საქართველოში. ხშირად სანელებლების ნარევებში დაფქული ხავერდას სახელით ყვითელი შეფერილობის სხვა ხმელი მცენარეები იყიდება.

სამრეწველო მასშტაბის მეურნეობები, სადაც ხავერდას აწარმოებენ, არ არსებობს. ხავერდას ყველაზე დიდი კონცენტრაციაა ქართლის რეგიონში (ქარელი, გორი, კასპი).

წარმოების მეთოდები ქართული ადგილობრივი სანელებლების ნარევებისთვის

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამორჩეული ქართული სანელებლების სამი ნარევი არსებობს: აჯიკა, სვანური მარილი და ხმელი სუნელი. ამ სამი ნარევის წარმოება მოკლედ არის მიმოხილული ქვემოთ.

აჯიკა. აჯიკის წარმოება სპეციალური სფეროა, რომელიც გარკვეულწილად განსხვავდება სხვა ძირითადი სანელებლებისგან. საქართველოში რამდენიმე ტიპის აჯიკაა. სამეგრელოს შეფ-მზარეულებმა აჯიკის რვა სახეობა დაასახელეს. ყველა მათგანი არ იწარმოება კომერციული მიზნებისთვის. აჯიკის ორი ძირითადი ტიპია: სველი აჯიკა (მეგრული, რომელსაც ასევე ხორცის აჯიკას უწოდებენ)

[14] საკონტაქტო პირები: აგანის თემში – ბ-ნი აშალუსი (ტელ.: 595 00-44-68); არაგვის თემში – ბ-ნი ღაზაროსი (ტელ.: 595 30-24-74).

და მშრალი აჯიკა. სხვა სახეობაა, მაგალითად, შებოლილი აჯიკა, რომლის წარმოება ძალიან რთულია და ბაზარზე ფართოდ ხელმისაწვდომი არ არის. აჯიკის სახეობები განსხვავდება კერძებში საბოლოო გამოყენების მიხედვით. აჯიკის ამა თუ იმ სახეობას იმ კერძის სახელს უწოდებენ, რომელშიც გამოიყენება და ამგვარადაა კუჭმაჭის, ლობიოს, გებჟალიას, ჩრასის და ა.შ. აჯიკა.

საქართველოში აჯიკის სამშობლოდ სამეგრელო ითვლება. თუმცა მისი გეოგრაფიული აღნიშვნა თუ ადგილწარმოშობის დასახელება დაცული არ არის და ამიტომ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ნებისმიერს შეუძლია აწარმოოს და აჯიკა დაარქვას. როგორც გვითხრეს, რუსი მყიდველები ყიდულობენ ცალკეულ სანელებლებს, ამზადებენ ნარევს და აკრავენ ეტიკეტს „ქართული აჯიკა“, იმის ნაცვლად, რომ ნარევი საქართველოდან შეიტანონ.

საქართველოში აჯიკის სამი ტიპის მწარმოებელია. პირველ ჯგუფში შედიან კომპანიები, რომელთა მთავარი პროფილია სანელებლების წარმოება და დამუშავება; ისინი აწარმოებენ აჯიკას, როგორც მათი პროფილის ძირითად ნაწილს (მაგ., „დაბი“, „ფარკონი“). ეს კომპანიები აღწერილია ქვემოთ მოცემულ ნაწილში.

მწარმოებელთა მეორე ჯგუფში შედიან მცირე ინდივიდუალური მეწარმეები (მაგალითად, ი/მ „მაია კალანდია“, ი/მ „დარეჯან პაპავა“), რომელთა მთავარი პროფილია აჯიკის წარმოება. ამ მწარმოებლებს აჯიკის ძალიან მცირე წარმოება აქვთ, მაგრამ აქვთ გაფართოების შესაძლებლობა, რადგან მოთხოვნა არსებობს როგორც შიდა, ისე გარე ბაზრებზე. თუმცა, საბრუნავი კაპიტალისა და სამეწარმეო ხედვის, ასევე ცოდნა-გამოცდილების არარსებობა აფერხებს მათი ზრდის შესაძლებლობას. ასევე, ტექნიკის შესაძენად ფინანსების უქონლობის გამო, დგას მექანიზაციის პრობლემაც.

უნდა აღინიშნოს, რომ აჯიკისთვის უკლებლივ ყველა შესაფუთი მასალა იმპორტირებულია. იმპორტიორი ქვეყნებია თურქეთი და უკრაინა. ხარჯების ეფექტურობის გამო ეს მასალები დიდი რაოდენობით უნდა იყოს შეძენილი.

მცირე მწარმოებლებისთვის ასევე დიდ პრობლემას წარმოადგენს დიდი სუპერმარკეტების და თანამედროვე საცალო ვაჭრობის ქსელებში თავიანთი პროდუქციის განთავსება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ვინაიდან აჯიკის მწარმოებლებს მცირე წარმოება აქვთ, არც ერთ მათგანს არ აქვს სერტიფიკატი.

აჯიკის მწარმოებელთა ბოლო ჯგუფში შედიან ხორცის გადამამუშავებელი კომპანიები (მაგალითად: „ლიდერ-ფუდი“, „ნიკორა“). ეს კომპანიები საკუთარ აჯიკას აწარმოებენ და ხორცპროდუქტებში იყენებენ; აჯიკა გადამუშავებული ხორცპროდუქტების აუცილებელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

აჯიკისთვის გამოყენებული ადგილობრივი რესურსების რაოდენობა მნიშვნელოვნად განსხვავდება. მცირე მწარმოებლები ცდილობენ აჯიკისთვის ქართული ნედლეული გამოიყენონ, რომელიც ხელმისაწვდომია ადგილობრივ ღია ბაზრებზე. იმპორტირებულ ნედლეულს იყენებენ, როდესაც იგი ადგილობრივ ბაზარზე არ მოიპოვება (მაგ., ქინძი და წიწაკა ძირითადად იმპორტირებულია). ერთ შემთხვევაში მწარმოებელმა გამოიყენა საქართველოში წარმოებული პროდუქტები (გარდა მარილისა), სხვა შემთხვევაში კი, ერთადერთი გამოყენებული ქართული პროდუქტი იყო ნიორი. აჯიკის გემო განსხვავდება ადგილობრივი თუ იმპორტირებული ნედლეულისდა მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ ნედლეულს უკეთესი გემო აქვს, მასობრივი ბაზარი და ტიპიური ტურისტები ვერ განასხვავებენ ადგილობრივ და იმპორტირებულ ნედლეულს.

აჯიკას არ აქვს წარმოების კონკრეტული სეზონი; მისი წარმოება შესაძლებელია წლის ნებისმიერ დროს, რადგან ნედლეული ყოველთვის ხელმისაწვდომია. მომზადებული აჯიკა გამოყენებისთვის ვარგისია დამზადებიდან ერთი წლის განმავლობაში.

ზოგიერთი მცირე მეწარმე შეცდომით ფიქრობს, რომ აჯიკის წარმოება იმაზე მომგებიანია, ვიდრე ეს რეალურად არის. ფასნამატი ინგრედიენტებიდან გასაყიდ ფასამდე 60 პროცენტამდეა; მომგებიანი ჩანს, თუმცა მცირე მწარმოებლები ჩვეულებრივ ფასნამატში არ ითვალისწინებენ არც საკუთარი სამუშაო დროის ღირებულებას და არც დანადგარების ცვეთას (მაგ., ჩოპერის). საწარმოს გაფართოების შემთხვევაში, მათ დასჭირდებათ მუშა-ხელის დაქირავება, ახალი აღჭურვილობის შეძენა და დამატებითი საზედნადებო ხარჯების გაწევა. შრომის, ამორტიზაციისა და საზედნადებო ხარჯები გათვალისწინებული უნდა იყოს ბიზნესის რენტაბელურობის გაანგარიშებისას.

სვანური მარილი. სვანური მარილის სამი სახეობა არსებობს: აფხაზური მარილი, ქონდრიანი მარილი და სვანური მარილი.[15] სვანური მარილის სხვა სახეობები ზოგადად ხელმისაწვდომი არ არის. მისი ყიდვა შესაძლებელია მხოლოდ ოჯახებში, რომლებიც მარილს საკუთარი მოხმარებისთვის ამზადებენ.

სვანურ მარილს სანელებლების მწარმოებელთა უმეტესობა აწარმოებს, რადგან მასზე ძალიან დიდი მოთხოვნაა ადგილობრივ ბაზარზეც და ტურისტებშიც. აჯიკის ბევრი მწარმოებელი სვანურ მარილსაც აწარმოებს. არ არიან სვანური მარილის ისეთი მსხვილი მწარმოებლები, რომლებიც ძირითადად ამ პროდუქტზე იმუშავებდნენ.

ნამდვილი სვანური მარილის მთავარი კომპონენტია სანელებელი „გიცრული“, რომელიც ძირას ახლო ნათესავია. გიცრული ველურად მზარდი მცენარეა, რომელიც მცირე რაოდენობით მოიპოვება მხოლოდ სვანეთში. სწორედ ამიტომ სვანური მარილის ბევრი მწარმოებელი გიცრულს ანაცვლებს ძირათი; ძირას უმეტესობა იმპორტირებულია. მხოლოდ რამდენიმე ადამიანი ჩადის სვანეთში ნედლეულის შესაგროვებლად.

მართალია, სვანურ მარილზე მოთხოვნა მატულობს, მაგრამ არსებობს იმის საშიშროება, რომ აჯიკის მსგავსად, არც სვანური მარილი იქნება დაცული გეოგრაფიული აღნიშვნით ან ადგილწარმოშობის დასახელებით. რეგულა-

[15] წყარო: კვების დარგის მეცნიერი დალი წათავა. სიტყვა მარილის გამოყენება გარკვეულწილად არასწორია, რადგან სვანური მარილი შეიძლება შეიცავდეს ან არ შეიცავდეს ნორმალურ მარილს (NaCl). ტერმინი მარილი გამოიყენება მას შემდეგ, რაც სვანური მარილი გამოიყენება, როგორც ჩვეულებრივი მარილის შემცვლელი.

ციაში ხარვეზის გამო სანელებლების უცხოური გადამამუშავებელი კომპანიები იყენებენ ნედლეულს (ნებისმიერი ადგილიდან), რომ თავად მოამზადონ ეს ნარევები და მონიშნონ, როგორც სვანური მარილი, ნაცვლად იმისა, რომ შეიძინონ დამატებული ღირებულების მქონე მზა ნერევები საქართველოდან.

კონსოლიდაცია და დამუშავება

კონსოლიდაცია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯია ღირებულების დამატების პროცესში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, სადაც თანამედროვე სამრეწველო მასშტაბის სანელებლების არც ერთი დიდი მეურნეობა არ არსებობს და სანელებლების უკლებლივ ყველა მწარმოებელი მცირე ზომის, ძირითადად, საოჯახო მეურნეობებია. სხვა, იშვიათი ტიპის პროდუქტის (მაგ., როგორიცაა სვანური ძირა) შემთხვევაში, ცალკეული შემგროვებლები და კონსოლიდატორები პროდუქტს ველურ გარემოში აგროვებენ. ეს პროდუქტები ძნელი მოსაძიებელია და როდესაც გჭირდებათ, ძნელად იშოვება ბაზარზე.

ზოგიერთი კონსოლიდატორი ასევე მინიმალურად ამუშავებს სანელებლებს და დამუშავებული პროდუქტით ამარაგებს „შეფუთვის კონცეფციის შემქმნელებს“ (განხილული იქნება ქვემოთ).

სანელებლების გადამუშავების პროცესი შემდეგ ნაბიჯებს მოიცავს:

გადამუშავების პროცესის ძირითადი ნაბიჯები შერეული სანელებლებისთვის:

წყარო: რამდენიმე წყარო.

აღსანიშნავია, რომ ამ ნაბიჯების უმრავლესობა გამოიყენება მხოლოდ ადგილობრივად მოყვანილი სანელებლების მიმართ, მაშინ, როდესაც საქართველოში გამოყენებული სანელებლების უდიდესი ნაწილი იმპორტირებულია და ჩვეულებრივ, წინასწარ არის დამუშავებული ფხვნილის დონემდე ან სრულფასოვნად, ანუ დაფქულია სხვადასხვა ხარისხით და ვიდრე საცალო ვაჭრობის ქსელში საბოლოო მომხმარებელს მიეწოდება, მხოლოდ შერევას და შეფუთვას საჭიროებს.

კვლევის შედეგად გამოვლინდა გადამამუშავებელ სექტორთან დაკავშირებული რამდენიმე მიგნება:

დამუშავება ძირითადად ხდება არაკონტროლირებად ჩრდილოვან ბაზარზე. ეს მოიცავს მცირე არარეგისტრირებულ გადამამუშავებელ საწარმოებს, რომლებიც ადგილობრივ ღია ბაზრებს ამარაგებენ. ღია ბაზრებს, განსაკუთრებით, სპეციალურად სანელებლებისთვის განკუთვნილ კუთხეებს, სადაც ძირითადად წარმოებს ვაჭრობა, მცირე რაოდენობის ადამიანები ამარაგებენ. ამ ადამიანების მიკვლევა რთული ამოცანაა, ამ ბიზნესში მრავალჯერადად გადაყიდვის და შუამავლების გამოყენების პრაქტიკის გამო.

ოფიციალურ სექტორში რამდენიმე ათეული კომპანიაა, რომელთა საერთო საწარმოო მოცულობა 2 000 ტონამდეა. აქედან ძალიან მცირე რაოდენობის კომპანიებს აქვთ თანამედროვე გადამამუშავებელი საწარმოები (სამს ან ოთხს). ზოგიერთი კომპანია ერთდროულად არის იმპორტიორიც, გადამამუშავებელიც და საბოლოო პროდუქტის მწარმოებელიც. გარდა ამისა, სანელებლების სექტორში რამდენიმე მსხვილი კომპანიის მთავარი ბიზნესხაზია დაფნის წარმოება.

ხარისხის სერტიფიკატები სულ რამდენიმე გადამამუშავებელ საწარმოს აქვს. უფრო მსხვილი მწარმოებლები აპირებენ ხარისხის აკრედიტაციისა და სერტიფიკატის მიღებას. სხვები მოგვიანებით გეგმავენ ამის გაკეთებას. რამდენიმე მათგანი იცვლის ადგილმდებარეობას, აფართოებს ან განაახლებს თავის ობიექტებს. თუმცა, ხარისხის აკრედიტაციის მქონე ზოგიერთ ობიექტშიც კი, ხარისხის სტანდარტებს არ იცავენ მკაცრად.

კომპანიებს შორის დიდია შიდადარგობრივი ვაჭრობა. უფრო მსხვილი მწარმოებლები, როგორც წესი, საკუთარ რესურსებს იყენებენ ადგილობრივი და იმპორტირებული მასალების მიწოდებისთვის. ამასთან, მათ საბითუმო შესყიდვებში დიდ ნაწილს იმპორტი შეადგენს. ადგილობრივი მიწოდება არ არის საიმედო და ხშირად ძვირიცაა. საინტერესოა შემთხვევა, როდესაც საცალო ვაჭრობაში მსხვილი იმპორტიორები კონკურენციას უწევენ ბრენდირებული სანელებლების მწარმოებლებს, რომლებიც საკუთარ იმპორტირებულ მასალებს იყენებენ.

გადამამუშავებელი საწარმოები ცდილობენ წარმოების გადატანას ქალაქგარეთ ან რეგიონებში. უწინარეს ყოვლისა, არ არსებობს ერთიანი გეოგრაფიული კონცენტრაცია და გადამამუშავებელი საწარმოები მიმოფანტულია მთელ საქართველოში. წარმოების გადატანა ძირითადად განპირობებულია რეგიონებში უფრო იაფი უძრავი ქონებით ან მათი ძირითადი ნედლეულის მომწოდებელი წყაროების მახლობლად ყოფნის აუცილებლობით.

ფალსიფიკაცია რეალურ გამოწვევას წარმოადგენს მთელი დარგისთვის. ამის ძირითადი მიზეზია არაკონტროლირებადი ბაზარი. ცალკეულმა შემთხვევებმა შეიძლება პრობლემები შეუქმნას კარგი რეპუტაციის მქონე გადამამუშავებელ საწარმოებსა და მრეწველობის მთელ დარგს. ახლო წარსულში დაფიქსირებულია სერიოზული შემთხვევები, როდესაც სანელებლებში აღმოაჩინეს მავნე დანამატები. უდავოა, რომ საქართველოში ყველაზე მეტად ფალსიფიცირებული სანელებლებია ულუმბო და ხავერდა. გაყალბება ორი ფორმით ხდება. პირველი ნაკლებად მავნეა, მაგრამ პროდუქტი უფრო დაბალი ხარისხისაა. ასეთ შემთხვევებში, მხოლოდ მცენარის თესლის გამოყენების ნაცვლად, მწარმოებლები, საუკეთესო შემთხვევაში, ასევე იყენებენ ტოტებს ან, უარეს შემთხვევაში, სხვა მცენარეს (მაგალითად, თივას). მეორე ფორმაა არასასურსათო დანამატების გამოყენება (საღებავი „სუდანი“, რომელიც ჭარბად შეიცავს ტყვიას), რაც იწ-

ვევს პროდუქტის ხარისხის მკვეთრად გაუარესებას, ჯანმრთელობისთვის საშიშ დონემდე. ახალი კანონმდებლობა, რომელიც შემოღებულია ამგვარი პრაქტიკის თავიდან ასაცილებლად, არასათანადოდ მუშაობს.

თანამედროვე საცალო ვაჭრობის ქსელი ძნელად ხელმისაწვდომი და ძვირია. გადამამუშავებელი კომპანიისთვის კიდევ ერთი გამოწვევაა მსხვილი საცალო ვაჭრობის კომპანიების ძლიერი საბაზრო პოზიცია. თაროზე დაშვების უფლების მოპოვება მოითხოვს უზარმაზარი თანხების ინვესტირებას მარკეტინგში. ბევრ შემთხვევაში ასეთი მარკეტინგული ინვესტიციები გამართლებული არ არის. ამავე დროს, დიდი დისტრიბუტორებისთვის, რომლებიც იმპორტირებულ პროდუქტს იყენებენ, თაროზე ადგილის მოპოვება უფრო ადვილია.

ამ მიზეზით სანელებლების ახალი მცირერიცხოვანი მწარმოებლების ჯგუფი განიხილავს სამარკეტინგო ხარჯების გაზიარების შესაძლებლობას. ეს ძალიან საინტერესო შესაძლებლობაა კლასტერების შესაქმნელად და კლასტერული ორგანიზაციის ჩამოსაყალიბებლად.

მოკლედ რომ ითქვას, მიუხედავად იმისა, რომ სექტორი აქტიურად ვითარდება, ზოგიერთი გამოწვევა კვლავაც რჩება. სექტორის მთავარი გამოწვევებია:

- ადგილობრივი რესურსების სტაბილური მიწოდების არარსებობა.
- კონკურენცია არაფორმალური სექტორის მხრიდან.

  რეპუტაციული რისკები, რომლებიც სურსათის ფალსიფიკაციის შემთხვევებიდან წარმოიქმნება.
- ადგილობრივი შესაფუთი მასალების არარსებობა.
- (ზოგიერთისთვის) მოძველებული და პრიმიტიული აღჭურვილობა და ტექნოლოგიები.

წინამდებარე პარაგრაფში მოყვანილია სანელებლების ბაზარზე ბიზნესოპერატორების სტატისტიკის დეტალური ანალიზი და ასევე 15 წამყვანი გადამამუშავებელი საწარმოს პროფილის, მათი სიმძლავრეებისა და საერთო ეკონომიკური ეფექტურობის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია.

სანელებლების დისტრიბუცია და საცალო ვაჭრობა

ქვემოთ აღწერილია სანელებლების ღირებულებითი ჯაჭვის, დისტრიბუციისა და საცალო ვაჭრობის ბოლო ეტაპი.

ღია ბაზრები. ქართული სანელებლების დიდი ნაწილი არაფორმალურ სექტორზე გავლით იყიდება: ადგილობრივი ღია აგრარული ბაზრები. თითოეულ ღია აგრარულ ბაზარზე ჩვეულებრივ არსებობს რამდენიმე ძირითადი სავაჭრო წერტილი, სადაც სანელებლები იყიდება. ასეთი ადგილები ყველაზე მეტად უყვართ ქართულ შინამეურნეობებს და ენთუზიასტ ტურისტებს. აღნიშნული სავაჭრო წერტილები მარაგდება როგორც ადგილობრივი, ისე იმპორტირებული პროდუქციით.

ამ ბაზრებზე გასაყიდად განთავსებული სანელებლების მიკვლევადობა უზარმაზარ პრობლემას წარმოადგენს მრეწველობის ამ დარგისთვის. კანონმდებლობაში ბოლო ცვლილებების მიუხედავად, რომლებიც სანელებლებით უკონტროლო ვაჭრობას ეხება, ბაზარზე კვლავაც ხელმისაწვდომია დაბალი სტანდარტის სანელებლები (ფალსიფიცირებული, გაყალბებული ეტიკეტით). კარგი რეპუტაციის მქონე ადგილობრივი მწარმოებლები თავს არიდებენ ამ სავაჭრო წერტილების მომარაგებას, რადგან ფალსიფიცირება ფართოდ გავრცელებული მოვლენაა. ნაკლებად ავტორიტეტული მოვაჭრეები დროდადრო ყიდულობენ მაღალი სტანდარტის სანელებლებს კარგი რეპუტაციის მქონე მწარმოებლებისგან; ამგვარად მათ ექმნებათ ტრანზაქციის ჩანაწერი, რომელიც იმის მტკიცების საშუალებას აძლევთ, რომ მაღალხარისხიანი პროდუქტებით ვაჭრობენ. მიუხედავად ამისა, არცთუ ისე კარგი რეპუტაციის მქონე მოვაჭრეების გაყიდვებში დიდი წილი სხვა დაუდგენელი მომწოდებლებისგან შეძენილ პროდუქციაზე მოდის (ანუ ფალსიფიცირების რისკი მაღალია).

თანამედროვე საცალო ვაჭრობა. მსხვილი საცალო მოვაჭრეები თანამშრომლობენ რამდენიმე მომწოდებელთან. პარალელურად, ზოგიერთ ასეთ ჯაჭვს საკუთარი პირადი ეტიკეტები აქვს იმპორტის მეშვეობით (მაგ., „ნიკორა“). მაგალითად, გასულ წელს ბევრმა საცალო მოვაჭრემაც შემოიტანა სანელებლების საკუთარი სახეობები. რაც უფრო მსხვილია ქსელი, მით უფრო დიდია ეკონომიკური სარგებელი საკუთარი პროდუქციის იმპორტირებისა და ხაზის განვითარებისთვის.

კონცეპტუალური შეფუთვა. საინტერესო, მაგრამ მცირე სეგმენტია კომპანიების ჯგუფი, რომლებიც ამატებენ ღირებულებას ახალი მარკეტინგული კონცეფციებისა და შეფუთვის დიზაინის შემუშავებით, რომელიც იზიდავს ტურისტებსა და საბოლოო მომხმარებელთა სხვა სეგმენტებს. არსებობს რამდენიმე მცირე, მაგრამ კრეატიული კომპანიაა (მაგ., „ვაიმე“, „სპაი“), რომლებიც გამოირჩევიან საინტერესო და თვალშისაცემი შეფუთვით და კომუნიკაციით. დამატებული ღირებულება გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე რესურსებთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები (ნედლეულის, შეფუთვის ღირებულება).

კონცეპტუალური შეფუთვის მქონე რამდენიმე კომპანიას საკუთარი სავაჭრო წერტილები აქვს ტურისტულ ადგილებში (მაგალითად, „სპაი“), მონაწილეობს მეწარმეთა ბაზრობებში (მაგ., „ვაიმე“) ან ცდილობს შეაღწიოს საცალო ვაჭრობის უფრო მსხვილ ქსელებში. თუმცა, მაღალი სამარკეტინგო ხარჯების, საკმარისი მარაგის წარმოებისთვის საჭირო საბრუნავი კაპიტალისა და ხშირად საცალო ქსელის კერძო სავაჭრო ნიშნის მქონე კომპანიების მხრიდან (მაგ., „აგროჰაბი“, „კარფური“) კონკურენციის გამო, მათი ძალისხმევა ძირითადად უშედეგოა.

სამრეწველო წარმოება. სურსათის სამრეწველო წარმოება სანელებლების ძირითადი მომხმარებელია. განვითარებულ სამომხმარებლო ბაზრებზე სურსათის სამრეწველო წარმოების მიერ მოხმარებული სანელებლების წილი მთლიანი ბაზრის 60 პროცენტამდე აღწევს. საქართველოში გადამუშავებული ხორცის მრეწველობა სანელებლების ძირითადი მომხმარებელია. მაგალითად, ხორცპროდუქტებში გამოყენებული სანელებლები, წონის მიხედვით, 0,4-დან 0,5-პროცენტამდეა.[16] ჩვეულებრივ, ამ მწარმოებლებს ურჩევნიათ მუშაობა კარგად ორგანიზე-

[16] „ლიდერ ფუდის“ კვების ტექნოლოგი.

ბულ მომწოდებლებთან, რომლებსაც დიდი რაოდენობით სანელებლების სტაბილურად მიწოდების შესაძლებლობა აქვთ. საქართველოს შემთხვევაში, ბუნებრივია, იმპორტირებულ სანელებლებს იყენებენ. ზრდასთან ერთად, დასაშვებია, ზოგიერთი მწარმოებელი განიხილავდეს სანელებლების იმპორტირების შესაძლებლობას, ნაცვლად იმისა, რომ სანელებლები სხვა იმპორტიორებისგან შეიძინოს.

HoReCa. განვითარებულ ბაზრებზე HoReCa (კვების) სექტორის მიერ მოხმარებული სანელებლების წილი მთლიანი მოხმარების 10 პროცენტამდე შეადგენს. საქართველოში ეს პრაქტიკა არარეგულარული და შერეული ხასიათისაა. რესტორნის შეფ-მზარეულები თავად წყვეტენ, რომელ მომწოდებლებთან იმუშაონ და ურჩევნიათ სხვადასხვა სანელებლებისთვის შერჩეული მომწოდებლები გამოიყენონ. მსხვილი რესტორნები ასევე თანამშრომლობენ კარგად ორგანიზებულ კომპანიებთან, რომლებიც უფრო ეფექტურები არიან მარაგებისა და ფასების თვალსაზრისით. ზოგიერთი რესტორანი საკუთარ ნარევებს ამზადებს, როგორიცაა აჯიკა და სვანური მარილი (მაგ., „ჯახელები“) ან ყიდულობს პატარა ნიშის მქონე მწარმოებლებისგან (მაგ., „შავი ლომი“ შებოლილ აჯიკას „მაია კალანდიასგან“ ყიდულობს). როგორც ირკვევა, საზღვარგარეთ მოქმედი ქართული რესტორნები არიან მოთხოვნისა და ექსპორტის მთავარი მამოძრავებელი ძალა.

საექსპორტო ბაზარი. 2018 წელს ასამდე კომპანია ახორციელებდა სანელებლების ექსპორტს საქართველოდან, რომელიც, დიდი ალბათობით, ძირითადად დაფნის ფოთლის წილით იყო წარმოდგენილი. ექსპორტიორი კომპანიების დიდი ნაწილი მითითებული იყო 0910 კოდის ქვეშ – ზაფრანა, კოჭა, დაფნა, ნარევები, და უფრო კონკრეტულად 091099 - სხვა სანელებლები, რომელიც მოიცავს საქართველოში წარმოებულ სანელებლებს და მათ შორის დაფნას.

სანელებლების ქართველ ექსპორტიორთა რაოდენობა, HS კოდების მიხედვით[17]

HS კოდი	ჯგუფის დასახელება	ექსპორტიორთა რაოდენობა (2018 – 2019 წწ.)
0904	პილპილი	14
0906	დარიჩინი	4
0909	ქინძის თესლი, ძირა, ღვიის კენკრა, ანისულა, კვლიავი	11
0910	ზაფრანა, კოჭა, დაფნა, ნარევები	97

წყარო: საქსტატი.

აღინიშნა, რომ ბევრი საწარმოსთვის სანელებლების ექსპორტი უმეტესად დამატებითი ბიზნესია, რომელსაც ისინი სხვა ძირითადი საექსპორტო პროდუქტების ექსპორტირებასთან ერთად ახორციელებენ, როგორიცაა დაფნის ან კონსერვირებული კვების პროდუქტების კარგად დაფუძნებული ექსპორტი. მცირე რაოდენობით სანელებლების ექსპორტირება კლიენტის მოთხოვნით ხდება, რომელიც ადგილობრივად წარმოებულ სანელებლებს ითხოვს. ასეთ შემთხვევებში, დაფნა უფრო დიდი მოთხოვნით სარგებლობს და მწარმოებლები მასზე უფრო დიდ ყურადღებას ამახვილებენ.

ექსპორტი ძირითადად ხორციელდება საბითუმო შეფუთვით, რადგან მყიდველს ასე ურჩევნია, ასევე – საქართველოში წარმოების არასაკმარისი მასშტაბისა და შეფუთვის შესაძლებლობის უქონლობის გამო. ამდენად, საბოლოო შეფუთვის გათვალისწინებით, არსებობს ღირებულების გარკვეულწილად გაზრდის ალბათობა. თუმცა, რადგანაც საქართველოში არ არსებობს შეფუთვის შესაძლებლობები, ეს კომპონენტი არ განიხილება ეკონომიკური თვალსაზრისით.

როგორც გამოჩნდა, ასეთ შემთხვევებში ექსპორტიორები ჩვეულებრივ ორიენტირებული არიან საექსპორტო ბაზრებზე და შეფუთვასა და მარკეტინგთან დაკავშირებული ხარჯების გამო ადგილობრივ ბაზარს სერიოზულად არ განიხილავენ. სანელებლების ბითუმად წარმოება, შეფუთვასა და მომხმარებელთა პრეფერენციებზე ყურადღების ზედმეტად გამახვილების გარეშე, უდავოდ ადვილი ამოცანაა და ბუნებრივია, რომ დამატებული ღირებულებაც მცირდება.

დამუშავებული პროდუქტის დიდი რაოდენობისა და შერევის სიმარტივის გამო უცხოელი მყიდველები ჩვეულებრივ ამჯობინებენ, თავად დაამზადონ ნარევები და შეფუთვა. ეს შესაძლებელი ხდება, რადგან ჭეშმარიტად ქართული ნარევები, როგორიცაა აჯიკა, სვანური მარილი ან ხმელი სუნელი, არ არის დაცული გეოგრაფიული აღნიშვნით.

სანელებლების აშშ-ში ექსპორტირება შედარებით მარტივია, მაგრამ პრობლემას წარმოადგენს მცირე რაოდენობების გადაზიდვა; საქართველოს ფოსტა არ იღებს სანელებლების მცირე პარტიების გადაზიდვის შეკვეთას და წარმოშობის სერტიფიკატსაც ითხოვს.

ბიზნესოპერატორები

წინამდებარე პარაგრაფში წარმოდგენილია მოკლე ინფორმაცია სანელებლების სექტორის ყველაზე მნიშვნელოვანი ბიზნესოპერატორების შესახებ.

ბიზნესოპერატორების იდენტიფიკაცია

ამ ქვეპარაგრაფში აღწერილია 14 ოპერატორის პროფილის დასადგენად გამოყენებული ჩვენი მეთოდი.

[16] „ლიდერ ფუდის“ კვების ტექნოლოგი.

[17] „უნდა აღინიშნოს, რომ კომპანია შეიძლება ერთი ან რამდენიმე კოდის ქვეშ იყოს მითითებული.

სანელებლების სექტორში ბიზნესოპერატორების ოფიციალური და სრული სია ხელმისაწვდომი არ არის. არსებობს რამდენიმე მონაცემთა ბაზა (მაგ., „საქსტატი“, სურსათის ეროვნული სააგენტო, კომერციული საქმიანობის ცნობარი), რომლებიც ძალიან განსხვავდება სისრულისა და სიზუსტის თვალსაზრისით. მაგალითად, სურსათის ეროვნული სააგენტოს მთავარი მონაცემთა ბაზის მიხედვით, ბიზნესოპერატორების საერთო რაოდენობა იყო 212. „საქსტატის“ მონაცემთა ბაზაში შესულია 70-მდე ბიზნესოპერატორი, რომლებიც რეგისტრირებული არიან სანელებლების კატეგორიაში. სხვა სანელებლების კატეგორიაში ბიზნესოპერატორები იძებნება კომერციული საქმიანობის ცნობარში ან ე.წ. „თოვლის გუნდის“ მეთოდით, ინფორმაციის ძირითად მომწოდებლებთან შეხვედრისას.

არსებული მონაცემთა ბაზების გაუგებარი სტატუსის პრობლემის გადასაჭრელად ყველა მონაცემთა ბაზა გაერთიანდა. ეს გაკეთდა სანელებლების სექტორში პოტენციური ბიზნესოპერატორების საბოლოო სიის ჩამოსაყალიბებლად (გრძელი სია). გრძელ სიაში 268 საწარმო შევიდა და შემდგომში სია კიდევ დაიხვეწა. შევეცადეთ სიაში ჩამოთვლილ ყველა საწარმოსთან დაკავშირებას და აქედან 117 ბიზნესოპერატორთან მოვახერხეთ დაკავშირება. სხვებთან დაკავშირება შეუძლებელი იყო, რადგან საწყის მონაცემთა ბაზაში საკონტაქტო ინფორმაცია და ადგილმდებარეობა არასწორად ან საერთოდ არ იყო მითითებული.

მეტ-ნაკლებად სრულყოფილი ინფორმაციის მოსაპოვებლად სულ 40 ბიზნესოპერატორი გამოიკითხა. ბიზნესოპერატორების უმეტესობას ვეწვიეთ ან ტელეფონით გავესაუბრეთ. საბოლოოდ, სანელებლების სექტორში 15 ბიზნესოპერატორის პროფილი შეიქმნა; ისინი წარმოდგენილია ქვემოთ.[18] შედეგები ასახულია ქვემოთ, გრაფიკში.

კომპანიები, რომლებსაც დავუკავშირდით



წყარო: TBSC-ის ერთობლივი მონაცემთა ბაზა.

[18] სურსათის ეროვნული სააგენტოს მონაცემთა ბაზას ჩვენ განვიხილავთ, როგორც სანელებლების სექტორში ოფიციალურად რეგისტრირებული კომპანიების ძირითად მონაცემთა ბაზას. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ სურსათის ეროვნული სააგენტოს სიას დავუმატეთ კომპანიები, რომლებიც დაკავებული არიან სტატისტიკური დოკუმენტაციის შემუშავებით. უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაცია შეიძლება ემთხვეოდეს „საქსტატის“ მონაცემთა ბაზას, მაგრამ დიდი დამთხვევა არ იქნება.

სანელებლების სექტორში რეგისტრირებული ბიზნესოპერატორების ძირითადი სტატისტიკური მონაცემები

ამ ქვეპარაგრაფში მოყვანილია სანელებლების სექტორში რეგისტრირებული ბიზნესოპერატორების რამდენიმე მახასიათებელი.

რეგისტრირებულ ბიზნესოპერატორებში წამყვანი იურიდიული ფორმაა ინდივიდუალური მეწარმეობა. გრძელი სიის ანალიზმა აჩვენა, რომ რეგისტრირებული ბიზნესოპერატორების უმეტესობა იყო ინდივიდუალური მეწარმე (165 ან 62 პროცენტი) და შემდგომ – შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიები (99 ან 40 პროცენტი). მონაცემთა ბაზაში ასევე ნაპოვნია 4 რეგისტრირებული კოოპერატივი. ეს ნაზავი ნაჩვენებია შემდეგ სქემაში.

ბიზნესოპერატორების სამართლებრივი ფორმა (საბაზო – გრძელი სია)



წყარო: TBSC-კონსალტინგის ერთობლივი მონაცემთა ბაზა.

მრეწველობის ამ დარგში აღინიშნება ბიზნესოპერატორების მნიშვნელოვანი დენადობა (შესვლა და გასვლა). მიუხედავად იმისა, რომ მონაცემები არ არის სრული თუ ზუსტი, „საქსტატის“ ინფორმაციით, 2019 წელს 70-მდე აქტიური საწარმო იყო რეგისტრირებული საქართველოში სანელებლების მწარმოებლებად. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საწარმოთა რეალური რაოდენობა არ გაზრდილა (2015 წლიდან მხოლოდ 2 საწარმო დაემატა), პირთა რაოდენობაში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა, 30-მდე (ან 40 პროცენტამდე) პირი გარდაიცვალა და ახლები შემოვიდნენ. ეს მიუთითებს არსებულ სირთულეებზე, რომლის წინაშეც შეიძლება დადგნენ ამ სექტორში მოქმედი საწარმოები.

თბილისი, იმერეთი და სამეგრელო წამყვანი რეგიონებია სანელებლების სექტორის ბიზნესოპერატორებისთვის. როგორც ქვემოთ მოყვანილი გრაფიკიდან ჩანს, საწარმოები ძირითადად ამ სამ რეგიონშია განთავსებული, რაც განპირობებულია ბაზართან და ბიზნესის თვალსაზრისით აქტიურ ტერიტორიასთან (მაგ.თბილისი) ან მიწოდების მთავარ არხებთან (მაგ., იმერეთი, სამეგრელო) სიახლოვით. ამჟამად თბილისში სანელებლების მწარმოებელი 68 კომპანიაა. მეორე ადგილზეა იმერეთი (52 კომპანია), მესამეზე – სამეგრელო-ზემო სვანეთი (50 კომპანია). აღსანიშნავია, რომ სულ უფრო მატულობს იმ კომპანიების რიცხვი, რომელთაც მიწის ნაკვეთის დაბალი ღირებულე-

ბისა და მიწოდების ბაზრებთან სიახლოვის მიზეზით თავიანთი საწარმოო ობიექტები თბილისიდან გააქვთ.

ბიზნესოპერატორები, რეგიონების მიხედვით (2019 წ.) (საბაზო – გრძელი სია)



წყარო: TBSC-კონსალტინგის ერთობლივი მონაცემთა ბაზა.

ბიზნესოპერატორების უმრავლესობა ადგილობრივ ბაზარზე მუშაობენ. ექსპორტი კი უფრო რთულია, რადგან არც ბაზრის შესახებ ინფორმაცია არსებობს და ვერც სერტიფიცირების მოთხოვნებს აკმაყოფილებენ.

ბაზრები ბიზნესოპერატორებისთვის (საბაზო – სრული რეაგირების სია)



წყარო: TBSC-კონსალტინგის ერთობლივი მონაცემთა ბაზა.

სანელებლების სექტორში სულ რამდენიმე კარგად ორგანიზებული კომპანია ფუნქციონირებს. შეიძლება ჩაითვალოს, რომ მხოლოდ სამი კომპანიაა (მაგალითად, „დაბი“, „ფარკონი“, „გეო“) საკმარისად დიდი ზომის, რომელიც შესაბამისი ხარისხის პროდუქციას აწარმოებს. ამ კომპანიებს მეტ-ნაკლებად სრული საწარმოო ციკლი აქვთ: გადამუშავებიდან შეფუთვამდე. სხვა კომპანიები ან მცირე ზომისაა, ან სანელებლების წარმოება მათი ბიზნესის უმცირეს ნაწილს შეადგენს.

ქართული სანელებლების შერჩეული გადამამუშავებელი საწარმოების სია

კომპანიის დასახელება	ადგილი	წლიური სიმძლავრე (ტ.)	თანამშრომელთა რაოდენობა	ძირითადი საქმიანობა	საბაზრო ორიენტაცია (ადგილობრივი ან საექსპორტო)
შპს „გეო“	თბილისი	1 000	53	იმპორტირება გადამუშავება, შეფუთვა	ორივე
შპს „დაბი“	თბილისი	100	40	იმპორტირება გადამუშავება, შეფუთვა	ორივე
შპს „ფარკონი“	ქუთაისი	70	25	იმპორტირება გადამუშავება, შეფუთვა	ადგილობრივი
შპს „ნტკ 2016“	ქობულეთი	400	12	გადამუშავება, შეფუთვა	ადგილობრივი
შპს „ჯორჯიან ჰერბსი“	ხარაგაული	300	59	წარმოება, გადამუშავება	საექსპორტო
შპს „ევროპროდაქტსი“	თბილისი	100	3	გადამუშავება, დისტრიბუცია	ადგილობრივი
შპს „ლაგო“	თბილისი	84	3	იმპორტირება, გადამუშავება	ორივე
შპს „ევროპროდაქტსი“	ქუთაისი	20	20	წარმოება, გადამუშავება	საექსპორტო
იმ „მაია ბრეგაძე„	ქუთაისი	6	6	გადამუშავება, შეფუთვა	საექსპორტო
შპს „ფლორა ჯორჯია“	თბილისი	4	5	გადამუშავება, შეფუთვა	ადგილობრივი
შპს „სპაი“	თბილისი	2	1	შეფუთვა	ადგილობრივი
„ვაიმე სპაისის“	თბილისი	1,6	4	შეფუთვა	ადგილობრივი
იმ „მელანო ჩანქსელიანი“	ქუთაისი	0,5	3	გადამუშავება, შეფუთვა	ადგილობრივი
შპს „ბლექ სი ჯორჯია“	თბილისი	0,5	1	გადამუშავება, შეფუთვა	ადგილობრივი

წყარო: TBSC-კონსალტინგი.

სურსათის უვნებლობის მოთხოვნები

სურსათის უვნებლობის კუთხით საქართველოში სანელებლების სექტორი ალბათ უფრო მეტად მოექცა ყურადღების ცენტრში, ვიდრე ყველა სხვა სექტორი. სანელებლების გაყალბება და ფალსიფიცირება ადვილია საბოლოო პროდუქტის (ძირითადად, დაფქული და შერეული) ფორმისა და საერთო ნარევში კომპონენტების მიკვლევადობის სირთულის გამო. ასე ხდება საქართველოშიც და მთელ მსოფლიოშიც.

წინამდებარე თავში აღწერილია მოთხოვნები, რომლებსაც საქართველოში სანელებლები უნდა აკმაყოფილებდეს. თავიშედგება ოთხი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში წარმოდგენილია ბოლოდროინდელი მოვლენები, სადაც საქართველომ ვერ დააკმაყოფილა მოთხოვნები და ჩამოთვლილია მარეგულირებელი შეზღუდვები, რომლებმაც ხელი შუწყო ამ ვითარებას. მომდევნო სამ ნაწილში განხილულია მარეგულირებელი მოთხოვნები საქართველოში, ევროკავშირსა და აშშ-ში.

ბოლოდროინდელი მოვლენები

ბოლო დროს საქართველოში სანელებლებთან დაკავშირებით რამდენჯერმე გამოვლინდა სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული შეშფოთება. ეს შემთხვევები მოკლედ არის მიმოხილული ქვემოთ.

ტყვიით დაბინძურება

სანელებლების სექტორში ყველაზე დიდი სკანდალი იყო ტყვიით დაბინძურება, რომელიც 2015 წლიდან დაიწყო. ქვემოთ გთავაზობთ ამ ვითარების აღწერას.

უახლეს წარსულში სანელებლებთან დაკავშირებით ყველაზე დიდი პრობლემა 2015 წელს დაფიქსირდა, როდესაც ნიუ-იორკის ჯანმრთელობის დეპარტამენტმა ოფიციალური წერილით მიმართა საქართველოს, სადაც მითითებული იყო, რომ საქართველოში დაბადებული და ასევე აშშ-ში დაბადებული ბავშვების სისხლში, რომლებსაც მშობლები საქართველოდან ჰყავდათ, ტყვიის უკიდურესად მაღალი დონე გამოვლინდა. აშშ-ში ქართველი ბავშვების გარემოს დეატლური ანალიზის შემდეგ ტყვიის წყარო აღმოაჩინეს საქართველოში მოხმარებულ ან მშობლების მიერ საქართველოდან შეტანილ ქართულ სანელებლებში. საქართველოს მთავრობამ რეაგირება მოახდინა 2017 წელს, მედიის მიერ ამ ამბის ფართოდ გაშუქების შემდეგ. ჩატარდა დამადასტურებელი კვლევები და 2018 წლის თებერვალში მიიღეს ახალი სამთავრობო განკარგულება. განკარგულება შეიცავს ქვემოთ წარმოდგენილ რამდენიმე ღონისძიებას, რომლებიც ძალაშია 2020 წლის თებერვლამდე:

- ფიზიკურ პირებს აეკრძალათ სანელებლების წარმოება და დამუშავება (ინდივიდუალური მეწარმეების გარდა) ბაზარზე სარეალიზაციოდ განთავსების მიზნით (გარკვეული გამონაკლისებით).
- ბაზარზე სარეალიზაციოდ რეგისტრირებული საწარმოების მიერ წარმოებული ან დამუშავებული სანელებლები დაუშვეს მხოლოდ შეფუთული სახით, საქართველოს კანონმდებლობის ეტიკეტირების მოთხოვნების შესაბამისად.
- დაუფასოებელი სახით სანელებლები შეიძლება ბაზარზე სარეალიზაციოდ განთავსდეს (მათ შორის, ფიზიკური პირების მიერ) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სანელებლები მომხმარებლის თვალწინ დაიფქვება.

მუნიციპალიტეტებს დაევალათ უზრუნველყონ და ხელი შეუწყონ განკარგულების შესრულებას. ფაქტები ამტკიცებს, რომ განკარგულება არ ხორციელდება.

2019 წლის აპრილში საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდმა (UNICEF), გამოაქვეყნა ინფორმაცია ბავშვების სისხლში ტყვიის შემცველობის ეროვნული კვლევის შედეგების შესახებ. სისხლის ნიმუშები შეგროვდა მთელი საქართველოს მასშტაბით, 1 578 შემთხვევით შერჩეული 2-დან 7 წლამდე ასაკის ბავშვებში. შედეგების მიხედვით, ბავშვების 41 პროცენტს სისხლში ტყვიის დონე 5 მკგ/დლ-ის ტოლი ან უფრო მაღალი აქვს და აქედან ბავშვების 16 პროცენტს სისხლში ტყვიის დონე 10 მკგ/დლ-ის ტოლი ან უფრო მაღალი აქვს. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციების თანახმად, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ღონისძიებები უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს ეროვნულ დონეზე, როდესაც სისხლში ტყვიის შემცველობა 5 მკგ/დლ-ის ტოლია ან მეტია.

ბაზრის ზედამხედველობა

წინამდებარე ქვეპარაგრაფში აღწერილია, თუ როგორია სანელებლების ბაზრის სამთავრობო ზედამხედველობა.

სურსათის ეროვნული სააგენტო სანელებლებს სამი წლის განმავლობაში ამოწმებდა (2017 წლიდან 2019 წლის ჩათვლით). 2017 წ. შემოწმდა 192 ნიმუში და დარღვევები დაფიქსირდა 32 ნიმუშში (17%). 2018 წ. შემოწმდა 137 ნიმუში და დარღვევები დაფიქსირდა 11 ნიმუშში (8%). 2019 წლის პირველ ნახევარში 21 ნი-მუშის ტესტირება ჩატარდა და დარღვევები ერთში (5%-ში) დაფიქსირდა. უნდა აღინიშნოს, რომ სასურსათო კომპანიები ხშირად მიმართავენ ლაბორატორიულ ტესტირებას. ასეთ შემთხვევებში ნიმუშები იგზავნება საერთაშორისო ლაბორატორიებში და შედეგები ხშირად განსხვავდება თავდაპირველი ტესტის შედეგებისგან.

ცოტა ხნის წინ სურსათის ეროვნულმა სააგენტომ და ფინანსურმა პოლიციამ ფალსიფიკაციის ორი შემთხვევა გამოავლინეს; ერთ მეწარმეს ბრალი დაედო სისხლის სამართლის დანაშაულში.

მარეგულირებელი შეზღუდვები

საქართველოში არსებობს მარეგულირებელი შეზღუდვებით გამოწვეული პრობლემები, რომლებიც აღწერილია მოცემულ ქვეპარაგრაფში.

წარმომავლობის ქვეყანა. კანონმდებლობა სანელებლების მწარმოებელს უფლებას აძლევს მიუთითოს საქართველო, როგორც წარმომავლობის ქვეყანა, თუ სანელებლები მინიმალურად მაინც არის დამუშავებული (მაგ., დაფქული, შეფუთული) საქართველოში. ეს იწვევს დაბნეულობას, რადგან ისეთი სანელებლის ეტიკეტზე, რომლის ყველა ინგრედიენტი იმპორტირებულია, მაინც შეიძლება იყოს აღნიშნული, რომ იგი წარმოებულია საქართველოში. ეტიკეტზე შესაძლოა ასევე მითითებული იყოს, რომ გამოყენებულია სხვა ქვეყნების ნედლეული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რიგითმა მომხმარებელმა ეს შეიძლება მაინც ქართულ სანელებლად აღიქვას.

მიკვლევადობა. სანელებლების მწარმოებელთა მიკვლევადობა რთულია ბიზნესოპერატორების სიის შექმნასა და წარმოებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო. სურსათის ეროვნული სააგენტოს თანახმად, საქართველოში სანელებლების წარმოებაზე ძირითადად პასუხს აგებენ ფიზიკური პირები. ბიზნესოპერატორების სია ვრცელია, მაგრამ ამის მიზეზია ის, რომ ბევრი ბიზნესოპერატორი საქმიანობის მრავალ სფეროს (მათ შორის სასურსათოს) მიუთითებს მაშინაც კი, თუ იმ მომენტში ამით არ არის დაკავებული. ამის გამო რთულია დადგენა, თუ ზუსტად რამდენი ბიზნესოპერატორი აწარმოებს სანელებლებს. ეს გარემოება ასევე ართულებს ყველა სახის ანალიზსა და რისკის შეფასებას.

დარეგულირების რესურსები. ფინანსური რესურსების სიმწირის გამო საქართველო ხშირად დაგვიანებით რეაგირებს სანელებლებთან დაკავშირებულ რისკებზე. საქართველო ჩართულია ევროკავშირის სურსათისა და ცხოველთა საკვების სწრაფი განგაშის სისტემაში (EU RASFF), მაგრამ განგაშზე სწრაფად რეაგირება არ შეუძლია. მაგალითად, 2018 წლის ივნისში იყო შეტყობინება, რომ საქართველოდან ესტონეთის გავლით ფინეთში ექსპორტირებულ სანელებლებში აღმოჩნდა აკრძალული საღებავი „სუდანი 1“. იგივე შეტყობინება განმეორებით მიიღეს 2019 წლის ივნისში. იმ დროს, საბიუჯეტო სახსრების არარსებობის გამო, სუდანის საღებავების გამოსავლენად მთავრობას არც ერთი ღონისძიება თუ კვლევა არ ჩაუტარებია.

სამთავრობო ქმედებებს უბიძგა საქართველოში შეძენილი პროდუქტების ლაბორატორიული კვლევის შედეგებმა, რომლებიც სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა გამოაქვეყნა, როდესაც 42 პროდუქტიდან (14%-დან) 6 დაბინძურებული იყო სუდანის საღებავებით. სურსათის ეროვნულმა სააგენტომ 2019 წლის სახელმწიფო კონტროლის გეგმაში დაამატა კვების პროდუქტებში სუდანის საღებავების გამოკვლევა 10 სინჯის მიხედვით.

ლაბორატორიის არარსებობა. სანელებლების ხარისხის სუსტი სამთავრობო კონტროლის ერთ-ერთი მიზეზია ადგილობრივი ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის არარსებობა. საქართველოში არ არსებობს ლაბორატორია, რომელსაც სუდანის საღებავებზე ტესტის ჩატარება შეუძლია. სატესტო ნიმუშები, როგორც წესი, იგზავნება ევროკავშირის ლაბორატორიებში (მაგ., BIOR-ის ლაბორატორიაში, ლატვიაში). ამ დროისთვის სურსათის ეროვნული სააგენტო ელოდება ტესტების შედეგებს საერთაშორისო ლაბორატორიიდან, რის შემდეგაც, სავარაუდოდ, კვლავ იქნება მიღებული საგანგებო ზომები, რათა სანელებლები განისაზღვროს, როგორც მაღალი რისკის მქონე პროდუქტები, და ქვეყანაში მათი იმპორტი დაშვებული იქნება მხოლოდ საზღვარზე სათანადო ლაბორატორიული ანალიზის ჩატარების შემდეგ.

სასაზღვრო კონტროლი. სასაზღვრო კონტროლი კიდევ ერთი შემაშფოთებელი სფეროა. სასაზღვრო კონტროლის განხორციელება ევალება შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს. რისკის შეფასება და კონტროლის გეგმა მოამზადა და განახორციელა სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის განყოფილებამ, სურსათის ეროვნული სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობით. აღნიშნული კონტროლი რეგულირდება მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის დადგენილებით #567, რომელიც ადგენს წესებს სასაზღვრო კონტროლის განხორციელებისთვის არაცხოველური წარმოშობის კონკრეტული სურსათისა და ცხოველთა საკვების იმპორტზე. ეს დადგენილება ეფუძნება ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს No 882/2004 (EC) რეგლამენტის განმახორციელებელ რეგლამენტს (EC) No 669/2009, რომელიც ეხება კონკრეტული არაცხოველური წარმოშობის სურსათისა და ცხოველთა საკვების იმპორტზე ოფიციალური კონტროლის გაზრდილ დონეს.

ცვლილების ტემპი. საქართველოს კანონმდებლობა ვერ ეწევა ევროკავშირის რეგლამენტების პერიოდულ ცვლილებებს. ეს არ აძლევს მთავრობას ეფექტური კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას; საქართველოს კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა და მიღება, სულ მცირე, ექვსთვიანი დაგვიანებით ხდება.

კიდევ ერთი პრობლემაა კანონმდებლობის მიღებაში არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებები. მაგალითად, ევროკავშირის კანონმდებლობაში არსებობს მიდგომა „მესამე ქვეყნებისთვის“ და საქართველო თავად განიხილება, როგორც მესამე ქვეყანა. საქართველოს ასეთი განმარტება არ აქვს და კონტროლის სისტემის დაფუძნების კუთხით ყველა ქვეყნის მიმართ ინდივიდუალური რეჟიმი გამოიყენება. მაგალითად, ამჟამად ევროკავშირის რეგლამენტით არსებობს ყველა მესამე ქვეყნიდან სუდანის საღებავებზე 10 კონკრეტული სანელებლის გაკონტროლების მოთხოვნა (მაგ., როგორიცაა ჩილი (Capsicum annuum), დაქუცმაცებული ან დაფქული (ყოფილი 0904 20 90), ჩილის პროდუქტები (ქარი) (0910 91 05), კურკუმა ლონგა (ტურმერიკი) (0910 30 00) (სურსათი – მშრალი სანელებლები)). საქართველოს კანონმდებლობაში ასეთი მოთხოვნა არ არსებობს. ეს მოთხოვნა განსაზღვრულია შეზღუდული რაოდენობის ქვეყნებისთვის.

ამგვარად, ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის არქონის პირობებში, ასეთი ანალიზის საჭიროების შემთხვევებში, კონტროლი მხოლოდ დოკუმენტაციის შემოწმებით ხორციელდება.

ქართული კანონმდებლობის მოთხოვნები

წინამდებარე პარაგრაფში მოკლედ არის მიმოხილული ქართული კანონმდებლობის მოთხოვნები, რომლებიც ეხება პირველად წარმოებას, გადამუშავებას, შეფუთვასა და ეტიკეტირებას.

პირველადი წარმოება

დღეს სანელებლების პირველადი წარმოება არ ექვემდებარება მკაცრი აღრიცხვისა და კონტროლის მოთხოვნებს, როგორც აღწერილია წარმოდგენილ ქვეთავში. სანელებლების გადამამუშავებელი საწარმოების (სასურსათო დარგის ბიზნესოპერატორების) შემთხვევაში კი, საქმე სხვაგვარადაა და მათ მიმართ ეს მოთხოვნები მოქმედებს.

სანელებლების პირველადი წარმოების მიმართ მთავარი მოთხოვნაა სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფა, ანუ პროდუქტი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობას ქიმიური და მიკრობიოლოგიური დაბინძურების შესახებ. აღნიშნული მოთხოვნების შესასრულებლად მწარმოებლებს მხოლოდ რეგისტრირებული ქიმიკატების გამოყენება (მაგ., პესტიციდების) შეუძლიათ და ქიმიკატები სათანადოდ უნდა იყოს გამოყენებული (ანუ გამოყენებული რაოდენობის, გამოყენების მეთოდის,

მოსავლის აღებამდე გამოყენების წესების დაცვით).

საქართველოს მოქმედი შესაბამისი კანონმდებლობა მოიცავს შემდეგს:

- კანონი პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ; მთავრობის დადგენილება 443 (2013 წლის 31 დეკემბერი) ტექნიკური რეგლამენტის – „საქართველოში პესტიციდების და აგროქიმიკატების სარეგისტრაციო შემოწმებების, ექსპერტიზისა და რეგისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“.
- დადგენილება #437 (2013 წლის 31 დეკემბერი) ტექნიკური რეგლამენტის –„პესტიციდების წვრილი დაფასოების ორგანიზების წესის“ დამტკიცების შესახებ.
- დადგენილება #451 (2013 წლის 31 დეკემბერი) ტექნიკური რეგლამენტის – პესტიციდების და აგროქიმიკატების შენახვის, ტრანსპორტირების, რეალიზაციისა და გამოყენების წესების“ დამტკიცების შესახებ.
- დადგენილება #336 (2018 წლის 13 ივნისი) სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების თესლისა და სარგავი მასალის ეტიკეტირების წესის დამტკიცების შესახებ.
- დადგენილება #619 (2016 წლის 29 დეკემბერი) მცენარის, მცენარეული პროდუქტისა და სხვა ფიტოსანიტარიული რეგულირებადი ობიექტის მწარმოებელ, გადამამუშავებელ ან/და დისტრიბუტორ ბიზნესოპერატორთა ვალდებულებებისა და მათი აღრიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე.
- დადგენილება #623 (2016 წლის 29 დეკემბერი) „მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სურსათ(ზე)ში/ცხოველის საკვებ(ზე)ში პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“.

აღნიშნული რეგლამენტების შესახებ ფერმერებს შედარებით ნაკლები ცოდნა და ინფორმაცია აქვთ, რის გამოც ამ რეგლამენტებთან მიმართებით რამდენიმე პრობლემა წარმოიქმნება:

- აკრძალული პესტიციდებისა და ჰერბიციდების გამოყენება;
- სასუქის სახით ცხოველის ახალი ნაკელის გამოყენება (რაც მიკროორგანიზმებით დაბინძურებას იწვევს);
- უხარისხო მასალის კარგი ხარისხის მოსავალთან შერევა;
- შენახვის ცუდი პირობების გამო მწერებითა და მღრღნელებით ინფიცირება;
- რეცხვის პროცესში გამოყენებული წყლის ხარისხი;
- შრობის ტრადიციული მეთოდები (მზეზე); არასრულად გაშრობა ხელს უწყობს მიკროორგანიზმების გამრავლებას.

მცირე მეურნეობებში სანელებლების მოსავლის აღებისა და გაშრობის პრიმიტიული პირობები დაბინძურების ძირითადი წყაროა. განსაკუთრებით პრობლემურია არასრულად გაშრობა, რომელიც არომატის შენარჩუნების მიზნით დაბალი ტემპერატურის გამოყენებით არის გამოწვეული.

გადამუშავება

ამ ქვეთავში განხილულია საქართველოს რეგლამენტები გადამუშავებასთან დაკავშირებით.

ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, სანელებლების წარმოება საწარმოსგან მოითხოვს ჰიგიენისა და წარმოების კარგი პრაქტიკის დაცვას. ეს ნიშნავს ინფრასტრუქტურის, მავნებლების, ნარჩენების, წყლის კონტროლის, პერსონალის პირადი ჰიგიენის, აღრიცხვის, მიკვლევადობისა და სხვა მოთხოვნების შესრულებასა და სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული საფრთხეების (მიკრობიოლოგიური, ფიზიკური, ქიმიური) გაკონტროლებას.

საქართველოს მოქმედი შესაბამისი კანონმდებლობა მოიცავს შემდეგ დადგენილებებს:

- დადგენილება #533 (2015 წლის 16 ოქტომბერი) „სურ-სათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“.
- დადგენილება #534 (2015 წ.-ის 16 ოქტომბერი) „სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/-დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესისა და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის 173 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
- დადგენილება #577 (2015 წ.-ის 10 ნოემბერი) „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მიკვლევადობის ზოგადი პრინციპებისა და მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“.
- დადგენილება #567 (2015 წ.-ის 9 ნოემბერი) „სურსათის ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტემინანტის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“.
- დადგენილება #581 (2015 წ.-ის 10 ნოემბერი) „სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე“.

როგორც წესი, ქართული გადამამუშავებელი საწარმოები რეგლამენტებთან დაკავშირებით არაერთი პრობლემის წინაშე დგანან, კერძოდ:

- პროდუქტები იწარმოება ნებართვის არმქონე ობიექტებში, სათანადო დაგეგმვისა და ჰიგიენის წესების დაცვის გარეშე.
- აღჭურვილობა სურსათისთვის შეუფერებელი ხარისხისაა და არ არის კარგ მდგომარეობაში.
- სამუშაო მეტწილად ხელით სრულდება და ჰიგიენის წესები ნაკლებად არის დაცული.
- ჰიგიენის კარგი პრაქტიკის (GHP) დაცვა ყოველდღე.
- არასათანადო შენახვის მეთოდები და მიკვლევადობის სისტემა.
- ალერგენების კონტროლის პროცედურები არ ან არაჯეროვნად ხორციელდება.

- ნაკადური ტექნოლოგიური პროცესი და პროდუქტების ჯვარედინი დაბინძურება.
- სასურსათო ბიზნესოპერატორებად რეგისტრირება.
- პროდუქციის განთავსება სათანადოდ დაგეგმილ, აღჭურვილ და გაკონტროლებულ ობიექტში.
- ჰიგიენის კარგი პრაქტიკის (GHP) და წარმოების კარგი პრაქტიკის (GMP) დაცვა.
- საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული სერტიფიკატების მოპოვება.
- მწარმოებლებს არ აქვთ საკმარისი ცოდნა და ინფორმაცია.

სანელებლების მწარმოებლებისთვის HACCP-სისტემის განხორციელება სავალდებულო ხდება მხოლოდ 2023 წლიდან; ამჟამად იგი სავალდებულოა მხოლოდ არაცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტების მწარმოებლებისთვის. ამიტომ საქართველოში სანელებლების წარმოების მთავარი დაცვის ინსტრუმენტად ჯერჯერობით არ გამოიყენება HACCP-სისტემა.

სამწუხაროდ, ბოლო წლებში გამოვლენილი დაბინძურების შემთხვევების ძირითადი მიზეზია თაღლითობა გადამუშავების ეტაპზე. ტყვიითა და სუდანის საღებავებით დაბინძურების მძიმე შემთხვევები კვლავაც უდიდეს პრობლემად რჩება ამ სექტორისთვის საქართველოში. ჩვენი მონახულებული 15 კომპანიიდან მხოლოდ სამ მწარმოებელს აქვს ობიექტები, რომლებიც შეიძლება შეფასდეს, როგორც გადამამუშავებელი ქარხანა, და ორი მათგანი სერტიფიცირებულია სურსათის უვნებლობის მართვის სისტემის სტანდარტის შესაბამისად. ასეთ შემთხვევებშიც კი არსებობს გარკვეული პრობლემები.

შეფუთვა და ეტიკეტირება

წინამდებარე ქვეპარაგრაფში მოყვანილია შეფუთვასთან დაკავშირებით საქართველოს რეგლამენტები.

ყველა შესაფუთი მასალა სურსათისთვის შესაფერისი ხარისხის უნდა იყოს, აკმაყოფილებდეს ჰიგიენის მაღალ სტანდარტებს და სათანადოდ უნდა იყოს ეტიკეტირებული. ეს საკითხები რეგულირდება რამდენიმე საკანონმდებლო აქტით:

- დადგენილება #317 (2018 წლის 5 ივნისი) „მოთხოვნები სურსათთან შეხებისთვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ“.
- დადგენილება #301 (2016 წ.-ის 1 ივლისი) „მომხმარებლისათვის სურსათზე ინფორმაციის მიწოდების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“.
- დადგენილება #510 (2016 წ.-ის 17 ნოემბრის) „სურსათზე კვებით ღირებულებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“.
- დადგენილება #585 (2016 წ.-ის 23 დეკემბერი) „საკვებდანამატების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“.
- დადგენილება #508 (2016 წ.-ის 17 ნოემბერი) „კვების პროდუქტებში ვიტამინების, მინერალებისა და სხვა კონკრეტული ნივთიერებების დამატების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“.

ევროკავშირის მოთხოვნები

მოცემულ ქვეპარაგრაფში აღწერილია ევროკავშირის მოთხოვნები სანელებლების მიმართ. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხადავად იმისა, რომ ყველა სანელებელი უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთ მოყვანილ მოთხოვნებს, ევროკავშირში ბევრ მყიდველს საკუთარი, უფრო მკაცრი მოთხოვნები აქვს.

რატომ ევროკავშირის მოთხოვნები?

ქვეპარაგრაფში განხილულია ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისობა ქართველ მწარმოებლებთან.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულება (AA) ახალ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს უქმნის სანელებლების მწარმოებლებს. ასოცირების ხელშეკრულება შესაძლებლობას აძლევს საქართველოს მიაღწიოს ეკონომიკურ ინტეგრაციას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების (DCFTA) მეშვეობით. ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია მარეგულირებელი კანონმდებლობების მიახლოება, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (WTO) მხარეთა წევრობიდან გამომდინარე უფლებებისა და მოვალეობების შესაბამისად.

ევროპულ ბაზარზე სანელებლების მიმართ სამართლებრივი მოთხოვნები ძირითადად შეეხება სურსათის უვნებლობასა და ხარისხს, კერძოდ კი, დაბინძურების თავიდან აცილებას. რაც შეეხება საბაზრო მოთხოვნებს, ეთიკური და პასუხისმგებლობიანი მოხმარებისკენ მიმართული უფრო ფართო ევროპული ტენდენციის შესაბამისად, ასევე მნიშვნელოვანი გახდა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR) და მდგრადობა. აღნიშნული მოთხოვნები და ტენდენციები განხილულია მომდევნო თავში.

სურსათის უვნებლობა – ჰიგიენა, მიკვლევადობა და კონტროლი

ქვემოთ წარმოდგენილია ევროკავშირის მოთხოვნები ჰიგიენის, მიკვლევადობისა და კონტროლის მიმართ.

სურსათის შესახებ ზოგადი კანონი წარმოადგენს მარეგულირებელ საკანონმდებლო ბაზას ევროკავშირში სურსათის უვნებლობისთვის. მოთხოვნები ეხება სურსათის უვნებლობას, რადგან ამ კანონმდებლობასთან შესაბამისობა უზრუნველყოფს სანელებლების უსაფრთხო მოხმარებას. სურსათის უვნებლობის გარანტირებისთვის და საშიში სურსათის შემთხვევებში, სათანადო ზომების მისაღებად, სანელებლების მიკვლევადობა შესაძლებელი უნდა იყოს მიწოდების მთელ ჯაჭვში. ეს ნიშნავს უფრო მეტ ინფორმაციას პროდუქტის წარმოშობის შესახებ, ამისათვის აუცილებელი აღრიცხვის წარმოებას და პროდუქციის წარმომავლობის შესახებ პოტენციური მყიდველებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობას.

აღნიშნული მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგ აქტებში:

- ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2002 წლის 28 იანვრის რეგლამენტი (EC) No 178/2002 (რომელიც განსაზღვრავს სურსათის შესახებ კანონის ზოგად პრინციპებსა და მოთხოვნებს, აფუძნებს ევროპის

სურსათის უვნებლობის სააგენტოს და ადგენს პროცედურებს სურსათის უვნებლობის საკითხებში).

- ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2004 წლის 29 აპრილის რეგლამენტი (EC) No (EC) No 852/2004 კვების პროდუქტების ჰიგიენის შესახებ.

მიწოდების მთელ ჯაჭვში სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული საფრთხეების კონტროლის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია სურსათის უვნებლობის მენეჯმენტი საფრთხის ანალიზის კრიტიკული კონტროლის წერტილების (HACCP) სისტემის პრინციპებზე დაყრდნობით.

კვების პროდუქტები, მათ შორის, სანელებლები, ოფიციალურ კონტროლს ექვემდებარება. თუ ევროპული კომპანიები ან ორგანოები დაადგენენ, რომ პროდუქტის უვნებლობის გარანტია შეუძლებელია, მაშინ პროდუქტი ამოღებული იქნება ბაზრიდან. პროდუქტი ასევე დარეგისტრირდება ევროკავშირის სურსათისა და ცხოველთა საკვების სწრაფი განგაშის სისტემაში (RASFF).

არაერთგზის შეუსრულებლობის გამო გასულ წლებში კონკრეტული ქვეყნებიდან (კერძოდ კი, ინდონეზიიდან და ინდოეთიდან და, რიგ შემთხვევებში, ყველა მესამე ქვეყნიდან) შემოტანილი სანელებლები ევროკავშირში დამატებით და უფრო მკაცრ საბაჟო კონტროლს დაექვემდებარა. ევროკავშირის მიერ შემოღებული ზომები მოიცავს ჯანმრთელობის სერტიფიკატს და შემოწმების ანალიტიკურ ანგარიშს. RASFF-სისტემის მონაცემთა ბაზა შეიცავს ბაზრიდან სანელებლებისა და ბალახოვანი მცენარეების ამოღების მაგალითებს და მათი ბაზრიდან ამოღების მიზეზებს.

დაბინძურება და ფალსიფიკაცია

მოცემულ ქვეპარაგრაფში განხილულია დაბინძურებასა და ფალსიფიკაციასთან დაკავშირებული საკითხები.

დამაბინძურებლები აკრძალული ნივთიერებებია, რომლებიც შემოტანილია წარმოების პროცესის ნებისმიერ ეტაპზე: მოყვანის, გადამუშავების, შეფუთვის, გადაზიდვისა და შენახვის. ჩვეულებრივი დამაბინძურებლებია პესტიციდები, მიკოტოქსინები, სალმონელა, პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადები და საკვები დანამატები. დამაბინძურებლები შეიძლება წარმოიშვას აკრძალული საღებავებით სურსათის გაყალბების გამო.

ევროკავშირს კვების პროდუქტებზე(ში) პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონე (MRL) აქვს. ევროპელი მყიდველებისთვის პრობლემა არის ის, რომ მთელ მსოფლიოში სანელებლების დიდი ნაწილი არ აკმაყოფილებს ევროკავშირის ზღვრულ დონეებს. ფერმერების მიერ პესტიციდების სწორად გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია; ფერმერი ინფორმირებული უნდა იყოს ევროპის მოთხოვნების შესახებ (რეგულაციები ან მყიდველების უფრო მკაცრი მოთხოვნები).

პესტიციდების დონის შესამცირებლად მრავალი გზა არსებობს, მაგალითად, მავნებლების ინტეგრირებული მართვის (IPM) პრაქტიკის გამოყენება და წარმოების, შრობის, დამუშავებისა და შენახვის უკეთესი მეთოდების გამოყენება. ამ მხრივ ღირებული წყაროებია სანელებლებისა და მშრალი არომატული მცენარეების ჰიგიენური პრაქტიკის კოდექსი (Codex Alimentarius) და კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის სახელმძღვანელო მითითებები.

სურსათის ფალსიფიცირება (გაყალბება) მნიშვნელოვანი საკითხია ევროპელი მყიდველებისა და ევროკავშირისთვის. ეროვნული მთავრობები ამკაცრებენ სურსათის ფალსიფიცირების მონიტორინგს.

სანელებლების დასხივება ნებადართულია მიკროორგანიზმების, ვირუსების, ბაქტერიებისა და მწერების მიერ გამოწვეული დაბინძურების კონტროლის მიზნით. ევროკავშირის კანონმდებლობა მოითხოვს, რომ დასხივებული პროდუქტი დეკლარირებული იყოს სურსათის ჯაჭვის ყველა დონეზე და დასხივება დაშვებულია მხოლოდ ევროკავშირის მიერ დასხივებისთვის დამტკიცებულ მცენარეებში.

კანონმდებლობა, რომელიც ეხება ნარჩენების მაქსიმალურ დონეებს (MRL), მიკოტოქსინებს, დამაბინძურებლებს:

- კომისიის 2006 წლის 19 დეკემბრის რეგლამენტი (EC) No1881/2006, რომელიც კვების პროდუქტებში კონკრეტული დამაბინძურებლების მაქსიმალურ დონეებს ადგენს (ტექსტი EEA-სთან შესაბამისობით).
- კომისიის 2005 წლის 15 ნოემბრის რეგლამენტი (EC) No2073/2005 კვების პროდუქტებისთვის მიკრობიოლოგიური კრიტერიუმების შესახებ.
- კომისიის 2006 წლის 23 თებერვლის რეგლამენტი (EC) No401/2006, რომელიც განსაზღვრავს სინჯების შეგროვებისა და ანალიზის მეთოდებს კვების პროდუქტებში მიკროტოქსინების დონეების ოფიციალური კონტროლისთვის (ტექსტი EEA-სთან შესაბამისობით).
- 2005 წლის 23 თებერვლის რეგლამენტი (EC) No 396/2005 „მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სურსათ(ზე)ში/ცხოველის საკვებ(ზე)ში პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონისა და საბჭოს 91/414/EEC დირექტივაში ცვლილების შესახებ“.

შეფუთვისა და ეტიკეტირების მოთხოვნები

ქვემოთ მოკლედ არის მიმოხილული ევროკავშირის მოთხოვნები შეფუთვისა და ეტიკეტირების მიმართ.

სანელებლების გასაგები ფორმით ეტიკეტირება მნიშვნელოვანია როგორც საბითუმო, ასევე შეფუთული საცალო საქონლისთვის. პროდუქტის ეტიკეტზე მითითებული უნდა იყოს შემადგენლობა, მწარმოებელი, შენახვისა და მომზადების მეთოდი. ეტიკეტირების შესახებ ევროპული კანონმდებლობა ვრცელდება როგორც შეფუთულ სამომხმარებლო საქონელზე, ისე საბითუმო საქონელზე, მაგრამ სხვადასხვაგვარად. სამომხმარებლო საქონლისთვის მთელი ინფორმაცია მითითებული უნდა იყოს ეტიკეტზე, ხოლო საბითუმო საქონლისთვის გარკვეული სავალდებულო ინფორმაცია მითითებული უნდა იყოს კომერციულ დოკუმენტებში და დაბეჭდილი უნდა იყოს ტომარაზე ან ეტიკეტზე.

ალერგენების შესახებ კანონმდებლობა მოითხოვს, რომ წინასწარ შეფუთულ კვების პროდუქტებზე მკაფიოდ იყოს მითითებული, შეიცავს თუ არა ისინი ალერგენებს. სანელებლები და სანელებლების ნარევები შეიძლება შეიცავდეს უცხო მასალას (მაგ., წებოვანა, მდოგვი ან სეზამის თესლი, თხილი), რამაც შეიძლება გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები და, შესაბამისად, ეტიკეტირებული უნდა იყოს, როგორც ალერგენების შემცველი.

ევროკავშირის დირექტივა 2009/32/EC ასევე შეიცავს კანონმდებლობას შეფუთვისა და ეტიკეტირების შესახებ, რომელიც არ ეხება კონკრეტულ პროდუქტს და გამოიყენება ევროკავშირის ბაზარზე გასაყიდად განთავსებული ყველა საქონლის მიმართ.

სურსათის უვნებლობის მართვის სისტემის სერტიფიცირება

მოცემულ ქვეპარაგრაფში აღწერილია ევროკავშირში სურსათის უვნებლობის მართვის სისტემის სერტიფიცირების საჭიროება.

ევროკავშირში მოვაჭრეები, სურსათის გადამამუშავებელი საწარმოები და საცალო მოვაჭრეები მოითხოვენ HACCP-პრინციპებზე დაფუძნებული სურსათის უვნებლობის მართვის სისტემის დანერგვას. აღნიშნული მართვის სისტემები აღიარებულია სურსათის უვნებლობის გლობალური ინიციატივით (GFSI), რაც ნიშნავს, რომ ნებისმიერი მათგანი მიღებული უნდა ჰქონდეთ საცალო მოვაჭრეებს. თუმცა, პრაქტიკაში ზოგიერთი მყიდველი უპირატესობას კვლავაც სპეციალური მართვის სისტემას ანიჭებს.

სურსათის უვნებლობის მართვის სისტემები, რომლებიც GFSI-ს აქვს აღიარებული:

- FSSC 22000 (სურსათის უვნებლობის მართვის სისტემის სერტიფიცირება)
- BRC (ბრიტანეთის საცალო კონსორციუმი)
- IFS (საერთაშორისო კვების სტანდარტი)
- SQF (უსაფრთხო ხარისხის კვების სტანდარტი)

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR)

ქვემოთ აღწერილია კორპორაციული სოლიდარული პასუხისმგებლობის საკითხების მნიშვნელობა ევროპელი მყიდველისთვის. ევროპელი მყიდველი სულ უფრო დიდ ყურადღებას აქცევს კორპორაციულ პასუხისმგებლობებს სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე თავისი ბიზნესის ზემოქმედებასთან დაკავშირებით და მოსალოდნელია, რომ ეს ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდეს. ევროპელი მყიდველი მოელის, რომ მომწოდებლები დაიცავენ მომწოდებლის ქცევის კოდექსს სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, რაც ხშირად შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტებს ეფუძნება.

არსებობს რამდენიმე სხვა საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც რელევანტურია და შეიძლება მოითხოვონ მყიდველებმა, მაგალითად, ISO14001 გარემოსდაცვითი მართვის სისტემის სტანდარტი, ISO 45001 პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის სტანდარტი.

აშშ-ის მოთხოვნები

წინამდებარე პარაგრაფში მოკლედ არის მიმოხილული აშშ-ში სურსათის უვნებლობის მოთხოვნები სანელებლების მიმართ.

ზოგადი მოთხოვნები

აქ აღწერილია აშშ-ის ზოგადი მოთხოვნები ყველა კვების პროდუქტის და მათ შორის სანელებლების მიმართ.

აშშ-ში, როგორც იმპორტირებული, ასევე ადგილობრივად წარმოებული პროდუქცია (მათ შორის სანელებლები), უნდა აკმაყოფილებდეს აშშ-ის სურსათის, მედიკამენტებისა და კოსმეტიკური საშუალებების შესახებ ფედერალური კანონის ერთსა და იმავე სამართლებრივ მოთხოვნებს. კანონი მოითხოვს, რომ პროდუქტები იყოს უვნებელი, ჰიგიენური და ეტიკეტირებული აშშ-ის მოთხოვნების შესაბამისად. ამასთანავე, კვების ობიექტები რეგისტრირებული და შემოწმებული უნდა ჰქონდეს სურსათისა და წამლის ადმინისტრაციას (FDA).

სურსათისა და წამლის ადმინისტრაცია არ არის უფლებამოსილი დაამტკიცოს სურსათის ინდივიდუალური იმპორტიორები, პროდუქტები, ეტიკეტები ან გადაზიდვები, დაუშვას მათი სერტიფიცირება, ლიცენზირება ან სხვაგვარად სანქცირება. იმპორტიორს შეუძლია კვების პროდუქტის შეტანა შეერთებულ შტატებში, FDA-ის წინასწარი ნებართვის გარეშე, თუ ობიექტი, რომელიც აწარმოებს პროდუქტს, ინახავს ან სხვაგვარად ამუშავებს, რეგისტრირებულია FDA-ში. შემომავალი ტვირთების შესახებ აუცილებელია FDA-ის წინასწარ გაფრთხილება.

იმპორტირებული კვების პროდუქტები ექვემდებარება FDA-ის ინსპექტირებას, როდესაც აშშ-ის პორტებში იმპორტისთვის არის წარმოდგენილი. FDA-ს შეუძლია დაკავოს იმპორტისთვის წარმოდგენილი პროდუქციის პარტია, თუ აღმოჩნდება, რომ პროდუქციის პარტია არ შეესაბამება აშშ-ის მოთხოვნებს.

მოთხოვნები სანელებლების მიმართ

მოცემულ ქვეპარაგრაფში აღწერილია სანელებლების მიმართ აშშ-ის კონკრეტული მოთხოვნები. სანელებლების მწარმოებელი დარეგისტრირებული უნდა იყოს FDA-ში და რეგისტრაციის ნომერი უნდა წარუდგინოს აშშ-ის საბაჟოს. ამისათვის კომპანიამ უნდა გამოიყენოს აშშ-ის საბაჟო ბროკერი. სანელებლები განეკუთვნება საკმაზ-სანელებლების მრეწველობის დარგს და გადამამუშავებელი ობიექტისა და წარმოების ტექნოლოგიებისთვის მკაცრი მოთხოვნები დაწესებული არ არის, ზოგადი GHP და GMP პრაქტიკების გამოკლებით, რომლებიც აღწერილია კოდექსის სტანდარტში.

სანელებლები ფალსიფიცირებულად ითვლება, თუ შეიცავს მწერებს, მწერის ქსელს, მწერის ექსკრემენტებს, მწერის ფრაგმენტებს, მწერისმიერ დაზიანებებს, მღრღნელის ექსკრემენტებს, მღრღნელის ბეწვს ან გახრწნილ ნივთიერებებს (ობს).

საქართველოსთვის პერსპექტიული ბაზრები

წინამდებარე თავში მოკლედ არის მიმოხილული საქართველოსთვის საინტერესო სანელებლების ბაზრები. პირველ პარაგრაფში განხილულია სასაქონლო ტიპის სანელებლები; სანელებლებით საერთაშორისო ვაჭრობაში ყველაზე დიდი წილის მქონე სანელებლები და საქართველოში ამ სასაქონლო ტიპის სანელებლების წარმოების მიზანშეწონილობა. მეორე პარაგრაფში მოკლედ არის აღწერილი, თუ რატომ უნდა იყოს საქართველო ორიენტირებული საქართველოსთვის უნიკალური სანელებლების წარმოებაზე და არა – სასაქონლო ტიპის სანელებლებზე.

მესამე პარაგრაფში აღწერილია ევროპაში დაფიქსირებული ტენდენციები, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოდან კონკრეტული სანელებლების ექსპორტისთვის. მეოთხე და ბოლო პარაგრაფში აღწერილია ევროპის სანელებლების ბაზრის სტრუქტურა.

მსოფლიო ვაჭრობა სასაქონლო ტიპის სანელებლებით

წინამდებარე პარაგრაფში წარმოდგენილია სანელებლები, რომლებსაც ყველაზე დიდი წილი უჭირავს სანელებლებით საერთაშორისო ვაჭრობაში.

ღირებულების მიხედვით, სანელებლებით საერთაშორისო ვაჭრობაში 14 სასაქონლო ტიპის სანელებლის წილი 89 პროცენტს შეადგენს, როგორც ეს ასახულია ქვემოთ მოყვანილ გრაფიკში. გრაფიკში ნაჩვენებია ღირებულება, რაოდენობა, ერთეულის ფასი და, რაც მთავარია, მიზანშეწონილია თუ არა კონკრეტული სანელებელის წარმოება საქართველოში, აგრონომიული მაჩვენებლების მიხედვით.

საქართველოს კლიმატისა და ნიადაგის გათვალისწინებით, საქართველოში ტექნიკურად შესაძლებელია ოთხი სახის სანელებლების წარმოება, ესენია: წიწაკა (1), ძირა (7), ანისული (11) და ქინძი (13). აღსანიშნავია, რომ დღეს საქართველოში ანისული ძალიან მცირე რაოდენობით იწარმოება; სანელებლების მსოფლიო წარმოებაში საქართველოს წილი ასევე ძალიან მცირეა დანარჩენი სამი სახის სანელებლების მიხედვით.

საერთაშორისო ვაჭრობაში ყველაზე დიდი წილის მქონე სასაქონლო ტიპის სანელებლები

N	სუნელი	ღირებულება აშშ დოლარი	კუმულაციური პროცენტი	რაოდენობა (მტ)	ერთეულის ფასი ($კგ)	შესრულებადია საქართველოში?
1	წიწაკა	1920	18%	892	2,15	დიახ
2	ვანილი	1383	32%	6	248,00	არა
3	პილპილი	1313	44%	357	3,68	არა
4	კოჭა	882	53%	797	1,11	არა
5	დარიჩინი	706	59%	188	3,75	არა
6	კარდამონი	585	65%	58	10,09	არა
7	ძირა	580	71%	234	2,47	დიახ
8	ზაფრანა	492	75%	2	315,94	არა
9	მიხაკი	473	80%	71	6,63	არა
10	კურკუმა	349	83%	187	1,87	არა
11	ანისი და სხ.	235	85%	88	2,66	დიახ
12	ჯავზი	172	87%	28	6,12	არა
13	ქინძი	167	89%	184	0,91	დიახ
14	მაცისი	52	89%	38	1,38	No
15	ნაზავები	451	93%	107	4,21	დიახ
16	სხვა სუნელები	690	100%	250	2,76	დიახ

წყარო: სავაჭრო რუკის მონაცემები; TBSC-კონსალტინგის ანალიზი.

ნაკლებსავარაუდოა, რომ საქართველომ ოდესმე შეძლოს ამ ოთხი ტიპის სანელებლების წარმოება მსოფლიო მასშტაბით, თუნდაც მნიშვნელოვანი ინვესტიციის განხორციელების შემდეგ; საქართველო პატარა ქვეყანაა და ყოველთვის პატარა მოთამაშედ დარჩება, რომელიც მსოფლიო ბაზრის ფასებზე გავლენას ვერ იქონიებს.

როგორც პატარა ქვეყანამ, საქართველომ რომელიმე ბაზარზე უნდა მოახდინოს ორიენტირება. ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე ნაჩვენებია ბაზრები ოთხი ტიპის სანელებლებისთვის, რომელთა წარმოებაც შესაძლებელია საქართველოში. აფრიკა პატარა ბაზარია, რომლის შესყიდვები

მსოფლიო ვაჭრობის 10%-ს შეადგენს. აფრიკას შეუძლია ამ სანელებლების ადგილობრივად წარმოება; შესყიდვების დიდი ნაწილი აფრიკის ტერიტორიის ფარგლებშივე ხორციელდება. ინდოეთისა და ჩინეთის ბაზრები ძალიან დიდია, მაგრამ თვითკმარი. აზიის დანარჩენ ნაწილს ამარაგებენ მეზობელი ქვეყნები: ინდოეთი და ინდონეზია, სადაც ფასს დიდი მნიშვნელობა აქვს.

ამგვარად რჩება ჩრდილოეთი და სამხრეთი ამერიკა და ევროკავშირი, როგორც შესაძლო ბაზრები სასაქონლო მასშტაბის სანელებლებისთვის. ამ ორიდან ევროპის ბაზარი უფრო შესაფერისია, DCFTA-შეთანხმების გამო.

ბაზარი სასაქონლო ტიპის სანელებლებისთვის, რომელთა წარმოებაც შესაძლებელია საქართველოში (წილების მიხედვით)

სუნელი	ევროკავშირის 28 სახლემწიფო
ქინძი	19%
წიწაკა	23%
ძირა	15%
ანისი და სხ.	32%

სუნელი	აფრიკა
ქინძი	10%
წიწაკა	2%
ძირა	14%
ანისი და სხ.	4%

სუნელი	ამერიკა
ქინძი	10%
წიწაკა	29%
ძირა	22%
ანისი და სხ.	18%

სუნელი	ინდოეთი
ქინძი	7%
წიწაკა	0%
ძირა	1%
ანისი და სხ.	19%

სუნელი	აზია (ინდოეთის და ჩინეთის გარდა)
ქინძი	51%
წიწაკა	36%
ძირა	45%
ანისი და სხ.	24%

სუნელი	ჩინეთი
ქინძი	0%
წიწაკა	7%
ძირა	0%
ანისი და სხ.	0%

რატომ ევროპის სანელებლების ბაზარი?

წინამდებარე პარაგრაფში მოყვანილია ევროპის სანელებლების ბაზარზე ორიენტირების მიზეზები.

ზემოთ წარმოდგენილი ანალიზის მიუხედავად, სამწუხაროდ, ნაკლებსავარაუდოა, რომ საქართველომ ოდესმე მოიპოვოს ფარდობითი უპირატესობა ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკასა და ევროპასთან მიმართებით იმ ოთხი სასაქონლო ტიპის სანელებლების მიხედვით, რომლებიც წინამდებარე პარაგრაფშია აწერილი. დიდი მომწოდებელი ქვეყნები უკვე არსებობენ, აფართოებენ წარმოებას და ისევე, როგორც მთლიანად მრეწველობის ეს დარგი, ყურადღებას ამახვილებენ ხარისხზე (განსაკუთრებით, ევროკავშირის შემთხვევაში). საქართველოს, რომელსაც ამ ბაზრებზე სურს გასვლა, მიწოდების, ხარისხისა და მარკეტინგის შესაქმნელად საკმაოდ დიდი ხარჯების გაწევა მოუწევს.

უფრო გონივრული იქნება ყურადღების გამახვილება ტრადიციულ ქართულ სანელებლებზე, რომლებიც შეიძლება ევროკავშირის ერთი ან ორი აღნიშვნით იყოს დაცული.[19] თუ ქვეყანა დაცული პროდუქტის სტატუსის მოპოვებას შეძლებს, მაშინ ინვესტიციებმა მიწოდების, გადამუშავებისა და მარკეტინგის განვითარებაში შეიძლება გაამართლოს.

ევროკავშირის აღნიშვნით დაცვის მოპოვების მცდელობა აშკარად იმის მომასწავებელია, რომ ამ პროდუქციის მთავარი ბაზარი ევროპა უნდა იყოს. ევროპაში მნიშვნელოვანი ტენდენციები წინამდებარე პარაგრაფშია წარმოდგენილი.

როდესაც საქართველო ტრადიციული ქართული სანელებლებით ადგილს დაიმკვიდრებს ევროპის ბაზარზე, შეიძლება იგი ზოგიერთი სასაქონლო ტიპის სანელებლებისთვის გაიხსნას. ეს იმიტომ მოხდება, რომ საქართველომ უკვე დაიმკვიდრა თავი, როგორც სანელებლების საიმედო მომწოდებელმა, რომელიც სათანადოდ არის სერტიფიცირებული. ამის ცოდნა საქართველოში და ბაზრის რეპუტაცია ევროპაში დაეხმარება სასაქონლო ტიპის სანელებლების წარმოებისა და გაყიდვის ამოცანის განხორ-

[19] ვიკიპედიიდან: დაცული ადგილწარმოშობის დასახელება (PDO) – ტერიტორიის დასახელება, რომელიც გამოიყენება როგორც სასოფლო-სამეურნეო ან კვების პროდუქტის აღნიშვნისთვის, რომელიც ამ ტერიტორიის ფარგლებში წარმოიშვა და მისი ხარისხი ან თვისებები მნიშვნელოვანწილად ან მხოლოდ და მხოლოდ გეოგრაფიული გარემოსა და მათ შორის ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით განისაზღვრება და რომლის წარმოება, დამუშავება და მომზადება ხორციელდება განსაზღვრული გეოგრაფიული ტერიტორიის ფარგლებში (მაგ., სვანური მარილი დამზადებულია სვანეთში).
დაცული გეოგრაფიული აღნიშვნა (PGI): ტერიტორიის დასახელება, რომელიც გამოიყენება როგორც სასოფლო-სამეურნეო ან კვების პროდუქტის აღწერილობა, რომელიც წარმოიშვა ამ ტერიტორიის ფარგლებში და აქვს კონკრეტული ხარისხი, რეპუტაცია ან სხვა დამახასიათებელი თვისება, რომელიც მიეკუთვნება მის გეოგრაფიულ ადგილწარმოშობას და რომლის წარმოების, დამუშავების ან მომზადების თუნდაც ერთი ეტაპი ამ ტერიტორიაზე ხორციელდება (მაგ., ქართული ულუმბო).

ევროპის სანელებლების ბაზრის აქტუალური ტენდენციები

ევროპის სანელებლების ბაზრის შესახებ უამრავი ინფორმაციაა ხელმისაწვდომი. მოცემულ ქვეპარაგრაფში წარმოდგენილია მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც ემყარება სანელებლების ქართველი მწარმოებლების გამოცდილებას.

განვითარებადი ქვეყნებიდან ევროპაში იმპორტის ხელშეწყობის ცენტრმა (CBI) ევროპის სანელებლების ბაზრის შესანიშნავი მიმოხილვა მოამზადა.[20] ქვემოთ მოკლედ არის წარმოდგენილი ვებგვერდზე განთავსებული მასალა და ასევე ვებგვერდზე მითითებული გვერდები. ინფორმაცია გადამოწმდა სხვა წყაროების მეშვეობით.[21]

ევროპის სანელებლების ბაზრის ცვლილებების შეჯამება შესაძლებელია 5 გამოკვეთილი ტენდენციის მიხედვით, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სანელებლების ქართველი მწარმოებლებისთვის. ეს ტენდენციები აღწერილია ქვემოთ.

ეროვნული სამზარეულოს მზარდ პოპულარობასთან ერთად მატულობს მოთხოვნა ახალ სანელებლებსა და სანელებლების ნარევებზე (ანუ ახალ არომატებზე). მთელ ევროპაში შეინიშნება ზოგადი ტენდენცია, როდესაც მომხმარებლები ახალი ეროვნული სამზარეულოს გამოცდილების ძიებაში არიან. ეს აისახება ნახევარფაბრიკატების, გადამუშავებული და მზა პროდუქტების გაზრდილ მოხმარებაზე. კერძებში ახალი არომატების ძიება ამ ტენდენციის ელემენტია.

ევროპაში მთელი მსოფლიოდან შემოაქვთ სანელებლები და სანელებლების ნარევები. ზოგიერთი სანელებელი და სანელებლების ნარევი კონკრეტულ ქვეყნებთან ასოცირდება (მაგ., ცხელი ინდონეზიური სოუსი სამბალი). სინამდვილეში და მათი წარმოშობის ქვეყნისდა მიუხედავად, სანელებლებისა და სანელებლების ნარევების უმეტესობა შეიძლება სხვადასხვა ქვეყნიდან იყოს მოწოდებული. ამგვარად, ეგზოტიკურ არომატებზე არც ერთ ქვეყანას არ აქვს მონოპოლია. ყველაზე მეტი ნაზავი თავს იყრის ევროპაში.

CBI-ის ვებგვერდზე აღნიშნულია არაერთი ყველაზე პოპულარული და ახალი სანელებელი და სანელებლების ნარევი.

ქართული რესტორნების მზარდი პოპულარობა და ევროპელებისთვის ქართული სამზარეულოს გაცნობის ზოგადი ტენდენცია შესაძლებლობას აძლევს მკაფიოდ ქართულ არომატებსა და სანელებს. ამ შესაძლებლობის გამოყენებისთვის აუცილებელია არხის გაჭრა სწორად შერჩეულ საბოლოო მომხმარებლებამდე.

ადამიანის ჯანმრთელობისთვის სანელებლების სარგებელს ხშირად უწევენ რეკლამას; სანელებლები კვების დანამატებად იქცა. ევროპის სანელებლების ასოციაციამ გამოაქვეყნა ანგარიშები, რომლებშიც აღწერილია ჯანმრთელობისთვის სასარგებლო სანელებლები. შედეგად, კვების დანამატების სახით სანელებლების მოხმარება სულ უფრო მატულობს. სანელებლები ასევე აღწერილია, როგორც მარილის შემცვლელი; კვების პროდუქტები, რომლებიც შეიცავს სანელებლებს, როგორიცაა პიტნა, რეჰანი, ძირა, ნაკლებ მარილს საჭიროებს.

ველურ ბუნებაში შეგროვებული ან ქიმიკატების გარეშე მოყვანილი ქართული სანელებლები შესაძლოა კარგად ესადაგებოდეს აღნიშნულ ტენდენციას. და მაინც, მოცემული შესაძლებლობის გამოყენებისთვის აუცილებელია კავშირების დამყარება სწორად შერჩეულ საბოლოო მომხმარებელთან.

წყაროების მდგრადობა და სამართლიანი ვაჭრობის პრაქტიკა ძალზე მნიშვნელოვანი ხდება. ისტორიულად, მიწოდების ქსელის მდგრადობა ევროპაში მთავარ საკითხად არ განიხილებოდა. ვითარება სწრაფად იცვლება; არჩევანის გაკეთებისას მომხმარებლები სულ უფრო მეტად ითვალისწინებენ პროდუქტის მდგრადობას. სანელებლების კომპანიებმა რეაგირება მოახდინეს; ისინი უფრო აქტიურად მოითხოვენ მომწოდებლებისგან მდგრადი მეთოდების გამოყენებას და სერტიფიკატის მოპოვებას. ზოგიერთი ასეთი მოთხოვნა ოფიციალურია (მაგ., 2019 წლის აპრილის დირექტივა სავაჭრო პრაქტიკის შესახებ), ზოგიც – ნებაყოფლობითი (მაგ., 2012 წლის ევროპის მდგრადი სანელებლების ინიციატივა).

მდგრადობის ზოგიერთი საკითხი პროდუქტთან არის დაკავშირებული (მაგ., პესტიციდების ნარჩენები, მიკოტოქსინით დაბინძურება). სხვები ბიზნესის წარმოებასთანაა დაკავშირებული (მაგ., სამართლიანი ვაჭრობის პრაქტიკა, ქალთა საკითხები, მიგრანტები, ბავშვთა შრომა), ზოგი კი დაკავშირებულია გარემოსთან (მაგ., სასუქების და პესტიციდების გადაჭარბებით გამოყენება).

ზოგადად, სანელებლების მსოფლიო წარმოება იზრდება მოთხოვნასთან ერთად. თუმცა, მდგრადი და სამართლიანი სავაჭრო პრაქტიკის მეშვეობით წარმოებული სანელებლების მიწოდება მოთხოვნას ვერ ეწევა. ეს შესაძლებლობებსა და პრობლემებს უქმნის ქართველ მიმწოდებლებს. მიმწოდებელს, რომელიც მდგრადი და სამართლიანი ვაჭრობის მეთოდებს გამოიყენებს, სახარბიელო ბაზარი ექნება ევროპაში. მეორე მხრივ, იმავე მიმწოდებელს მოეთხოვება, რომ თავადაც გამოიყენოს მდგრადი და სამართლიანი ვაჭრობის მეთოდები და ხშირად – სერტიფიცირება; სავარაუდოდ, ეს იქნება ძვირი.

სურსათის უვნებლობისა და გაყალბების წინააღმდეგ მოთხოვნები სულ უფრო მკაცრდება. წლების განმავლობაში კვების სტანდარტები გამკაცრდა. სანელებლებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორებია მიკოტოქსინები (მაგ., აფლატოქსინი), მიკრობიოლოგიური დაბინძურება (მაგ., სალმონელა), უნებართვო საკვები დანამატები (ე.ი. E ნომრის გარეშე ან E ნომრით, მაგრამ არასწორად გამოყენებული), ფალსიფიკაცია (მაგ., არადეკლარირებული დანამატები ან შეფერილობა) და ორგანული დაბინძურება (მაგ., პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადები).

---

[20] cbi.eu/market-information/spices-herbs/. CBI ხელს უწყობს განვითარებად ქვეყნებში მდგრად და ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას, ამ ქვეყნებიდან ევროპაში ექსპორტის გაფართოების გზით. CBI დაარსდა 1971 წელს. ის ნიდერლანდების საწარმოთა საგენტოს ნაწილია და ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ არის დაფინანსებული.

[21] ჩვენ მოვუწოდებთ სანელებლების ნებისმიერ მწარმოებელს, რომელსაც სურს თავისი პროდუქცია ევროპაში გაყიდოს, ან რომელიც პროდუქციას საბითუმო მოვაჭრეს აწვდის, რომელიც, თავის მხრივ, ამ პროდუქციას ევროპაში ყიდის, რომ მთელ ვებგვერდს გადახედოს. საქმის გასაადვილებლად გირჩევთ, რომ ვებგვერდი მთლიანად ითარგმნოს ქართულ ენაზე, მათ შორის - ყველა ბმულის სამიზნე გვერდები.

ახალი სტანდარტები მკვიდრდება საბოლოო პროდუქტის, რესურსებისა და, მათ შორის, სანელებლების უფრო გახშირებული ტესტირების გზით.

ეს უქმნის პრობლემებსა და შესაძლებლობებს სანელებლების ქართველ მწარმოებლებს. როგორც DCFTA-ის ხელმომწერმა მხარემ, ქართველმა მწარმოებლებმა იგივე მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილონ, რაც ევროპელმა მწარმოებლებმა, იმისათვის, რომ საქართველოში პროდუქცია გაყიდონ. ეს რთულია და მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის სანელებლების მწარმოებლებს. მეორე მხრივ, როგორც კი სანელებლების მწარმოებლები დააკმაყოფილებენ საქართველოსთვის წაყენებულ ახალ მოთხოვნებს, იგივე პროდუქციის გაყიდვა შესაძლებელი გახდება ევროპაში, ყოველგვარი დამატებითი მოთხოვნების გარეშე.

სანელებლების მომწოდებელი ქვეყნების რუკა. მოთხოვნადი სანელებლების მრავალფეროვნების ზრდასთან ერთად მატულობს სანელებლების მომწოდებელი ქვეყნების რაოდენობაც. მაგალითად, 2011 წელს კამბოჯაში წარმოებული პილპილის მოცულობა 1 500 ტონას შეადგენდა. 2017 წლისთვის პილპილის ექსპორტი 20 000 ტ-მდე გაიზარდა. კამბოჯის პილპილს ქიმიკატების გარეშე აწარმოებენ და იგი კარგად ესადაგება ვიეტნამურ პილპილს, რომელსაც ქიმიკატების გამოყენებით აწარმოებენ (ორივე ერთად იძლევა საშუალო შედეგს, რომელიც უფრო დაბალია, ვიდრე ცალკე აღებული ვიეტნამური პილპილი).

სანელებლების უმეტესობის მოყვანა შესაძლებელია ბევრ ტროპიკულ კლიმატურ ზონაში. ეს ნიშნავს, რომ კონკრეტული და, განსაკუთრებით, ყველაზე პოპულარული სანელებელების მწარმოებელი ქვეყნების რაოდენობა დიდი ალბათობით მატულობს. მაგალითად, ვანილი სულ უფრო პოპულარული ხდება; ვანილი ადრე მთლიანად მადაგასკარიდან შემოდიოდა, ახლა კი შუა აღმოსავლეთში, აზიასა და აფრიკის დანარჩენ ნაწილშიც აწარმოებენ.

სხვა ტენდენციების მსგავსად, ეს სანელებლების ქართველ მწარმოებლებს როგორც შესაძლებლობებს, ასევე პრობლემებსაც უქმნის. შესაძლებლობების მხრივ, საქართველო შეიძლება ისეთი სანელებლების კიდევ ერთი მწარმოებელი გახდეს, რომელიც სულ უფრო დიდი პოპულარობით სარგებლობს მსოფლიოში (მაგ., სწორ კლიმატურ პირობებში საქართველო შეძლებდა ვანილის წარმოებას). ასეთ ვითარებაში სანელებლების ქართველი მწარმოებლები კონკურენციას გაუწევდნენ მსოფლიოს სხვა მწარმოებელ ქვეყნებს და ეს იქნებოდა მკაცრი კონკურენცია. რაც შეეხება პრობლემებს, მკაფიოდ ქართული არომატის სანელებლების წარმოება შეიძლება სხვა ქვეყნებში დაიწყონ; ქართველ მწარმოებლებს შეიძლება შესაძლებლობების პატარა ფანჯარაღა დარჩეთ ახალი მკაფიოდ ქართული არომატის სანელებლების საწარმოებლად.

ევროპული ბაზრის ზომა და სტრუქტურა

ქვემოთ განხილულია სანელებლების ევროპული ბაზრის ზომა და სტრუქტურა.

სანელებლების ევროპული ბაზრის ზომა დაახლოებით 6,2 მილიარდი აშშ დოლარია.[22] იგი სამ სეგმენტად არის დაყოფილი და თითოეული მათგანი აღწერილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში. თითოეულ სეგმენტში პროდუქტის სამი ქვესეგმენტია, რომლებიც წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ტიპიური მომხმარებლები, ფასები, გაყიდვის წერტილი და პოპულარიზაცია განსხვავდება სეგმენტების მიხედვით, როგორც ეს მოცემულია შემდეგ სქემაში.

მაღალი ხარისხი: მაღალი ხარისხის სანელებლები (მაგალითად, ნატურალური, სამართლიანი კონკურენცია) და ექსკლუზიური პროდუქტი (მაგ., სიწმინდის ხარისხი).

საშუალო ხარისხი: სტანდარტული ხარისხის სანელებლები, რომლებიც აკმაყოფილებს მახასიათებლებს (მაგ., ზეთის შემცველობა, ფერი, გემო).

დაბალი ხარისხი: დაბალი ხარისხის სანელებლები, რომლებიც არ აკმაყოფილებს ჩვეულებრივ მახასიათებლებს.

ტიპიური მომხმარებელი, ფასები, სავაჭრო წერტილები და რეკლამირება განსხვავდება სეგმენტების მიხედვით, როგორც ნაჩვენებია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

[22] კომპანია „მორდორ ინტელიჯენსი"; ევროპის სანელებლებისა და ბალახეული ექსტრაქტების ბაზარი – ზრდა, ტენდენციები და პროგნოზები (2019-2024 წწ).

ევროპაში სანელებლების ბაზრის სეგმენტების აღწერილობა

	სამრეწველო	საცალო	საზოგადოებრივი კვება
ბაზრის პროცენტი	■ 70-80%	■ 15-25%	■ 5-10%
ტიპიური მომხმარებლები	■ კვების პროდუქტებისა და სასმელების მწარმოებელი კომპანიები ■ არომატების მწარმოებელი კომპანიები	■ სუპერმარკეტები ■ დამოუკიდებელი საბაყლოები ■ სპეციალიზებული მაღაზიები ■ მყიდველების მაღალი კონცენტრაცია	■ სასტუმრო, რესტორანი, კაფე (HORECA) ■ დაწესებულებები (მაგ., სკოლები, საავადმყოფოები)
ფასების დიაპაზონი, ხარისხის მიხედვით (ევრო/100 გმ)	■ მაღალი: 3,50 to 87,00 ■ საშუალო: 3,00 to 70,00 ■ დაბალი: 2,50 to 55,00	■ მაღალი: 4,20 to 300,00 ■ საშუალო: 1,50 to 250,00 ■ დაბალი: 0,99 to 200,00	■ მაღალი: 4,20 to 300,00 ■ საშუალო: 1,50 to 250,00 ■ დაბალი: 0,99 to 200,00
სავაჭრო წერტილი ან მოხმარება ხარისხის მიხედვით	■ მაღალი: მაღალი დონის საცალო მოვაჭრეები, სპეციალიზებული მაღაზიები და საზ.კვების ობიექტები. ■ საშუალო: საშუალო დონის საცალო მოვაჭრეები და საზ.კვების ოპერატორები. ■ დაბალი: ფასდაკლებით მოვაჭრეები, საშუალო დონის საცალო მოვაჭრეები (უფრო იაფი კერძო ეტიკეტები), დაბალი დონის საზ.კვების ოპერატორები, ზეთის მომპოვებელი საწარმოები.	■ მაღალი: მაღალი დონის საცალო მოვაჭრეები და სპეციალიზებული მაღაზიები. ■ საშუალო: საშუალო დონის საცალო მოვაჭრეები. ■ დაბალი: ფასდაკლებით მოვაჭრეები, საშუალო დონის საცალო მოვაჭრეები (უფრო იაფი კერძო ეტიკეტები).	■ მაღალი: მაღალი დონის სავაჭრო წერტილები, რესტორნები, სასტუმროები და გასართობი ინდუსტრიის ობიექტები. ■ საშუალო: საშუალო დონის სავაჭრო წერტილები, კვებისა და სასტუმროების სექტორი, დაწესებულებები (მაგ., უნივერსიტეტები, ციხეები). ■ დაბალი: დაბალი დონის კვების ობიექტებისა და სასტუმროების სექტორი.
რეკლამირება	■ მაღალი: ბრანდის შესახებ ინფორმაციის გავრცელება, ისტორიის მქონე პროდუქტი. ■ საშუალო: ბრენდის შესახებ მაღალი ცნობიერება, ორიენტირებული ჯანმრთელობაზე. ■ დაბალი: ბრენდის შესახებ დაბალი ცნობიერება.	■ მაღალი: ბრენდის შესახებ მაღალი ცნობიერება ძლიერი ცნობადობის ბრენდები, ორიენტირებული მაღალ ხარისხზე, მდგრადობასა და ისტორიის მქონე პროდუქტზე. ■ საშუალო: ბრენდის შესახებ მაღალი ცნობიერება ძლიერი ცნობადობის ბრენდები, ორიენტირებული ფასი/ხარისხის შეფარდებაზე. ■ დაბალი: ბრენდის შესახებ დაბალი ცნობიერება.	■ მაღალი: ორიენტირებული მაღალ ხარისხზე, მდგრადობაზე, პროდუქტის განსაკუთრებულ მახასიათებლებზე (მაგ., გემო, ფერი) და ახალ ჯიშებზე. ■ საშუალო: ორიენტირებული ფასი/ხარისხის შეფარდებაზე. ■ დაბალი: ბრენდის შესახებ დაბალი ცნობიერება.

წყარო: cbi.eu/market-information/spices-herbs/.

ქვემოთ მოყვანილ გრაფიკზე ასახულია სანელებლების ბაზრის სტრუქტურა ევროპაში ექსპორტისთვის. როგორც ნაჩვენებია, ქართველი ფერმერისთვის/შემგროვებლისთვის ან გადამამუშავებელი საწარმოსთვის/ექსპორტიორისთვის ძალიან რთული იქნება პროდუქციის პირდაპირ რომელიმე სეგმენტზე გაყიდვა. სამივე სეგმენტი მოითხოვს პროდუქციის მიწოდებას დიდი მოცულობით (მაგ., მხოლოდ ერთი თვით ადრე შეკვეთილი კონტეინერით) და მკაცრი სტანდარტების დაცვას (მათ შორის, სერტიფიკატებს). ჩვეულებრივ, გადამუშავებული საწარმო/ექსპორტიორი პროდუქციას ყიდის იმპორტიორზე/საბითუმო მოვაჭრეზე, აგენტზე/ბროკერზე ან გადამამუშავებელ/დამფასოებელ საწარმოზე. პროდუქტის მიმართ მოთხოვნებს (მაგ., ფერი, გემო, ზომა, სერტიფიკატები) ადგენს გადამამუშავებელი/-დამფასოებელი საწარმო ან კომპანია, რომელიც ამ სეგმენტებში მუშაობს. ქართველი მწარმოებელი საკუთარი პროდუქციისთვის სტანდარტის დაწესებას ვერ შეძლებს.

საბაზრო სტრუქტურა ევროპაში სანელებლების ექსპორტირებისათვის



წყარო: cbi.eu/market-information/spices-herbs/.

დასკვნები და რეკომენდაციები

წინამდებარე თავში მოკლედ არის მიმოხილული საქართველოს სანელებლების ბაზრის შესახებ ჩვენი დასკვნები და რეკომენდაციები შემდგომი ნაბიჯებისთვის. დაყოფილია ორ ნაწილად: პირველში წარმოდგენილია ძირითადი დასკვნები, მეორეში კი – რეკომენდაციები.

ძირითადი დასკვნები

ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი დასკვნები, რომლებიც სამუშაოს მსვლელობისას გამოვიტანეთ.

საქართველო სანელებლების მზარდი ბაზარია, მაგრამ კვლავაც ძალზე დამოკიდებულია იმპორტზე. დაფნას თუ არ ჩავთვლით, საქართველო სანელებლების წმინდა იმპორტიორი ქვეყანაა. მოსახლეობის შემოსავლებისა და ტურიზმის ზრდის შედეგად, სანელებლების იმპორტის რაოდენობის კუმულაციური წლიური ზრდის ტემპი (CAGR) ბოლო ათწლეულში წელიწადში 9,2%-ს შეადგენდა, რაც 1 900 ტ (ან 2,8 მილიონამდე აშშ დოლარის) იმპორტის ბაზარია.

საქართველოს, როგორც თავად სანელებლების მომხმარებელ ქვეყანას, მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს. საქართველოში სანელებლების საშუალო მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით 0,5-0,65 კგ/წ შეადგენს, ევროკავშირში კი ამის საშუალო მაჩვენებელია დაახლოებით 0,9 კგ/წ. აღმოსავლეთ ევროპაში ყველა ჩვენ ახლო პარტნიორ ქვეყანას, როგორიცაა ჩეხეთის რესპუბლიკა (0,75 კგ/წ), ბულ-გარეთი (1,36), რუმინეთი (2,8) და უნგრეთი (2,6) ერთ სულ მოსახლეზე უფრო მაღალი მოხმარების დონე აქვს. ეს საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ საქართველოში შემოსავლების მატებასთან ერთად ერთ სულ მოსახლეზე სანელებლების მოხმარება შეიძლება 4-5 ჯერ გაიზარდოს, დღეის მდგომარეობით დაახლოებით 0,5 კგ-დან 2,5 კგ-მდე, რაც მას აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორ ქვეყნებში დაფიქსირებულ დონესთან დააახლოებს. ამის მისაღწევად წელიწადში დამატებით 7 000 ტ-მდე მატება იქნება საჭირო (დღევანდელი 2 000-მდე ტონასთან შედარებით).

საქართველოს ექსპორტის დიდი ნაწილი დაფნაზე მოდის და მისი ექსპორტის მოცულობა იზრდება. გასული ათწლეულის განმავლობაში ექსპორტის ზრდის ტემპი კუმულაციური წლიური ზრდის ტემპის 7,2% იყო, რის შედეგადაც ექსპორტის მოცულობამ 4 680 ტ (ანუ 8,6 მილიონ აშშ დოლარამდე) შეადგინა. ამ მოცულობის აბსოლუტური უმეტესობა (დაახლოებით 99%) ერთ HS კოდზე მოდის, რომელიც, სავარაუდოდ, ძირითადად დაფნით არის წარმოდგენილი. დანარჩენი კატეგორიები ექსპორტის მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენს. ნაწილობრივი შედეგი აჩვენებს, რომ მიმდინარე წელს ექსპორტის მოცულობა კიდევ გაიზრდება. ექსპორტის ფასები ასევე დადებითი ტენდენციების ამსახველია, რაც საქართველოს ექსპორტის კონკურენტუნარიანობაზე მიუთითებს.

საქართველო შეიძლება კონკურენტუნარიანი იყოს რამდენიმე სახის სანელებლებში, მაგრამ არა ყველა მათგანში. საქართველო სანელებლების ტრადიციული მომხმარებელია, მაგრამ საქართველოს, როგორც სანელებლების მწარმოებელი ქვეყნის პოტენციალი ჯერჯერობით რეალიზებული არ არის. ქართული სანელებლები დიდი პოპულარობით სარგებლობს ტურისტებში. თუმცა ამას ცოტა აქვს საერთო სანელებლების ჭეშმარიტად თანამედროვე ინდუსტრიის კონცეფციის გაგებასთან. მართალია, საქართველოში შესაძლებელია მთელი რიგი სანელებლების წარმოება, მაგრამ სულ რამდენიმე მონოსანელებლის პოზიცია არსებობს, სადაც საქართველოს შეიძლება ჰქონდეს ნამდვილად დამახასიათებელი ადგილობრივი პროდუქტი, რომელსაც გამორჩეული თვისებები აქვს და მხოლოდ საქართველოში შეიძლება გაიზარდოს. ესენია: ულუმბო და ხავერდა, პლუს გამორჩეული ქართული სანელებლების ნარევები (მაგ., სვანური მარილი). უნდა აღინიშნოს, რომ სანელებლების მცენარეების უმეტესი ნაწილი შეიძლება სხვაგან მოიყვანონ და საქართველოში მოყვანილ სანელებლებთან შედარებით ბევრად უფრო კონკურენტუნარიანი ღირებულების სტრუქტურა და არც ისე განსხვავებული ხარისხი თუ ორგანოლეპტიკური მახასიათებლები ჰქონდეს.

ქართული სანელებლების ნარევები უნიკალურია, მაგრამ მათი კაპიტალიზაცია რთული იქნება. სანელებლების რამდენიმე ნარევი კარგად არის ცნობილი და მათი პოპულარობა სულ უფრო მატულობს. თუმცა ფართო ცნობადობით მხოლოდ სამი მათგანი სარგებლობს (აჯიკა, სვანური მარილი, ხმელი სუნელი). საქმე ისაა, რომ ამ პროდუქტებში გამოიყენება სხვადასხვა ინგრედიენტი, რომელთაგან ბევრი იმპორტირებულია. ვინაიდან ნედლეული თითქმის ყველგან არის ხელმისაწვდომი და მათი შერევა შედარებით იოლია, ქართული სანელებლების ბევრი მყიდველი ამჯობინებს ნარევი თავად დაამზადოს.

საქართველოს შეუძლია ამ სანელებლებისა და ნარევების წარმოებაში კონკურენტუნარიანი გახდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ: 1) შეძლებს ყველა ინგრედიენტის ადგილობრივად წარმოებას და 2) ექნება გარკვეული ტიპის დაცვა აღნიშნული ნარევებისთვის გეოგრაფიული აღნიშვნების შემოღების მეშვეობით. სხვაგვარად, დამატებული ღირებულებისა და ეკონომიკური სარგებლის დიდი ნაწილის დათმობა მოუწევს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს არ გამორიცხავს შანსებს ზოგიერთი ცალკეული დამატებული ღირებულების მქონე ბრენდებისა და მწარმოებლებისთვის, რომ ბაზარზე მომგებიანად იმუშაონ.

მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულ სანელებლებს გარკვეული პოტენციალი აქვთ, ყველა მათგანისთვის იმპორტის ჩანაცვლება დიდ გამოწვევას წარმოადგენს. საქართველო სანელებლების წმინდა იმპორტიორია და ასეთად დარჩება გარკვეული დროის განმავლობაში. სანელებლები საერთაშორისო საქონელია და ქვეყნები უკვე კარგად არიან სპეციალიზებული კონკრეტული სახეობების წარმოებაში (მაგ., ქინძი რუსეთიდან). მათი ბიზნესმოდელის გამეორება და მსგავსი ეკონომიკური ეფექტურობისა და წამყვანი პოზიციის მიღწევა მოითხოვს უპრეცედენტო ძალისხმევასა და წარმოების მასშტაბების გაზრდას.

საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს სანელებლების მწარმოებელი არც ერთი მსხვილი თანამედროვე კომერციული მეურნეობა. უმეტესად არის მცირე საოჯახო მეურნეობები, რომლებიც მოძველებული აგრალური ტექნოლოგიებით და მეთოდებით იმართება. ფერმერებს არ აქვთ საკმარისი ცოდნა-გამოცდილება და არ არიან მზად მასშტაბის გაფართოებისთვის. წვრილი მეწარმეებისთვის საერთო პრობლემებია: ფასების მერყეობა, ბაზრების მოძიება და მცენარეთა დაცვასთან დაკავშირებული სირთულეები. მცირე ფერმერებისთვის ამ პრობლემების მოგვარება, რომ სრულად დააკმაყოფილონ ადგილობრივი მოთხოვნა, ალბათ არ იქნება ეკონომიკურად გამართლებული.

საქართველოს ექსპორტის პოტენციალი არ არის კაპიტალიზებული. სანელებლების კატეგორიაში, ექსპორტის მოცულობის და ღირებულების მიხედვით, აბსოლუტური უმეტესობა დაფნის წილად მოდის. დაფნა წამყვანი პროდუქტის როლს ასრულებს. სხვა სანელებლების ექსპორტირება საერთაშორისო კლიენტის მოთხოვნით ხორციელდება, ხშირად – როგორც გვერდითი ოპერაცია. რაც მთავარია, ჯერჯერობით ექსპორტი ძირითადად პოსტსაბჭოთა ბაზრებზე ხორციელდება (სადაც ქართული სანელებლები უფრო მაღალი ცნობადობით სარგებლობს) და მხოლოდ ბითუმად, არსებითი დამატებული ღირებულების შექმნის გარეშე. უფრო მაღალი დამატებული ღირებულების მქონე ბაზრებზე დამკვიდრება, როგორიცაა ევროკავშირი, კვლავაც რთულ ამოცანად რჩება. დაფნა, თავის მხრივ, სარგებლობს სტაბილური საექსპორტო მოთხოვნით, არ საჭიროებს ზედმეტ გაწაფულობას და ამიტომ სხვა სანელებლები, როგორც საექსპორტო კატეგორიები, გარკვეულწილად უგულებელყოფილია ან არასათანადოდ შეფასებული.

ადგილობრივი ნედლეულის წარმოების არარსებობა (ან ნაკლებობა) გადამამუშავებელ საწარმოებს იმპორტისკენ უბიძგებს. საქართველოში არ არსებობს არც ერთი სამრეწველო დონის მეურნეობა, რომელიც სანელებლებს აწარმოებს და ძირითადად გავრცელებულია არარეგულარული წვრილი საოჯახო მეურნეობები. გრძელვადიანი დაგეგმვის არარსებობა და ასევე პირველად წარმოებაში მექანიზაციისა და ტექნოლოგიების დაბალი დონე ყოველწლიურად იწვევს მნიშვნელოვან რყევებს როგორც ფასების, ისე პროდუქციის მოცულობისა და ხარისხის მხრივ.

საბოლოო მომხმარებლისთვის შეუფერხებელი მიწოდების შენარჩუნების აუცილებლობა და საერთაშორისო ბაზრებზე სანელებლების კონკურენტული ფასების ხელმისაწვდომობა აიძულებს გადამამუშავებელ საწარმოებს გადავიდნენ იმპორტირებაზე და ზურგი შეაქციონ ადგილობრივ მომწოდებლებს. თუ სოფლის მეურნეობის წარმოების მეთოდები არ იქნება გაუმჯობესებული და წარმოების მასშტაბები არ გაიზრდება (გარკვეული გამონაკლისებით), ადგილობრივი წარმოების მიმართ კვლავაც სუსტი ინტერესი იქნება.

სანელებლებს საქართველოში რთული და არაორგანიზებული საბაზრო სტრუქტურა აქვს. საქართველოში სანელებლების გადამამუშავებელ საწარმოთა შესახებ ზუსტი სტატისტიკა არ არის ხელმისაწვდომი. ბაზარზე სამი ან ოთხი შედარებით მსხვილი მოთამაშეა და ასამდე წვრილი საწარმო, ძირითადად, ინდივიდუალური მეწარმეები, და ასევე არარეგისტრირებულ ფიზიკურ პირთა უცნობი რაოდენობა (რომლებიც განაგრძობენ ბაზარზე მუშაობას და ძირითადად ღია ბაზრებს და ზოგიერთ HoReCa-ის სექტორის ოპერატორებს ამარაგებენ). სექტორში თაღლითობის ბოლოდროინდელი შემთხვევების გამო აღნიშნული ფიზიკური პირები თავს არიდებენ ღია კონტაქტს გარე მხარეებთან. მსხვილ საცალო მოვაჭრეებსაც შემოაქვთ სანელებლები საკუთარი ქსელებისთვის.

არსებობს პრაქტიკა თუ დარგთაშორისი ვაჭრობა და ვითარება, როდესაც კომპანია ძირითადი რესურსების მომწოდებელია და იმავდროულად კონკურენტი საცალო ვაჭრობაში.

სულ რამდენიმე მწარმოებელს აქვს ისეთი საწარმო, რომელსაც შეუძლია დააკმაყოფილოს თანამდროვე წარმოების სტანდარტები. არსებობს სამი ან ოთხი შედარებით მსხვილი ობიექტი, რომელიც შეიძლება განეკუთვნოს გადამამუშავებელი ქარხნების კატეგორიას და მხოლოდ ორი მათგანია სერტიფიცირებული სურსათის უვნებლობის მართვის სისტემის სტანდარტით. ასეთ თანამედროვე საწარმოებშიც კი რთულია ყოველდღიურად დაიცვა კარგი ჰიგიენა, სწორად შენახვის მეთოდები, მიკვლევადობის სისტემა, ალერგენების კონტროლის პროცედურები სათანადოდ შესრულდეს, გაკონტროლდეს ნაკადური ტექნოლოგიური პროცესები და პროდუქტების ჯვარედინი დაბინძურება; თუმცა ჩვენ არც ერთი დარღვევა არ დაგვიფიქსირებია. სხვები უფრო მცირე და მოძველებულ ობიექტებს მართავენ. აჯიკას შინამეურნეობის მცირე ზომის სამზარეულოში აწარმოებენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ობიექტები სუფთაა და კარგად მოვლილი, მაინც საჭიროებენ მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას, რომ შეძლონ ეროვნული კანონმდებლობისა და საექსპორტო ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

თანამედროვე საცალო ვაჭრობის მაღაზიები ძნელად ხელმისაწვდომია. თანამედროვე საცალო მოვაჭრეებს საქართველოში არაპროპორციულად დიდი საბაზრო ძალაუფლება აქვთ. ეს ეხება არა მხოლოდ სანელებლების, არამედ საქართველოში თითქმის ყველა სასურსათო პროდუქციის მწარმოებელს. დიდი ქსელის სუპერმარკეტების თაროებზე მოხვედრის შანსი მხოლოდ მსხვილ მწარმოებლებს აქვთ, რომელთაც კარგად დამკვიდრებული და ცნობადი ბრენდი აქვთ.

წვრილი და განვითარებადი საწარმოებისთვის ეს დიდი გამოწვევაა. ზოგიერთ საცალო მოვაჭრეებს ასევე აქვთ საკუთარი კერძო საფირმო ნიშანი. საბოლოოდ, საცალო ვაჭრობის ქსელში ხვდება მხოლოდ მსხვილი იმპორტიორი და სადისტრიბუციო კომპანიების მიერ შემოტანილი და გავრცელებული სანელებლები.

ბევრი მწარმოებელი უჩივის მაღალ სამარკეტინგო გადასახადს, რომელიც პროდუქციის სუპერმარკეტებში შეტანასთან არის დაკავშირებული. რამდენიმე უფრო მცირე მწარმოებელს შემუშავებული აქვს პროდუქტის სუპერმარკეტებში შეტანის სქემა, სადაც სანელებლებს სპეციალურ ქართულ კუთხეებში ათავსებენ, სხვა კატეგორიის ქართულ პროდუქციასთან ერთად, და ხარჯებს იყოფენ.

დამატებული ღირებულების მქონე სანელებლების შეფუთვა არის საინტერესო, მაგრამ მცირე შესაძლებლობა აქვს. რამდენიმე პროგრესულ მწარმოებელს შეფუთვასთან და ქართული სანელებლების მარკეტინგთან დაკავშირებით ახალი და საინტერესო კონცეფციები აქვს. შეფუთვის დამატებული ღირებულება საშუალოზე მაღალია და მიმზიდველად გამოიყურება, მაგრამ ძვირია და ნაკლებად მისაღებია მასობრივი სამომხმარებლო ბაზრისთვის.

საცალო ვაჭრობის დიდ, თანამედროვე ბაზარზე შესვლა (სადაც მეტი წილი ვაჭრობა წარმოებს), სამარკეტინგო ხარჯებისა და დაბალი საწარმოო სიმძლავრეების გამო, ასეთი წვრილი მწარმოებლებისთვის პრობლემატურია. რაც მთავარია, მათთვის ასევე პრობლემას წარმოადგენს მაღალი ხარისხის ადგილობრივი ნედლეულის გამოყენება.

სანელებლების ღია ბაზარზე გაყიდვა კვლავაც დიდ სირთულეს წარმოადგენს. ოფიციალური ქართველი მწარმო-

ებლებს მწვავე კონკურენცია აქვთ ტრადიციული ღია აგრარული ბაზრების მხრიდან. მათ ძირითადად დაუდგენელი ფიზიკური პირები და კომპანიები ამარაგებენ, რომელთა მიკვლევადობა პრობლემას წარმოადგენს. არ სრულდება ახლახან შემოღებული შეზღუდვა, რომელიც მხოლოდ კლიენტის თვალწინ დაქუცმაცებული და დაფქული პროდუქტის გაყიდვას ითვალისწინებს. ხშირად ოპერაციები დოკუმენტურად არ არის ასახული და რომელიმე კონკრეტული მოვაჭრის მიერ გაცემული ერთი შესყიდვის ორდერი მთელი ოპერაციის დასაბუთებისთვის გამოიყენება (ჩვეულებრივ, არადოკუმენტირებული შესყიდვა ან საკუთარი წარმოება).

ფალსიფიკაცია და გაყალბება ფართოდ არის გავრცელებული და რეპუტაციურ რისკებს უქმნის საიმედო მწარმოებლებს. ასეთი შემთხვევებია როგორც დაბალი რისკის ქცევები, როგორიცაა მცენარის თესლთან ერთად ტოტების გამოყენება, ან სხვა მცენარეების გამოყენება (მაგ., თივის), ისე არასაკვები დანამატების გამოყენება, როგორიცაა საღებავი სუდანი, რომელიც შეიცავს ტყვიას, რაც იწვევს სურსათის სამომხმარებლო ხარისხის სერიოზულად გაუარესებას, სახიფათო დონემდე. სამთავრობო კონტროლის ზომები შემოღებულია, მაგრამ არ ხორციელდება. სანელებლებში საშიში დანამატების შემთხვევით აღმოჩენა ნეგატიურ გამოხმაურებას იწვევს და შეიძლება ზიანი მიაყენოს უდანაშაულო მწარმოებელთა რეპუტაციას და გაყიდვებს.

კონტროლის მექანიზმების დაბალი დაფინანსება, აღსრულება და ქვეყანაში ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის არარსებობა ის ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორებია, რომლებიც ამ სპეციფიკური ბაზრის ჩავარდნას იწვევს. მიუხედავად იმისა, რომ მარეგულირებელი ბაზა მეტწილად შეესაბამება ევროკავშირის რეგლამენტებს, შეშფოთების მიზეზი მაინც არსებობს. ამ სექტორზე სუსტი სამთავრობო კონტროლი ძირითადად იმაში გამოიხატება, რომ რეგლამენტში ცვლილების შეტანა დაგვიანებით (ექვსთვიანი) ხდება ევროკავშირის რეგლამენტში ცვლილების შემდეგ; განსხვავებები „მესამე ქვეყნის“ განმარტებაში, ანუ სურსათის უვნებლობის რისკების შეფასებისას რომელი ქვეყანა/ქვეყნები განიხილება, როგორც „მესამე ქვეყნები“ (საქართველოსთვის ეს მხოლოდ ქვეყნების შეზღუდული რაოდენობაა) და მსგავსი მოსაზრებები.

სასურსათო ბიზნესოპერატორების რეესტრი არ არის ზუსტი; ეკონომიკური საქმიანობა სწორად არ არის დადგენილი. იმის გაგება, თუ ვინ აწარმოებს საქმიანობას მოცემულ სექტორში, სწორი სამართალგამოყენების საფუძველია. თუმცა სახელმწიფო კონტროლის ეს ძირითადი ინსტრუმენტი სათანადოდ არ ფუნქციონირებს. სახელმწიფო რეესტრი საშუალებას აძლევს კომპანიებს მიუთითონ ნებისმიერი კატეგორია კვების პროდუქტების წარმოების დარგში, მათი რეალური სტატუსის მიუხედავად. ამის შედეგად, სანელებლების მწარმოებელთა სიაში ბევრი ისეთი კომპანიაა, რომელიც მოცემულ სექტორში საერთოდ არ მონაწილეობს. მეორე მხრივ, სანელებლების ზოგიერთი მწარმოებელი ამ სიაში რეგისტრირებული არ არის. ამ ორ ჯგუფს შორის დამთხვევა მინიმალურია.

ევროკავშირის საბაზრო მოთხოვნების შესრულება ქართველ მწარმოებლებს სანელებლების ერთ-ერთ უმსხვილეს ბაზარზე დაშვების შესაძლებლობას მისცემს. ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია ის, რომ სანელებლების მიწოდება პირდაპირ მყიდველთა სეგმენტისთვის, იგულისხმება სამრეწველო პროდუქციის მწარმოებლები, საცალო ვაჭრობის ან საზოგადოებრივი კვების ობიექტების მომწოდებლები, ნაკლებად სავარაუდოა და ბიზნესისთვის რთული იქნება. ყველაზე გავრცელებული გზაა აგენტის ან შუალედური შემფუთავი კომპანიის გამოყენება. ამ საერთო წესიდან მცირე გამონაკლისი შეიძლება იყოს ქართული რესტორნები, რომლებიც ევროკავშირის ქვეყნებში მუშაობენ.

რეკომენდაციები

ქვემოთ წარმოდგენილია რეკომენდაციები, თუ როგორ ვხედავთ ქართული სანელებლების ინდუსტრიის განვითარების გზას და ჩვენი წარმოდგენით რა იქნება ამ სფეროში 10-15 წლის შემდეგ:

- საქართველო სპეციალიზდება მხოლოდ საქართველოსთვის დამახასიათებელი შეზღუდული რაოდენობის მონოსანელებლებსა და ნარევებზე და იქნება მათი წმინდა ექსპორტიორი ქვეყანა.
- უნიკალური ქართული სანელებლები დაცული იქნება ევროკავშირის შესატყვისი გეოგრაფიული აღნიშვნებით.
- საქართველოს საექსპორტო შემოსავლების ძირითადი ნაწილი ორი ან სამი მსხვილი ექსპორტიორი კომპანიის წილად იქნება, რაც იმდენად დიდი იქნება, რომ მსხვილი იმპორტიორის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს.
- ექსპორტიორებს მოამარაგებს მსხვილ მწარმოებელთა მცირე რაოდენობა.
- ძირითადი ბაზრები იქნება ევროკავშირი, როგორც საქართველოდან მაღალი ღირებულების ექსპორტის სამიზნე ბაზარი.
- შერჩეული მსხვილი მწარმოებლები იმუშავებენ აგენტების მეშვეობით და მოამარაგებენ მსხვილ მოვაჭრეებს, რომლებიც წარადგენენ ქართულ სანელებლებს, როგორც ახალ ხაზს ეროვნული სანელებლების პორტფელში.
- ასევე იქნებიან შედარებით მცირე რაოდენობის, მაღალი დამატებული ღირებულების მქონე ბრენდული ქართველი მწარმოებლები, რომლებიც ინდივიდუალურად მოამარაგებენ სანელებლების სპეციალიზებულ მაღაზიებსა და რესტორნებს.

წარმოდგენილი ხედვის რეალიზებისთვის საჭირო რეკომენდაციები ოთხი პარაგრაფის სახითაა დაჯგუფებული. პირველ პარაგრაფში განხილულია შერჩეული ქართული სანელებლების კომერციალიზაციის შესაძლებლობა. მეორე პარაგრაფში წარმოდგენილია რეკომენდაციები, თუ როგორ შეიძლება სექტორის შესახებ ინფორმაციის უზრუნველყოფის გაუმჯობესება იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს მისი გამოყენება განვითარების დაგეგმვისთვის. მესამე პარაგრაფში განხილულია სანელებლებთან მიმართებაში სურსათის უვნებლობის მდგომარეობის გაუმჯობესება, ხოლო დასკვნითი პარაგრაფი შეიცავს რეკომენდაციებს კერძო სექტორის დასახმარებლად, რომელიც სანელებლების ინდუსტრიაში მონაწილეობს.

ქართული სანელებლების კომერციალიზა-ცია

დაფნის გარდა, რეალურად არც ერთი ქართული სანელებელი არ შეიძლება ჩაითვალოს კომერციულად. მოცემულ ქვეპარაგრაფში მოყვანილი რეკომენდაციები ეხება იმას, თუ როგორ შეიძლება სხვა კონკრეტული სანელებლების წარმოების კომერციულ დონეზე გადაყვანა.

მუშაობა „საქპატენტთან“ ძირითადი ქართული სანელებლებისა და ნარევებისათვის გეოგრაფიული აღნიშვნების (და ადგილწარმოშობის დასახელებების) შემოღების მიზნით. ქართული სანელებლების ნარევების დაცვას საკუთრების უფლების გარკვეული ინსტრუმენტებით (როგორიცაა გეოგრაფიული აღნიშვნა და ადგილწარმოშობის დასახელება)[23] უდიდესი მნიშვნელობა აქვს. გეოგრაფიული აღნიშვნებით ისეთი მნიშვნელოვანი პროდუქტების დაცვა, როგორიცაა სვანური მარილი და მეგრული აჯიკა, გაცილებით უფრო მაღალი ღირებულების დამატებისა და ძირითადი სანელებლების ადგილობრივად წარმოების სტიმულირების შესაძლებლობას მისცემს ქართველ მწარმოებლებს და დაეხმარება მათ საბაზრო ნიშების დაკავებაში. ამ მიზნის მისაღწევად არსებობს ევროკავშირის პროგრამები.

გეოგრაფიული აღნიშვნა წარმოადგენს სიმბოლოს ან ნიშანს, ხელმოწერას ან სიმბოლოს (რომელიც ამობეჭდილია პროდუქტზე), რომელიც განსაზღვრავს პროდუქტის კავშირს კონკრეტულ რეგიონთან, გარემოსთან, ადგილობრივ ბუნებრივ და ადამიანურ ფაქტორებთან (მაგ., სვანური ქუდი, სპარსული ხალიჩა და ა.შ.). ადგილწარმოშობის დასახელება ნიშნავს, რომ პროდუქტს მისი დასახელების ფარგლებში ასევე გეოგრაფიული ადგილმდებარეობის დასახელება აქვს (რეგიონის, რაიონის არსებული ან ისტორიული დასახელებები), რომელიც განსაზღვრავს პროდუქტის მჭიდრო კავშირს ხსენებულ გეოგრაფიულ რეგიონთან. პროდუქცია მთლიანად წარმოებული უნდა იყოს იმ რეგიონში, რომელსაც მიეკუთვნება პროდუქტი. გეოგრაფიულ აღნიშვნასა და ადგილწარმოშობის დასახელებას შორის სხვაობა ისაა, რომ გეოგრაფიული აღნიშვნა უფრო ფართო ცნებაა და მთლიანად მოიცავს ადგილწარმოშობის დასახელების ცნებას. ადგილწარმოშობის დასახელება ასევე გეოგრაფიული აღნიშვნაა, მაგრამ არა პირიქით.

აღსანიშნავია, რომ მეგრული აჯიკის დარეგისტრირება შესაძლოა გარკვეულწილად პრობლემატური იყოს. ორივე ინსტრუმენტის შემთხვევაში, ერთ-ერთი წესი კრძალავს ნიშნის დარეგისტრირებას, თუ იგი არასწორ წარმოდგენას ქმნის იმის თაობაზე, თუ საიდან წარმოიშობა პროდუქტი. კვების დარგის მეცნიერის აზრით, აჯიკა ისტორიულად მოდის აფხაზეთიდან და არა სამეგრელოდან. ამის გამო შეიძლება გართულდეს აღნიშნული ინსტრუმენტების მეშვეობით მეგრული აჯიკის დარეგისტრირება.

უნდა ითქვას, რომ „ქუთაისის მწვანილი“ უკვე დარეგისტრირებულია, როგორც გეოგრაფიული აღნიშვნა და მოიცავს ოთხი ჯიშის მწვანილს (ქინძი, ოხრახუში, ცერეცო, ნიახური), რომელიც იმერეთის რამდენიმე მუნიციპალიტეტში იზრდება.[24]

აღმოაჩინეთ, დაადგინეთ ადგილმდებარეობა და მოახდინეთ ზოგიერთი უნიკალური ქართული სანელებლების ინდუსტრიალიზაცია. უნდა დაიწყოს სამეცნიერო პროექტის განხორციელება, რომლის მიზანი იქნება:

- გამოიკვლიოთ ველურად გავრცელებული ქართული სანელებლები (მაგ., „გიცრული“ სვანეთში) და წარადგინოთ დამადასტურებელი საბუთი მისი გაკულტურებისთვის.
- შემდგომი ანალიზისთვის მოიძიოთ ანალოგიური პოტენციალის მქონე ეროვნული ქართული სანელებლების სხვა ჯიშები.
- საფუძველი ჩაუყაროთ უკვე ცნობილი ჯიშების კომერციალიზაციას (მაგ., ხავერდა, ულუმბო) მათი სამრეწველო წესით წარმოებისთვის.

ჩაატარეთ ტექნიკური განხორციელებადობის კვლევები სხვადასხვა სანელებლის სამრეწველო მასშტაბით (საქართველოსთვის) წარმოების ეკონომიკის გასაგებად. ეს დაეხმარება დაინტერესებულ ფერმერებს, უკეთ გაიგონ რა ფაქტორები მართავს სხვადასხვა სანელებლის წარმოებასთან დაკავშირებულ ხარჯებსა და შემოსავლებს, სასოფლო-სამეურნეო და მექანიზაციის რომელი მეთოდებია ოპტიმალური თითოეული მათგანისთვის და როგორია ის მინიმალური მასშტაბი, რომელიც აუცილებელია ხარჯებში ლიდერობის მისაღწევად. ტექნიკური განხორციელების კარგად შესრულებული კვლევები დაეხმარება როგორც ფერმერებს, ასევე პოლიტიკის დაგეგმვის ორგანიზაციებს კონკრეტულ სანელებლებში სპეციალიზაციაში. ჩვენი რეკომენდაციაა, რომ ამ მიზნით განხილული იყოს, სულ მცირე: ულუმბო, ხავერდა, ქინძი და წიწაკა. მეორე რიგის პრიორიტეტია სანელებლების იმ ჯიშების შემოღების მიზანშეწონილობის გამოკვლევა, რომელსაც საქართველოში ჯერ არ აწარმოებენ.

გააუმჯობესეთ სექტორის ძირითადი საინფორმაციო ინფრასტრუქტურა

სანელებლების სექტორის შესახებ ინფორმაცია განსაკუთრებით მწირია. ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციები სწორედ ამ საკითხს ეხება.

შეიმუშავეთ პროგრამა მთელი საქართველოს მასშტაბით სანელებლების პირველადი მწარმოებლების აღწერის ჩასატარებლად და მათი რეგისტრირებისთვის. იმის გარკვევა, თუ ვინ და რას აწარმოებს ყოველწლიურად, გააუმჯობესებს წარმოებას, პროდუქციის ფრანკო-ფერმის საბოლოო ფასების მიკვლევადობას და სექტორის დინამიკის გააზრებას. ამის დამატებითი შედეგი იქნება გაუმჯობესებული კონტროლი ნედლეულის ხარისხსა და უვნებლობაზე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია უვნებელი სანელებლების წარმოებისთვის. ამ კუთხით სურსათის ეროვნულმა სააგენტომ უნდა ჩამოაყალიბოს რეგისტრაციის პროცედურები და დაიწყოს სიის რეგულარულად გადამოწმება ოფიციალური კონტროლისთვის, ასევე - მწარმოებლებისა და ინსპექტორებისთვის ტრენინგების ჩატარება.

აღსანიშნავია, რომ სანელებლები განსხვავდება მცენარეული პროდუქტების უმეტესობისგან (მაგ., კარტოფილი)

[23] დაცვის სხვა ფორმები, როგორიცაა ასეთი მიქსების დაპატენტება ან დარეგისტრირება, შეუძლებელია, რადგან ამ პროდუქტების რეცეპტი არც ერთ კონკრეტულ პირს არ ეკუთვნის და ქართველი ხალხისთვის ქართული სამზარეულოს საგანძურს წარმოადგენს.

[24] http://www.sakpatenti.gov.ge/ka/state_registry/#

და ამიტომ სანელებლების სექტორი საქართველომ და სხვა ქვეყნებმა (მაგ., ევროკავშირი) განსაზღვრეს, როგორც მაღალი სასურსათო რისკის სექტორი.

შემოიღეთ ზომები სახელმწიფო სამეწარმეო რეესტრში ჩანაწერების ხარისხის გაუმჯობესებისთვის. ამისათვის საჭიროა მუშაობა იუსტიციის სამინისტროსთან და სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან, რათა განისაზღვროს მოთხოვნები სასურსათო ბიზნესოპერატორებისთვის, ფიზიკური პირის რეგისტრაცია ან ჩანაწერების განახლება კი ხდება ამ პირის მიერ კონკრეტული საქმიანობის დაწყების ან შეწყვეტის დროს. ეს ხელს შეუწყობს უამრავ სხვა სასურსათო ქვესექტორსაც. აღნიშნული ქმედება გააუმჯობესებს ბიზნესის საერთო სტატისტიკასა და პოლიტიკის დაგეგმვის ფუძემდებლურ მონაცემებს.

გააუმჯობესეთ სურსათის უვნებლობის საფუძვლები

გაირკვა, რომ სურსათის უვნებლობის თვალსაზრისით სანელებლები მაღალ რისკს წარმოადგენენ. მოცემულ ქვეპარაგრაფში მოყვანილი რეკომენდაცია ამ სერიოზულ პრობლემას ეხება.

შეიმუშავეთ ყოვლისმომცველი პროგრამა სამრეწველო დარგის სურსათის უვნებლობის საერთო პროფილის გასაუმჯობესებლად. ევროკავშირი ძალიან მკაცრია სანელებლების მიმართ. ამიტომ საქართველომ მკაცრად უნდა დაიცვას ასოცირების ხელშეკრულებით და DCFTA-შეთანხმებით გათვალისწინებული წესები. საჭიროა მთელი რიგი საკითხების შემდეგნაირად გათვალისწინება:

ერთ-ერთი რეკომენდებული მოქმედება ითვალისწინებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიისთვის (LMA) ტექნიკური და ფინანსური დახმარების გაწევას იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს სხვადასხვა ტიპის ანალიზების, კერძოდ კი, დამაბინძურებლების (მაგ., სუდანის საღებავების) ანალიზის ჩატარება. მწარმოებლების მხრიდან მოთხოვნის არარსებობის გამო ამგვარი ტესტები კომერციულად სიცოცხლისუნარიანი არ არის კერძო ლაბორატორიებისთვის. შესაბამისად, ბაზრის ამ მარცხის გამოსასწორებლად და იმისათვის, რომ აღნიშული ტიპის ლაბორატორიული ტესტები ხელმისაწვდომი იყოს ქვეყანაში, აუცილებელია სახელმწიფოს ჩართულობა. ეს დახმარება უნდა მოიცავდეს ფინანსურ და ტექნიკურ მხარდაჭერას სათანადო აღჭურვილობის, მეთოდების შესაძენად და უნარების გასაუმჯობესებლად.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი უნდა იყოს სასაზღვრო კონტროლის გამკაცრება. ვინაიდან ადგილობრივი წარმოება ძალიან არის დამოკიდებული იმპორტირებულ ნედლეულზე, საზღვარზე კონტროლს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პროდუქტის უვნებლობისა და ხარისხის უზრუნველყოფისთვის. შემოსავლების სამსახურმა უნდა გაზარდოს კონტროლის სიხშირე და კატეგორიები, ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად.

ასევე რეკომენდებულია სურსათის ეროვნულ სააგენტოში კრიზისებზე რეაგირების სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელსაც შესაბამისი ბიუჯეტი ექნება. ვინაიდან RASFF-ის შეტყობინებაზე დაგვიანებული რეაგირების შედეგების ნეგატიური გამოცდილება არსებობს, ამგვარი შემთხვევებისთვის სამოქმედო გეგმის მომზადება მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. კრიზისებზე რეაგირების სამოქმედო გეგმა ევროკავშირის კარგად დამკვიდრებული პრაქტიკაა და უნდა მოიცავდეს დაინტერესებულ მხარეთა ჩამონათვალს, პასუხისმგებლობების გადანაწილებას, აუცილებელ მოქმედებებს, ბიუჯეტს და კომუნიკაციას საზოგადოებრივ საქმიანობასთან.

დაბოლოს, რეკომენდებულია კოორდინაციის დამყარება სურსათის ეროვნულ სააგენტოსა და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს, შემოსავლების სამსახურსა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის, კანონმდებლობის აღსრულებისა და გაყალბების მიკვლევადობისთვის. პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა საუკეთესო გზაა იმისათვის, რომ აღნიშნული საქმიანობა ყოვლისმომცველი და რეალისტური გახდეს. ამის მიღწევა შესაძლებელია რამდენიმე შეხვედრის მოწყობითა და საკითხის შესახებ ცნობიერების დონის ამაღლებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიღწევის შედეგად ქართული პროდუქცია მისაღები გახდება ევროკავშირში ექსპორტირებისთვის.

შემოიღეთ კერძო სექტორის დახმარების პროგრამა

კერძო სექტორის განვითარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება სანელებლების სექტორის გაუმჯობესებისთვის. მოცემულ ქვეპარაგრაფში მოყვანილი რეკომენდაციები ამ საჭიროებას ეხება.

შეიმუშავეთ ინტეგრირებული მხარდაჭერის პროგრამა (როგორც ტექნიკური, ასევე ფინანსური), რომელიც გამიზნული იქნება სექტორში კოოპერატივების გაზრდაზე და წარმოების მასშტაბის გაფართოებაზე. აღნიშნული პროგრამა მიმართული უნდა იყოს ძირითადი ქართული სანელებლების პირველად წარმოებაზე და გაითვალისწინეთ, რომ წარმატების გასაღებია საქართველოში მოყვანილი შესაბამისი ხარისხის ნედლეულის სტაბილური მიწოდება, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს არსებული მეურნეობების მასშტაბის მნიშვნელოვნად გაფართოვებას ან ახალი მეურნეობების შექმნის ხელშეწყობას.

აღნიშნულ პროგრამაში ჩართული უნდა იყოს სხვა ძირითადი დაინტერესებული მხარეები, როგორიცაა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სააგენტო (არსებული ფინანსური დახმარების ინსტრუმენტების გამოყენება და ასევე საკუთარი გამოცდილების კაპიტალიზაცია ხელს შეუწყობს კოოპერატივების შექმნას და გაძლიერებას, ყოფილი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მეშვეობით) და სხვა სახელმწიფო ინსტიტუტები და დონორთა მხარდაჭერის პროექტები.

პროგრამა შეიძლება შეიცავდეს უფრო მსხვილი სამრეწველო საწარმოებისა და უფრო წვრილი ბრენდირებული სანელებლების მწარმოებლების ცალკეულ კომპონენტებს. შედარებით მსხვილი გადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტი მიზნად უნდა ისახავდეს მათ დახმარებას, რომ:

- გააფართოონ წარმოება ან შექმნან საკუთარი მეურნეობა;
- განახორციელონ სურსათის უვნებლობის სტანდარტები;
- მოახდინონ საკუთარი პროდუქციის პორტფელის დივერსიფიკაცია;
- აიმაღლონ ცნობიერების დონე ევროკავშირის ბაზრის პრეფერენციების შესახებ.

სხვა ქვესექტორებიდან უკვე გამოცდილი და წარმატებული ფერმერების მოზიდვამ და ჩართვამ სანელებლების პირველადი წარმოების დაწყების პროცესში შეიძლება გაზარდოს წარმატების ალბათობა და მნიშვნელოვნად დააჩქაროს ეს პროცესი. ამ მხრივ ძალიან სასარგებლო იქნება ტექნიკური განხორციელებადობის კარგად მომზადებული კვლევები.

უფრო წვრილი ბრენდირებული სანელებლების ნიშების მქონე მწარმოებლების კომპონენტი შეიძლება ითვალისწინებდეს დახმარებას ზოგადი მენეჯმენტის სისტემებში, საწარმოო ობიექტების გაუმჯობესებაში, შეფუთვაში, მარკეტინგსა და გაყიდვებში.

მხარი დაუჭირეთ ასოციაციის (ან კლასტერული ორგანიზაციის) შექმნას იმისათვის, რომ ამ პროცესში წამყვანი პარტნიორი გახდეთ. გვაცნობეს, რომ მრეწველობის ამ დარგში არსებობს ასოციაციის შექმნის სურვილი. დაფუძნების შემთხვევაში, ამ ორგანიზაციას რამდენიმე პრაგმატული ფუნქცია ექნება. უწინარეს ყოვლისა, ორგანიზაციას, როგორც თვითრეგულირებად ორგანოს, შეუძლია ხელი შეუწყოს დარგის შიგნით საწარმოო სტანდარტების გაუმჯობესებას. მეორე, წევრთა შორის საკმარისი ნდობისა და თანამშრომლობის ჩამოყალიბების შემთხვევაში, ეს ორგანიზაცია შეიძლება გადაიქცეს საბითუმო კონტრაქტებზე მოლაპარაკებების წარმოების ინსტრუმენტად როგორც საცალო მოვაჭრეებთან, ისე რესურსების (მაგ., შეფუთვა) მომწოდებლებთან.

გარკვეული მოლოდინის შესაქმნელად, ასოციაციაში, სავარაუდოდ, მხოლოდ მსხვილი საწარმოები იქნებიან გაწევრიანებული, რადგან მათი პრობლემების გადაჭრა ასოციაციის, როგორც მომსახურების არხის, მეშვეობით უფრო მარტივია. დიდი, მრავალწევრიანი ასოციაციის შექმნის მცდელობა კონტრპროდუქტიული იქნება.

შეიმუშავეთ კომპლექსური ცოდნისა და ცნობიერების დონის ამაღლების პროგრამა სანელებლების ქართველი მწარმოებლებისთვის. თემები შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ სხვადასხვა კულტურების წარმოების ეკონომიკური და აგრონომიული მიზანშეწონილობით, სურსათის უვნებლობის სტანდარტებით, სასურსათო ტექნოლოგიით, შეფუთვით, მარკეტინგითა და საექსპორტო ბაზრების მოთხოვნებით. რეკომენდებულია, რომ მეწარმეებისა და მწარმოებლებისთვის ქართულად ითარგმნოს სახელმძღვანელო დოკუმენტები, რომლებიც ხელმისაწვდომია და გამოქვეყნებული განვითარებადი ქვეყნებიდან ევროპაში იმპორტის ხელშეწყობის ცენტრის ვებგვერდზე და სანელებლების სექტორის ტენდენციებს ეხება. ცალკეული სახელმძღვანელო მითითებები და რეკომენდაციები უნდა შეიქმნას HACCP-სისტემის პრინციპებზე დაყრდნობით, სანელებლების მწარმოებელი კომპანიების სურსათის უვნებლობის სისტემებისთვის. საერთაშორისო ბაზრებზე შესასვლელად უმთავრესი წინაპირობაა, რომ HACCP-სისტემის პრინციპები იყოს გასაგები და შესაძლებელი იყოს მათი განხორციელება.

დანართები

ისანელებლების დასახელების ჯვარედინი დამოწმება

IექსპორტისA და იმპორტის სტატისტიკა

IინფორმაციIს მთავარი მომწოდებლები

ისანელებლების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და ექსპორტიორთა მონაცემთა ბაზა

დანართი 1- სანელებლების დასახელების ჯვარედინი დამოწმება

ბევრ სანელებელს სხვადასხვა სახელი აქვს. მაგალითად, ქართული სანელებელი ულუმბო, უცხო სუნელი, რომელიც ითარგმნება როგორც Ulumbo, Utskho Suneli, ასევე ცნობილია, როგორც Blue Fenegreek. დასახელებების აღრევის თავიდან ასაცილებლად ქვემოთ, ცხრილში, მოცემულია ანგარიშში გამოყენებული სანელებლის დასახელება, მცენარის ბინომიალური დასახელება, სხვა ინგლისური დასახელებები და ქართული დასახელება.

ტექსტში გამოყენებულია მხოლოდ პირველ სვეტში მოყვანილი დასახელება, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ზოგიერთი სანელებელი ორი ფორმით გვხვდება: 1) როგორც მცენარის ნაყოფი, რომელიც ჯერ არ არის დაქუცმაცებული ან დაფქული ან 2) იგივე ნაყოფი, რომელიც უკვე დაქუცმაცებული და დაფქულია. სხვა სანელებლებს მხოლოდ ერთი ფორმა აქვთ. გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად, თუ სანელებლის ძირითად ინგლისურ დასახელებასთან ერთად მითითებულია სიტყვები „მთელი“ ან „დაქუცმაცებული“, მაშინ იგი შეიძლება იყოს როგორც „მთელი“, ასევე „დაქუცმაცებული“ ფორმით (ანუ იგულისხმება ორივე, „მთელი“ და „დაქუცმაცებული“ ფორმები) ან მხოლოდ ერთი ფორმა აქვს, რა ფორმითაც არის ხელმისაწვდომი.

ხშირად ერთმანეთში ერევა პილპილი და წიწაკა. „პილპილი“ ნიშნავს შავ წიწაკას, მცირე ზომის მრგვალ თესლებს, რომლებიც გამოყენებამდე ჩვეულებრივ იფქვება.[25] წიწაკა ბუჩქია, ნაყოფი ფერადია, ტიპიურად წითელი და ცხარე; გამოიყენება ნედლი და მშრალი ფორმით.

სანელებლების დასახელების ჯვარედინი დამოწმება

დასახელება ანგარიშში	ბინომიალური დასახელება	სხვა ინგლისური დასახელებები	ქართული დასახელება
AJIKA	*na*	Megrelian Ajika	აჯიკა
ANISE	*Pimpinella anisum*		ანისულა
BASIL	*Ocimum Basilicum*		რეჰანი
BAY LEAF	*Lauracea Nobilis*		დაფნა
CAPSICUM	*Capsicum Annum*	Chilies or Red Pepper	წიწაკა
CARDAMOM	*Cardamomum*		კარდამონი
CELERY	*Aplium graveolen*		ნიახური
CINNAMON	*Cinnamomum*		დარიჩინი
CLOVES	*Syzygium aromaticum*		მიხაკი
CORIANDER	*Coriandum Satinum*		ქინძი
CUMIN	*Caraway*		ძირა
CURCUMA	*Cúrcuma*	Yellow Ginger	კურკუმა/ყვითელი
DILL	*Anethum graveolenes*		კამა
FENNEL	*Foeniculum vulgare*		ცერეცო
FRENCH MARIGOLD	*Tagetes Petula L*		ხავერდა, იმერული ზაფრანა
GINGER	*Zingiber officinale*		კოჭა
JUNIPER BERRIES	*Juniperus communis*		ღვიის კენკრა
KHMELI SUNELI	*na*	Khmeli Spice	ხმელი სუნელი
MACE	*Myristica Fragrans*		მაცისი
NUTMEG	*Myristica*		ჯავზი
OMBALO	*Mentha pulegium*		ომბალო
OREGANO	*Origanum Vulgare*		თავშავა
PEPPER	*Piper Nigrum*	Black Pepper	შავი პილპილი
PEPPERMINT	*Menta Piperita*		პიტნა

[25] ასევე ხელმისაწვდომია სხვადასხვა ფერის პილპილი.

დასახელება ანგარიშში	ბინომიალური დასახელება	სხვა ინგლისური დასახელებები	ქართული დასახელება
SAFFRON	*Crocus sativus*		ზაფრანა
SUMMER SAVORY	*Satureja Hortensis*		ქონდარი, ბეგქონდარა
SVANETIAN SALT	*na*		სვანური მარილი
TARRAGON	*Artemisia Dracunculus*		ტარხუნა
TURMERIC	*Curcuma longa*	Curcuma	კურკუმა
ULUMBO	*Trigonella caerulea*	Blue Fenugreek, Utskho Suneli	ულუმბო, უცხო სუნელი
VANILLA	*Vanilla planifolia*		ვანილი

წყარო TBSC-კონსალტინგის ანალიზი.

ძირითად სავაჭრო სტატისტიკურ მონაცემთა გაცნობა ჩვეულებრივ კოდების ჰარმონიზებული სისტემის (HS) გამოყენებით ხდება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია HS კოდებსა და სანელებლების დასახელებებს შორის ჯვარედინი დამოწმება.

HS კოდებსა და სანელებლების დასახელებებს შორის ჯვარედინი დამოწმება

ჰარმონიზებული სისტემის კოდი	დასახელების დამოწმება	HS კოდის სრული დასახელება
090411	პილპილი (მთელი)	Piper გვარის პილპილი, არც დაქუცმაცებული და არც დაფქული
090412	პილპილი (დაქუცმაცებული)	Piper გვარის პილპილი, დაქუცმაცებული ან დაფქული
090421	წიწაკა (მთელი)	Capsicum გვარის ან Pimenta გვარის ნაყოფი, მშრალი, არც დაქუცმაცებული და არც დაფქული
090422	წიწაკა (დაქუცმაცებული)	Capsicum გვარის ან Pimenta გვარის ნაყოფი, დაქუცმაცებული ან დაფქული
090510	ვანილი, (მთელი)	ვანილი, არც დაქუცმაცებული და არც დაფქული
090520	ვანილი, (დაქუცმაცებული)	ვანილი, დაქუცმაცებული ან დაფქული
090611	დარიჩინი (მთელი)	დარიჩინი "Cinnamomum zeylanicum Blume" (დაქუცმაცებული-დაფქულის გამოკლებით)
090619	დარიჩინის ყვავილი	დარიჩინი და დარიჩინის ხის ყვავილი ("Cinnamomum zeylanicum Blume" დარიჩინისა და დაქუცმაცებული და დაფქული დარიჩინის გამოკლებით)
090620	დარიჩინი (დაქუცმაცებული)	დარიჩინი, დაქუცმაცებული ან დაფქული და დარიჩინის ხის ყვავილი
090710	მიხაკი (მთელი)	მიხაკი, მთელი ნაყოფი, თავი და ღერო, არც დაქუცმაცებული და არც დაფქული
090720	მიხაკი (დაქუცმაცებული)	მიხაკი, მთელი ნაყოფი, თავი და ღერო, დაქუცმაცებული ან დაფქული
090811	ჯავზი (მთელი)	ჯავზი, არც დაქუცმაცებული და არც დაფქული
090812	ჯავზი (დაქუცმაცებული)	ჯავზი, დაქუცმაცებული ან დაფქული
090821	მაისი (მთელი)	მაისი, არც დაქუცმაცებული და არც დაფქული
090822	მაისი	მაისი მაისი, დაქუცმაცებული ან დაფქული
090831	კარდამონი (მთელი)	კარდამონი, არც დაქუცმაცებული და არც დაფქული
090832	კარდამონი (დაქუცმაცებული)	კარდამონი, დაქუცმაცებული ან დაფქული
090921	ქინძი (მთელი)	ქინძის თესლი, არც დაქუცმაცებული და არც დაფქული
090922	ქინძი (დაქუცმაცებული)	ქინძის თესლი, დაქუცმაცებული ან დაფქული
090931	ძირა (მთელი)	ძირას თესლი, არც დაქუცმაცებული და არც დაფქული
090932	ძირა (დაქუცმაცებული)	ძირას თესლი, დაქუცმაცებული ან დაფქული

ჰარმონიზებული სისტემის კოდი	დასახელების დამოწმება	HS კოდის სრული დასახელება
090961	ანისულა (მთელი) და სხვა	ღვიის კენკრა და ანისულის, ბადიანის, კვლიავის ან ცერეცოს თესლი, არც დაქუცმაცებული და არც დაფქული
090962	ანისულა (დაქუცმაცებული) და სხვა	ღვიის კენკრა და ანისულის, ბადიანის, კვლიავის ან ცერეცოს თესლი, დაქუცმაცებული ან დაფქული
091011	კოჭა (მთელი)	კოჭა, არც დაქუცმაცებული და არც დაფქული
091012	კოჭა (დაქუცმაცებული)	კოჭა, დაქუცმაცებული ან დაფქული
091020	ზაფრანა	ზაფრანა
091030	ტურმერიკი	ტურმერიკი „კურკუმა“
091091	ნარევები	სხვადასხვა ტიპის სანელებლების ნარევები
091099	სხვა სანელებლები	სანელებლები (Piper გვარის პილპილის, Capsicum გვარის ან Pimenta გვარის ნაყოფის გამოკლებით)

დანართი 2 – ექსპორტისა და იმპორტის სტატისტიკა

დანართში წარმოდგენილია გრაფიკები, რომლებიც ასახავს ექსპორტისა და იმპორტის ტენდენციებს და, როგორც წესი, ფასებს სანელებლებთან დაკავშირებული ყველა HS კოდისთვის.

090411 Piper-ის გვარის პილპილი, არც დაქუცმაცებული და არც დაფქული

ექსპორტი - შავი პილპილი (მთელი)



იმპორტი - შავი პილპილი (მთელი)



ექსპორტ-იმპორტის ფასები - შავი პილპილი (მთელი)



090412 Piper გვარის პილპილი, დაქუცმაცებული ან დაფქული

ექსპორტი - შავი პილპილი (დაქუცმაცებული)



იმპორტი - შავი პილპილი (დაქუცმაცებული)



ექსპორტ-იმპორტის ფასები - შავი პილპილი (დაქუცმაცებული)



090421 Capsicum გვარის ან Pimenta გვარის ნაყოფი, მშრალი, არც დაქუცმაცებული და არც დაფქული

ექსპორტი - წიწაკა (მთელი)



იმპორტი - წიწაკა (მთელი)



ექსპორტ-იმპორტის ფასები - წიწაკა (მთელი)



090422 Capsicum გვარის ან Pimenta გვარის ნაყოფი, დაქუცმაცებული ან დაფქული

ექსპორტი - წიწაკა (დაქუცმაცებული)



იმპორტი - წიწაკა (დაქუცმაცებული)



ექსპორტ-იმპორტის ფასები - წიწაკა (დაქუცმაცებული)



090519 ვანილი, არც დაქუცმაცებული და არც დაფქული

ექსპორტი - ვანილი (მთელი)



იმპორტის ფასი - ვანილი (მთელი)



090520 ვანილი, დაქუცმაცებული ან დაფქული

ექსპორტი - ვანილი (დაქუცმაცებული)



იმპორტი - ვანილი (დაქუცმაცებული)



ექსპორტ-იმპორტის ფასები - ვანილი (დაქუცმაცებული)



090611 დარიჩინი "Cinnamomum zeylanicum Blume" (დაქუცმაცებულის და დაფქულის გამოკლებით)

ექსპორტი - დარიჩინი



იმპორტი - დარიჩინი



ექსპორტ-იმპორტის ფასები - დარიჩინი



090619 დარიჩინი და დარიჩინის ხის ყვავილი ("Cinnamomum zeylanicum Blume" დარიჩინისა და დაქუცმაცებული და დაფქული დარიჩინის გამოკლებით)

ექსპორტი - დარიჩინის ხის ყვავილი



იმპორტი - დარიჩინის ხის ყვავილი



ექსპორტ-იმპორტის ფასები - დარიჩინის ხის ყვავილი



090620 დარიჩინი, დაქუცმაცებული ან დაფქული და დარიჩინის ხის ყვავილი

ექსპორტი - დარიჩინი (დაქუცმაცებული)



იმპორტი - დარიჩინი (დაქუცმაცებული)



ექსპორტ-იმპორტის ფასები - დარიჩინი (დაქუცმაცებული)



090710 მიხაკის ნაყოფი, მთელი, მიხაკი და ღერო, არც დაქუცმაცებული და არც დაფქული

ექსპორტი - მიხაკი (მთელი)



იმპორტი - მიხაკი (მთელი)



ექსპორტ-იმპორტის ფასები - მიხაკი (მთელი)



090720 მიხაკის ნაყოფი, მთელი, მიხაკი და ღერო, დაქუცმაცებული ან დაფქული

ექსპორტი - მიხაკი (დაქუცმაცებული)



იმპორტი - მიხაკი (დაქუცმაცებული)



ექსპორტ-იმპორტის ფასები - მიხაკი (დაქუცმაცებული)



090811 ჯავზი, არც დაქუცმაცებული და არც დაფქული

ექსპორტი - ჯავზი (მთელი)



იმპორტის ფასები - ჯავზი (მთელი)



090812 ჯავზი, დაქუცმაცებული ან დაფქული

ექსპორტი - ჯავზი (დაქუცმაცებული)



იმპორტი - ჯავზი (დაქუცმაცებული)



ექსპორტ-იმპორტის ფასები - ჯავზი (დაქუცმაცებული)



090821 მაისი, არც დაქუცმაცებული და არც დაფქული

ექსპორტი - მაცისი (მთელი)



იმპორტის ფასი - მაცისი (მთელი)

090822 მაისი, დაქუცმაცებული ან დაფქული

ექსპორტი - მაცისი (დაქუცმაცებული)



იმპორტის ფასი - მაცისი (დაქუცმაცებული)



ექსპორტ-იმპორტის ფასები - მაცისი (დაქუცმაცებული)



090831 კარდამონი, არც დაქუცმაცებული და არც დაფქული

ექსპორტი - კარდამონი (მთელი)



იმპორტი - კარდამონი (მთელი)



ექსპორტ-იმპორტის ფასები - კარდამონი (მთელი)



090832 კარდამონი, დაქუცმაცებული ან დაფქული

ექსპორტი - კარდამონი (დაქუცმაცებული)



იმპორტი - კარდამონი (დაქუცმაცებული)



ექსპორტ-იმპორტის ფასები - კარდამონი (დაქუცმაცებული)



090921 ქინძის თესლი, არც დაქუცმაცებული და არც დაფქული

ექსპორტი - ქინძის თესლი (მთელი)



იმპორტი - ქინძის თესლი (მთელი)



ექსპორტ-იმპორტის ფასები - ქინძის თესლი (მთელი)



090922 ქინძის თესლი, დაქუცმაცებული ან დაფქული

ექსპორტი - ქინძის თესლი (დაქუცმაცებული)



იმპორტი - ქინძის თესლი (დაქუცმაცებული)



ექსპორტ-იმპორტის ფასები - ქინძის თესლი (დაქუცმაცებული)



090931 ძირას თესლი, არც დაქუცმაცებული და არც დაფქული

ექსპორტი - ძირას თესლი (მთელი)



იმპორტი - ძირას თესლი (მთელი)



ექსპორტ-იმპორტის ფასები - ძირას თესლი (მთელი)



090932 ძირის თესლი, დაქუცმაცებული ან დაფქული

ექსპორტი - ძირას თესლი (დაქუცმაცებული)



იმპორტი - ძირას თესლი (დაქუცმაცებული)



ექსპორტ-იმპორტის ფასები - ძირას თესლი (დაქუცმაცებული)



090961 ღვიის კენკრა და ანისულის, ბადიანის, კვლიავის ან ცერეცოს თესლი, არც დაქუცმაცებული და არც დაფქული

ექსპორტი - ანისი და სხვ. (მთელი)



იმპორტი - ანისი და სხვ. (მთელი)



ექსპორტ-იმპორტის ფასები - ანისი და სხვ. (მთელი)



090962 ღვიის კენკრა და თესლი

ექსპორტი - ანისი და სხვ. (დაქუცმაცებული)



იმპორტი - ანისი და სხვ. (დაქუცმაცებული)



ექსპორტ-იმპორტის ფასები - ანისი და სხვ. (დაქუცმაცებული)



091011 კოჭა, არც დაქუცმაცებული და არც დაფქული

ექსპორტი - კოჭა (მთელი)



იმპორტი - კოჭა (მთელი)



ექსპორტ-იმპორტის ფასები - კოჭა (მთელი)



091012 კოჭა, დაქუცმაცებული ან დაფქული

ექსპორტი - კოჭა (დაქუცმაცებული)



იმპორტი - კოჭა (დაქუცმაცებული)



ექსპორტ-იმპორტის ფასები - კოჭა (დაქუცმაცებული)



091020 ზაფრანა

ექსპორტი - ზაფრანა



იმპორტი - ზაფრანა



ექსპორტ-იმპორტის ფასები - ზაფრანა



091030 ტურმერიკი "კურკუმა"

ექსპორტი - კურკუმა



იმპორტი - კურკუმა



ექსპორტ-იმპორტის ფასები - კურკუმა



091091 სხვადასხვა ტიპის სანელებლების ნარევები

ექსპორტი - ნარევები



იმპორტი - ნარევები



ექსპორტ-იმპორტის ფასები - ნარევები



091099 სანელებლები (Piper გვარის პილპილის, Capsicum გვარის ან Pimenta გვარის ნაყოფის გამოკლებით)

ექსპორტი - სხვა სანელებლები



იმპორტი - სხვა სანელებლები



ექსპორტ-იმპორტის ფასები - სხვა სანელებლები